

ქვეთი ჭანტუჱრია

პატიჱრუ აგბეგბი
ღიღ ქვეყნეგზე
ღა აღაგინეგზე



ქეთი ჭანტუაძე

პატარა ამბები
დიდი ქვეყნებზე
და აღაშენებლებზე



თბილისი 2022

რედაქტორები: თამარ ლეზანაძე, გიორგი რუსია

დაკაბადონება და ყდის დიზაინი: გიორგი ბაგრატიონი

პირველი გამოცემა, 2022

© ქეთი ჭანტურია, 2022

გამომცემლობა „დიოგენე“, 2022

ISBN 978-9941-????????????

სარჩევი

პატარა შესავალი	6
ინგლისი და ინგლისელები	10
შოტლანდია	23
საქართველო და ქართველები	26
იტალია და იტალიელები	31
ესპანეთი და ... კატალანიელი მეგობრები	39
იაპონია და ჩემი მიჩიკო	43
ბრაზილია ...სილვია, ანჟელიკა და ჟაირი	49
არგენტინა და არაჩვეულებრივი არგენტინელები	54
ჩილე და ჩემი ჩილეელი სტუდენტები	57
ჩაშლილი კონფერენცია და ფანტასტიური არდადეგები მექსიკაში	60
ავსტრია – ანდრეასი	64
ავსტრალია, ადვილად რომ ვერ წახვალ, მაგრამ თუ წახვალ, ისიამოვნებ!	68
ახალი ზელანდია, ლამაზი და გარიყული	71
ამერიკის შეერთებული შტატები	75
სკანდინავია	85
დანარჩენი ევროპა?	89
გერმანია	90
ფოტოალბომი	95

*ურთიერთობები და შთაბეჭდილებები
ყველაზე სასიამოვნო შესაგროვებელია*

ანა ფროიდს უთქვამს „ყოველთვის გარეთ ვეძებდი ენერგიას, რწმენას და თურმე ეს ყველაფერი შიგნით ყოფილა“. მე ვფიქრობ, მოგზაურობაც ასეა. ყველა რაღაც მიზეზის გამო მოგზაურობს. ჩემმა მოგზაურობებმა აღმომაჩენინა ბევრი რამ საკუთარ თავზე და მაპოვნინა არაჩვეულებრივი ადამიანები. სამწუხაროდ, ყველას ამ პატარა ფორმატში ვერ ჩავატევ, მაგრამ ზოგიერთს მაინც შემახსენებს ქვეყანა ან შემთხვევა, როცა მეხსიერებაში ამოტივტივდება.

ამ პატარა კრებულის დაწერა დიდმა შთაბეჭდილებებმა გადამანყვეტინა, თან წერა თერაპიულია და პანდემიის დროს მისწრებაა. თუ ვინმეს დაინტერესებს – ხომ კარგი, თუ არადა, ჩემს ძვირფას ადამიანებთან შეხებამ და საოცარი მოგზაურობების გახსენებამ დიდი სიამოვნება მომანიჭა და ცოტა გამიადვილა ინტერნეტული ურთიერთობები... მე იმ დროს დავიბადე, როცა მობილური ტელეფონები, კომპიუტერები არ არსებობდა და შავ-თეთრ ტელევიზორს ვუყურებდით... მიუხედავად ამისა, 60-იანები ლალ პერიოდად მიიჩნევა ისტორიაში; მეც ასე მგონია...

პატარა შესავალი

ჩემი საყვარელი გამოთქმაა: „ყველა ადამიანი ერთ ენაზე იცინის“.

ჩემმა ექსპერიმენტულმა და მოგზაურობითა და დაკვირვებით მიღებულმა გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ ეს ნამდვილად ასეა. გაიღიმეთ და შეეცადეთ, იმოგზაუროთ შინ და გარეთ. შესაძლებლობები ამოუნწურავია...

დაუშვით შეცდომები, შეკრიბეთ და ისიამოვნეთ თავგადასავლებით და ყველაზე მთავარი – იფიქრეთ, რა ისწავლეთ ამ შეცდომების, თავგადასავლების, ადამიანებისგან.

ალბათ, რამდენიმე ათეული წლის წინ ვინმეს რომ ეთქვა, ინგლისში იცხოვრებ, ძალიან ბევრს იმოგზაურებ მსოფლიოს გარშემო და მოგზაურობაზე წიგნის დაწერა მოგიწევდაო, ვიფიქრებდი, ბოძვა სხვადასხვა ფორმით ვლინდება და წინასწარმეტყველების ბოძვას სერიოზულად ვერ მივიღებ-მეთქი. მაგრამ როგორც ბრიტანელები იტყვიან, „არასოდეს თქვა „არასოდეს“, იმიტომ, რომ არ იცი, რა სიურპრიზს მოგიმზადებს ცხოვრება.

მეც გადავწყვიტე, გაგიზიაროთ პატარა ნაწილი ჩემი სიურპრიზებით სავსე მოგზაურობებიდან. „მხოლოდ ის, რომ რაღაც მოხდა, არ ნიშნავს, რომ ამას მნიშვნელობა ჰქონდა“ – უთქვამს ჰემინგუეის... მე ვფიქრობ, ყველაფერი, რაც ამ წიგნში შევიტანე, ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო...

მე ვიპოვე საქმე, რომელიც მიყვარს

პროფესიით ფსიქოლოგი ვარ, პირველი, ვინც ოჯახის მათემატიკური ტრადიცია დაარღვია და რიცხვების მაგივრად ადამიანების შესწავლას მოანდომა უკვე 40 წელზე მეტი დრო. ფსიქოლოგები სხვადასხვა პრიორიტეტს ირჩევენ და მე ავირჩიე კვლევის, კლინიკური ფსიქოლოგიის და სწავლების კომბინაცია... ჰოდა, როგორც მკვლევარებმა იციან, არაერთი სამოგზაურო წიგნი წავიკითხე, ბევრი სამოგზაურო პროგრამა ვნახე და განსაკუთრებით მომეწონა ის წიგნები, რომლებშიც ფაქტები გაზავებული იყო კულინარიით, ტრადიციებით, საინტერესო ტიპა-

უებით. კარგ ფსიქოლოგებს შეუძლიათ, სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით შეცვალონ ადამიანის ცხოვრება. თუ ამ ნაწერებში ერთ-ორ სასარგებლო რამეს იპოვით თქვენთვის, ჩავთვლი, რომ აზრიანად მიშრომია. თუ ვერ მოვახერხე, წინასწარ ვიხდი ბოდიშს, უფრო საინტერესო საქმეს და ამბებს თუ მოგაცდინეთ.

მოგზაურობა ჯერ გამუნჯებს და მერე გალაპარაკებს

ჩემთვის, საბჭოთა საქართველოს 1960-იანების თაობის წარმომადგენლისთვის, მოგზაურობის ლიბერალიზაციას მოყვა ახალი ადგილებით დაინტერესება. 90-იანებში გერმანიიდან ავტობუსით წავედი პარიზში. 8 საათი არ ჩამიმუხლავს, ისე შემოვირბინე პარიზი და მერე ავტობუსშივე მეძინა ჰაიდელბერგში დაბრუნებამდე. მაშინ ძალიან ბედნიერად ვგრძნობდი თავს, ყველა მთავარ ადგილს პლუსი რომ დავუსვი, მაგრამ ახლა ასეთი მოგზაურობა კომმარად მიმაჩნია. პირველი ნიშანი, როგორ მომეძებნა ჩემი ოპტიმალური და სასიამოვნო მოგზაურობა, ჩემმა ლონდონელმა მეგობარმა ფრანსისმა მომცა.

1998 წელს პირველად წავედი რომში ჩემს ინგლისელ კოლეგებთან ერთად. დიდ პროექტში ჩავერთე, რომელშიც ინგლისი, იტალია, ესპანეთი, ავსტრია, ფინეთი, სლოვენია მონაწილეობდნენ. ვაგროვებდით გენეტიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ მასალას კვებით აშლილობებზე. ეს იმას ნიშნავდა, რომ წელიწადში ორჯერ მაინც ვხვდებოდით სხვადასხვა მონაწილე ქვეყნებში. რომში დილაობით შეხვედრები გვქონდა და როგორც კი მთავრდებოდა, გავრბოდი ან ვატიკანში, ან პანთეონში. მოკლედ, რომში რა გამოლევს სანახავს და მინდოდა, 4 დღეში რაც შეიძლება ბევრი რამ მენახა.

მე და ფრანსის კონანი ერთ ოთახში ვცხოვრობდით და პირველი, რაც ძალიან კონტრასტული აღმოჩნდა, იყო ჩემი დიდი ჩემოდანი და ფრანსისის ნაჭრის მსუბუქი ჩანთა. რატომ? იმიტომ, რომ ფრანსისს არ უყვარს ბარგის ჩაბარება, დრო რომ არ დაკარგოს ბარგის ლოდინში და მისი მთავარი მიზანია, არაფერი ისეთი არ იყოს სამგზავრო ჩანთაში, რაც არ დაჭირდება. ჰა, ჰა ჰა, ჩემი მაშინდელი ჩემოდანი სავსე იყო ისეთი ნივთებით,

რაც რომში კი არა, სახლშიც არ მჭირდება ხოლმე. თუ გაინტერესებთ, მაგალითად, „ვაიდააცივდეს“ ტანსაცმლით. „ვაიდადაცხეს“? ხომ შეიძლება, რომანის ნაკითხვა მოგინდეს და „ვაიდასაკითხავიდაგიმთავრდეს“? არ ჯობია, ერთი-ორი წიგნი ჩალო? რვეულიც აუცილებელია, იქნება, არ ჰქონდეთ შეხვედრის ორგანიზატორებს? და ჯობია, რამდენიმე კალმისტარიც გქონდეს – რა იცი, რა ხდება. და რაც მთავარია, სალამოს რომ დაგპატიუებენ, რამდენიმე განსხვავებული კაბა, ფეხსაცმელი და ასე შემდეგ... საჩუქრები ხომ აუცილებელია, თბილისის ხედების, ერთი-ორი მძიმე თიხის სუვენირის გარეშე ხომ მოგვეჭრა თავი... მოკლედ, აღარ გავაგრძელებ. ბევრი გაიზიარებს ჩემს შეფასებას, რა მძიმეა ქართველი ტურისტის ბედი. მაგრამ ხუმრობა იქით იყოს. მართლა ძნელი იყო 90-იანებში, როცა საბჭოთა კავშირმა რკინის კედელი შიგნიდან გახსნა, ხოლო ევროპამ კედელი გარედან ჩაკეტა და გაართულა მგზავრობა.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, მე და ფრანსისი სალამოს ჩვენ-ჩვენი შთაბეჭდილებებით ვბრუნდებოდით და მე ვუყვებოდი, როგორ მოვასწარი და დიდ რიგში დგომის შემდეგ შევედი ვატიკანში, და მერე გავვარდი კაპიტოლიუმში, და ასე შემდეგ.

ფრანსისი მიყვებოდა, როგორ კარგად დაისვენა პიაცა დიფი-ორტის მოედანზე, ლანჩი და მერე ცოტა შოპინგი, მერე ნავონაზე შეხვდა ამხანაგს და ჩამოჯდა კამპარით, და მერე, ტრასტევერეზე სეირნობის მერე, უკვე მეც შევუერთდი ვახშამს ჩვენს კოლეგებთან ერთად, ოღონდ არაქათგამოცლილი. ამ ამბავს იმიტომ ვიხსენებ, რომ რალაცეები გადამაფასებინა ამ მოგზაურობამ.

ამჟამად ჩემს სამოგზაურო ჩანთაში არაფერია ზედმეტი და მსუბუქი ლეპტოპიც მშველის, რა თქმა უნდა, ბიბლიოთეკით რომ არ ვიარო; არასოდეს აღარ ვდგები რიგში და სანახაობების პრიორიტეტები შეიცვალა: **„უნდა ვნახო“ ჩანაცვლა „მინდა ვნახო“-მ.** და თუ ყველაფერი ვერ ვნახე, ესეც არ არის დიდი ტრაგედია. ან – ისევ ჩამოვალ, ან – მთავარია, როგორ გავატარე ჩემი მოგზაურობა და არა რამდენი მუზეუმი თუ მონუმენტი ვნახე...

ამ ამბის მერე ალბათ 40-ჯერ მაინც ვიყავი იტალიაში. ჯერ ერთი, ძალიან მიყვარს, მერე – არდადეგების არჩევანი ოჯახში თუ მე მომანდეს, ყოველთვის იტალიას ვირჩევ და, ამის გარდა,

საბედნიეროდ, ძალიან ბევრი მეგობარი და კოლეგა მყავს იქ. ხშირად მეპატიჟებიან ფსიქოლოგთა და ფსიქიატრთა კონფერენციებზე და ოპონენტად ასპირანტების გამოცდებზე. თუ რამე სერიოზული მიზეზი არ მაქვს, ყოველთვის ვთანხმდები ამ მოწვევებს... სხვა ქვეყნებზე ბევრჯერ მითქვამს უარი სხვადასხვა პრიორიტეტის გამო და როცა ისეთი დღე მაქვს, რომ უბრალოდ ქუჩაში ხეტიალი, ბაზარში ჩემი დამტვრეული იტალიურის გავარჯიშება და კარგი ტრატორიის აღმოჩენა დიდ ბედნიერებას მანიჭებს, მახსენდება ჩემი ფრანსისი და მადლობელი ვარ მისი, ისევე როგორც იმ ამოუწურავი შესაძლებლობების, რაც ინგლისში ცხოვრებამ მომცა და, რა თქმა უნდა, ჩემმა არაჩვეულებრივმა ოჯახმა ეს ყველაფერი რომ რეალური გახადა ასეთი ხელშეწყობით...

დიდი მადლობა ჩემს დაიკო ნათიას, ჩემს საყვარელ სიმონს, ლექსოს და სოფოს, და ჩემს კესოს, ეს პროექტი რომ დამავალა. მართალი ხარ, ჩემო ძვირფასო, ჩემი ინგლისში გამოცემული ტრილოგიით იამაყებთ, მაგრამ წაკითხვა გაგიჭირდებათ; ამ პატარა ჩანაწერებს კი გადახედავთ და გაერთობით 😊 იმედია 😊



ინგლისი და ინგლისელები

პანდემია, უცნაური ცხოვრება კოვიდის ფონზე ორი წლის წინ დაიწყო. ჩემი ფიზიკური მოძრაობა სამხრეთ-აღმოსავლეთ ლონდონით შემოიფარგლა და ვირტუალური კომუნიკაცია, კომპიუტერთან გატარებული დრო ასტრონომიულად გაიზარდა.

ამას წინათ ჩემს საყვარელ რადიოპროგრამაში „Desert Iceland Disks“ სტატისტიკოსს ვუსმენდი და საინტერესო რამ თქვა ამ კემბრიჯელმა პროფესორმა. ბევრი ვიფიქრეო და რიცხვებს და სტატისტიკას ისე შეუძლია დაგანახოს მოვლენები, როგორც სხვას არაფერსო. პანდემიის დროს ასობით შემცირდა ახალგაზრდებში სიკვდილიანობა, ავტოავარიები, კლუბებში გადაჭარბებული სმით და ნარკოტიკებით გარდაცვალება; მე კიდევ დავფიქრდი და რადიოს მოსმენა პანდემიამდე ნამდვილად არ შედიოდა ჩემს რეჟიმში. სულ ნერვებს მიშლიდა და მაკვირვებდა სამზარეულოში მუდმივად ჩართული რადიო ჩემი ბების და ბაბუის სახლში, სტუმრადაც და ასე შემდეგ.

BBC-4-ს მართლა კარგი რადიოგადაცემები ჰქონია და პანდემიის დროს ჩემმა ამოჩემებულმა რადიო პროგრამებმა კომპიუტერისგან დაღლილი თვალებიც დაასვენა და იმაზე მეტი რამ გამაგებინა, რაც აქამდე ვიცოდი. Great Lives, Desert Iceland Disks, Women’s Hour, All in the Mind – ეს ის პროგრამებია. რომლებმაც ცოტა მაინც გააადვილა თეატრში, კინოში, გამოფენებზე სიარულის დეპრევაცია.

ინგლისელებმა აღმოაჩინეს, რომ თურმე არც ისეთი ინდივიდუალისტები არიან, როგორც ეგონათ. მე კიდევ, ქართველმა, რომელიც ოცდაექვსი წლის წინ გაცემული ვიყავი, სულ ამინდზე და ბალებზე როგორ ლაპარაკობენ და მებაღეობით ასე ყველა რატოა გაგიჟებული-მეთქი, პანდემიის დროს აღმოვაჩინე, რა ბედნიერება და საოცრება ყოფილა მებაღეობა და მცენარეებთან ურთიერთობა; ალბათ ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ინგლისელები სულ ამინდზე ლაპარაკობენ, ბალის სიყვარულით და საკუთარ და სხვის ემოციებზე საუბრისთვის თავის არიდებით აიხსნება...

მოკლედ, 26 წლის შემდეგ ბაღზე და ამინდზე საუბარი ჩემს რეპერტუარშიც შემოვიდა. „არასდროს თქვა „არასდროს“...

პანდემიის დროს უსაყვარლეს მეგობრებს და კოლეგებსაც ვერ ვნახულობ და გაგიკვირდებათ და ახალი ადგილობრივი მეგობარი შევიძინე, ჩემი ლოკალური პარკის მეზაღე ტიმი. ერთ მშვენიერ დღეს რასკინ-პარკში სეირნობისას ხავსს და ხის სოკოს ვაგროვებდი ორგანული კომპოსტისთვის და ტიმი გამომელაპარაკა, რად გინდაო. მოვუყევი, რომ პანდემიის ფონზე ცოტა გავაჟილე და კომპოსტის კეთებას და ჩემი ბალის მოვლას სერიოზულად მოვეციდე; ისიც ვუთხარი, ჯერჯერობით ქინგს კოლეჯში ვმუშაობ და ამ საქმით ვერთობი-მეთქი; მე მეზაღე ვარო და ასე თუ გაინტერესებს ეს ამბები, ლანჩის დროს, როცა მოიცლი, თან დამეხმარე და თან რაღაცეებს გასწავლიო. ასე დაიწყო ტიმის და ჩემი თანამშრომლობა და ამას მოყვა ბევრი არაჩვეულებრივი მოხალისის გაცნობა. ზოგი ბალის საქმეში ეხმარება ტიმს, ზოგი პარკს ასუფთავებს და ყველა ძალიან ბედნიერია; ერთი საინტერესო რამ აღმოვაჩინე ამასობაში: ლათინურამერიკელებს ძალიან უყვართ პარკში შეკრება, ხმაური და ცეკვა, ოღონდ მერე ნაგვის გადაყრა არ უყვართ და პარადოქსული რამ ხდება, დილით ინგლისელები და ჩემნაირი მოხალისე, ჩამოსული მეცნიერები და ექიმები ალაგებენ პარკს, ხოლო წუხანდელი ლამენათევი, ცეკვით დადლილი ბრაზილიელები, პერუელები და ა.შ. – ალაგებენ ჩვენს სახლებს, ოფისებს, დარაჯობენ ამ უბნის ან ცენტრალური ლონდონის შენობებს... მთავარია, ყველა ბედნიერია...

ჩემი ბავშვობის ეზო თბილისში და ახლანდელი ეზო ლონდონში...

ჩემს, 60-იანთა თაობას და უფროსებს კარგად გვახსოვს იტალიური ეზოები თბილისში. მე ერთ-ერთ ასეთ ეზოში გავიზარდე გრიბოედოვის ქუჩაზე, 13 ნომერში); სწორედ ამ იტალიური ეზოს წყალობით ვადევნებდი თვალს ყველა ჯურისა და ასაკის მეზობლების ცხოვრებას: თათარი სიმბოევების დიდი ოჯახი, სომხები – შუშანა და მისიანები, ოლია სანოვა... ისე მახსოვს, ჭკვიანად თუ მოვიქცეოდით, სამგანზომილებიანი წიგნის „წითელ-

ქუდას“ დათვალიერების უფლება გვეძლეოდა, ოღონდ კარგად დაბანილი ხელებით. ჩვენ ეზოს ბევრ ეპიზოდურ როლში გადაღებული ვალიკო დონლუზაშვილიც ყავდა და ძალიან ამაყები ვიყავით, როცა თვალს მოვკრავდით ბატონ ვალიკოს ფილმიშიც და ეზოშიც. რადგან მამაჩემი და ბიძაჩემი ამ სახლში გაიზარდნენ და პირველსკოლელები იყვნენ, გრობოედოვის ქუჩა, კონსერვატორიიდან ვოკალის და როიალის სავარჯიშოები, სუნები სხვადასხვა დიასახლისების სამზარეულოებიდან, ალბათ ჩუმ-ჩუმად ერთმანეთს რომ ეჯიბრებოდნენ – ჩემი ბავშვობის ხმები, სუნები და ამბებია.

ჩვენს სართულზევე ცხოვრობდნენ ჩემი ნათესავები, კალანდარიშვილები. ძია თენგო გვამღერებდა, გივი კალანდარიშვილი ცნობილი კარდიოლოგი იყო, კიდეც – მამას ბავშვობის მეგობრები დარჩიები და ასე შემდეგ და ასე შემდეგ...

როცა თბილისში გრიბოედოვის ქუჩაზე ვხვდები, ნოსტალგია შემომანვება და შევივლი ხოლმე ჩემს ძველ იტალიურ ეზოში, რამდენიმე სურათსაც ვიღებ და მერე ვშლი, იმიტომ, რომ ეს ის ეზო აღარაა, არც ბავშვები თამაშობენ და არც ეზოს ონკანია ცენტრში, მაგრამ ერთ დროს ჩემი იტალიური ეზო ჩქეფდა და დულდა და სულ სხვანაირი იყო... ეს იყო წინა საუკუნის 60-70-იანებში. რა დიდი მეჩვენებოდა მაშინ და რა პატარა ყოფილა ჩვენი ეზო; ახლა მახსენდება და მეცინება, რა პოლიტიკურად არაკორექტული გათვლები გვექონდა ბავშვებს: „თათარო, თათარო, შენი თავი გავთალო“, ან „ბუხტარ ბუხტარ ბუხტარ ბე“ და ასე შემდეგ...

რაც ლონდონში გადმოვცხოვრდით, ტიპური დიდი ქალაქის „ყველა თავისთვის“ სახლებში ვცხოვრობდით. მაგალითად, პირველ წელს საშობაოდ მოსალოცი შემოგვიგდო ყველაზე კომუნისტურმა მეზობელმა ზუსტად ამ ტექსტით: „№8 გილოცავთ შობას, №4-ში მაცხოვრებლებო“. აი ასე ზუსტად... მაშინ კი ბევრი ვიცინე და განზოგადებებიც არ მიყვარს, მაგრამ ასეთ დეტალებში ბევრ ნიუანსს გრძნობ...

ახლა ჩვენ სამხრეთ-აღმოსავლეთ ლონდონის ერთსაუკუნოვან სახლში ვცხოვრობთ, სადაც 10 ბინაა. მართალი გითხრათ, პანდემიამდე თავაზიანი საღმთი შემოიფარგლებოდა ჩვენი მეზობლებთან ურთიერთობა. ყველას უამრავი საქმე აქვს, სტრესი,

ხანგრძლივი მგზავრობა სამსახურამდე და ასე შემდეგ... იმდენად, რომ არც ახალ წელს ულოცავენ ერთმანეთს და როცა ეჩქარებათ, სალამზეც არ წუხდებიან.

პანდემიამ ჩაგვკეტა ეზოში, მაგრამ ისე დაგვამეგობრა ჩვენი სახლის ბინადრები, მეზობლები შაქრის ან მწვანის სასესხებლად რომ მოდიან, ჩემი გრიბოედოვის ქუჩა მახსენდება.

ეტყობა, კონტექსტი იმდენ რამეს ცვლის, ეს ჩემი ინგლისელი მეზობლები იტალიელებივით და ქართველებივით გაიხსნენ და ისე გალადნენ, რომ ამ ბოლო ერთი წლის მანძილზე ნამდვილი „კლასტერი“ გავხდით.

ლონდონში ცხოვრების პირველ წლებში მაცოცხდა პარასკევს დანყებული ჟრიაული. პარასკევი აქ ყველაზე საყვარელი დღეა. რატომ? იმიტომ, რომ სამსახურის მერე ხალხის უმრავლესობა პაბში დადის, პოპულარული პაბები ისეა გადაჭედული, ხალხი ტროტუარზე დგას ან ზის და საუბრობს, და ბევრ ლუდს ან სხვა რამეს სვამს, უფრო – ლუდს და რაც მთავარია, დასვენების ორი დღე წინ არის. ეს სისხლში გამჯდარი ტრადიციაა და პანდემიის და ჩაკეტილობის ფონზე პარასკევს მეზობლებმა ჭიქა ლუდით დაიწყეს ჯერ ჩამოსვლა, ახლა კი ყველა თავისი ბოთლით ჩამოდის და მისაყოლებელიც მოაქვს რამე...

ზაფხულის ერთ-ერთ საღამოს ეკა და რიჩარდ კოქსები დავპატიჟე. ეკას და რიჩარდს საქართველოს ვენახებიდან ღვინო ჩამოაქვთ, ახლა რესტორანიც გახსნეს მეზობელ უბანში, ღვინის შესახებ ლექცია ჩავგიტარეს და დეგუსტაცია მოგვინყვეს. ისეთი კარგი საღამო გამოვიდა, მთელმა ეზომ გადაწყვიტა, როგორც კი ჩაკეტილობა დამთავრდება, საქართველოს ეწვიონ.

ეკა მაშინვე მიხვდა ამ უბნის სიკეთეს. გამვლელ-გამომვლელები სულ მეკითხებიან, ეს ღვინო აღმოსავლეთ საქართველოდან არის თუ დასავლეთიდანო; ხაჭაპური თუ გაქვთო; მეგობრები მყავს საქართველოში, ან ნამყოფი ვარო, და ასე შემდეგ... ამას წინათ ეკამ მითხრა, ეს რა უბანი გქონიათ, ერთი ჟურნალისტი მოვიდა, მე აჭარული ხაჭაპური მიყვარს და რატომ არ აცხობთო; მოკლედ, ძალიან გათვითცნობიერებული და „გაქართველებული“ გამოდგა სამხრეთ-აღმოსავლეთ ლონდონი და მოუწიათ ეკას და მის თანამფლობელებს აჭარულის მენიუში შეტანა. აბა! სამხრეთ-აღმოსავლეთ ლონდონის

საქართველოსთან დამეგობრებაში კი განსაკუთრებული წვლილი ჩვენს ოჯახს და მაკო აბაშიძეს ეკუთვნის...

მაკომ ამასწინათ ისე იყოჩაღა, ქართული ცეკვის კლასიკ გვაქვს, ჩემო ბატონო; ხუმრობა იქით იყოს და სტივენ ნეშიც – საქართველოში გაერთიანებული სამეფოს პირველი ელჩი – ჩვენი უბნელია და მისი ყოფილი მეუღლე რუსიკო და შვილი მოლი ჩემი ქართული ცეკვის კლასელები არიან... არ დამავიწყდეს, დიდი მადლობა შალვა მასნ-ს, არაჩვეულებრივ შალვა ქავთარაძეს ლონდონელი ქართველების აცეკვებისათვის; რა მოთმინებით გვიტანს ამდენ მონდომებულ მონაფეს, ყველა ასაკისას, და თან რამდენ ენაზე გვასწავლის – ინგლისურად, ქართულად, რუსულად...

სხვა უბნებში კიდევ ხშირად მეკითხებოდნენ, სად არის ზუსტად ეგ ქვეყანაო, მიყვება ეკა...

ქინგს კოლეჯის დიდი ნაწილი სამხრეთ-აღმოსავლეთ ლონდონშია და ნამდვილად ინტელიგენტურ ფონს ქმნის ქალაქის ერთ დროს ძალიან ლატაკი და გაუბედურებული ნაწილისთვის.

რაც უფრო მეტად დავინტერესდი ლონდონის ისტორიით და კვირის სეირნობებს ავყევი, მეტი და მეტი გავიგე.

მაგალითად, სამხრეთ ლონდონი ამაცობს იმით, რომ ჩარლი ჩაპლინი აქ დაიბადა, ლოურენს ოლივიემ და მისმა თანამოაზრეებმა მდინარის სამხრეთ, ანუ ჩვენ მხარეს დააარსეს თეატრი და ვესტენდის თეატრებისგან განსხვავებით, ავანგარდული მიმართულება მისცეს; სოციალური დაცვის კონცეფცია სწორედ აქედან დაიწყო.

ჯერ კიდევ ვიქტორიას მეფობის დროს მომსახურე ცოლქმარს აშორებდნენ მოხუცებულობის ასაკში და კაცებს მოხუც მამაკაცთა თავშესაფარში უშვებდნენ, ქალებს – ქალების თავშესაფარში, სანამ სამხრეთ ლონდონის მასწავლებლებმა და შედარებით განათლებული ფენა არ ახმაურდა და სოციალური დაცვის ინსტიტუტები არ შემოიღეს.

სამხრეთ ლონდონი ფერადია ყველა ნიშნით, ფერადი და ჭრელი; აქ ნახავთ ყველაფერს... ხან აფრიკაში გეგონებათ თავი, ხან ბერძნულ სოფელში, ხან ბრაზილიელების დიდ ჯგუფს გადაეყრებით.

მე ვფიქრობ, ჩელსი და კენსინგტონი ძირძველი მდიდარი ინგლისელების, რუსების და ასტრონომიულად მდიდარი არაბებისაა,

ჰამსტედი ინგლისელების და ებრაელების, აღმოსავლეთ ლონდონი – მუსლიმი აზიელების, მაგრამ ჩვენი სამხრეთ-აღმოსავლეთი ნამდვილად ჭრელია და ძნელია კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის დასახელება... ახლა ქართული რესტორანიც გვაქვს და ბუნებრივად მაგნიტივით გვიზიდავს აქ მცხოვრებ ქართველებს. იმაზე მეტი ვყოფილვართ ამ უბანში, ვიდრე მეგონა...

ჩემთან ახლომდებარე პარკი Ruskin Park იმ ცნობილი მეცნიერის, მწერლის და ფენომენალური დიაპაზონის კაცის სახელს ატარებს, რომელიც აქ ცხოვრობდა. ეს არაჩვეულებრივი პარკი ყოველთვის მიყვარდა, მაგრამ ახლა ბევრად მეტად, იმიტომ, რომ მსიამოვნებს, როცა ჩემს გაკრეჭილ ბუჩქებს, სარეველებისგან განმედილ გაზონებს და ჩემი დარგული ბოლქვებიდან ამოსულ სილამაზეებს ვუყურებ... დიდი მადლობა მებაღე ტიმს!

მეგობრები აქაც და იქაც

ნამდვილი მეგობარი ცოტაა. ჩემი ერთ-ერთი საყვარელი მეცნიერი რობინ დანბარი ამბობს, რომ მეგობრების რაოდენობა და ტვინის ზომა დაკავშირებულია ერთმანეთთან, ანუ რაც უფრო მეტი მეგობარი გყავს, მით უფრო დიდი ტვინი გაქვსო... ამის გარდა, დანბარმა შეისწავლა, რომ მეგობრების რიცხვი საკმაოდ მცირეა და თუ ფეისბუქზე დაკავშირებულ მეგობრებს გამოვრიცხავთ, ნამდვილი მეგობრების რაოდენობა ჩვენი ხელის თითების რაოდენობით შემოიფარგლება; ჰმმმ, დიდ პატივს ვცემ მის თეორიას და ფანტასტიური წიგნი დაწერა, მაგრამ არ მყოფნის თითები და რა ვქნა?

ფეისბუქის ილუზიას, რომ 500-ზე მეტი მეგობარი მყავს, არ ვარ აყოლილი, მაგრამ ვიცი, რომ ყველა ნაცნობია. მეგობრებს რაც შეეხება, მე მგონი, საკმაოდ მყავს და დიდ ბედნიერებად მიმაჩნია.

ინგლისელებს დიდი დრო სჭირდებათ იმისთვის, რომ იმ სივრცეში შეგიშვან, რასაც მეგობრობა ჰქვია. მიუხედავად ამისა, როცა ამ სივრცეში ხარ, გრძნობ, როგორ იცვლება ურთიერთობის ხარისხი. გრძნობ, რომ მარტო გაჭირვების დროს კი არ გიდგას გვერდით, შეუძლია შენი სიხარულიც გაიზიაროს. ჩემი უსაყ-

ვარლესი მასწავლებელი ბატონი გაიოზ შარაშიძე ამბობდა ხშირად: გასაჭირში თანაგრძნობა ყველას შეუძლია, აი, როცა ბედნიერი ხარ, იმის გაზიარებასაც თუ შეძლებს, ეგაა ნამდვილი მეგობრობა...

როცა ჩემი ქინგს კოლეჯის პროფესორობის ინაუგურაცია შედგა, რექტორმა მითხრა, როგორც წესი, ოჯახი და კოლეგები ვისაც აინტერესებს, ის მოდის და თუ გინდა, 50-კაციან დარბაზში ჩავატაროთ, ჩვენი ვულფსონის დარბაზი ძალიან პომპეზურია, 250 ადამიანი ეტევა, თან სამუშაო დღეს ვერ მოდის ხალხიო. მე ვთხოვე, მოდი, იყოს მაინც დიდი სალექციო დარბაზი და ჯობია, ადამიანები თავისუფლად დასხდნენ, არაუშავს, თუ ნახევრად ცარიელი იქნა-მეთქი. ინაუგურაციის მერე მომიბოდიშა რექტორმა, მართლა არ მეგონა, ამდენი მეგობარი და გულშემატკივარი თუ გყავდა, არ მინახავს ასეთ ლექციაზე კიბეზე მჯდომი ხალხი და ფეხზე დამდგარი ოვაციაო...

ჰოდა, დიდი მადლობა ჩემს უსაყვარლეს ქართველ მეგობრებს, ვინც შეძლო, ყველა რომ მოვიდა. განსაკუთრებით გამახარეს „უმცროსკლასელმა“ მეგობრებმა (ჩემმა საყვარელმა ნათია აბრამიამ და ირაკლი იმნაიშვილმა ჩვენ შეგვარქვეს „უფროსკლასელები“ და თვითონ, როგორც უფრო ახალგაზრდებმა, „უმცროსკლასელები“ დაირქვეს, ჩემმა მართლაც არაჩვეულებრივმა და საამაყო ქართველებმა). ჩემი ინგლისელი მეგობრებიც მოვიდნენ (ბავშვების სკოლის ეზოდან, სამეზობლოდან, უკვე დიდი ხანია, ჩემს კოლეჯში რომ აღარ მუშაობენ და სხვა ქალაქებში გადასახლდნენ)... და კიდევ ბელგიელი, სლოვენელი კოლეგები ჩამოვიდნენ, და გერმანიიდან ჩემი ნასტუდენტარი დედიკოსთან ერთად რომ გამოცხადდა, კინალამ ვიტირე...

რაც შეეხება „უმცროსკლასელ“ საამაყო ქართველებს, როგორც კი დამთავრდა ინაუგურაცია, ჩემი ცირა კემულარია და დათო გიგაური მოვიდნენ თაიგულებით. ორი არაჩვეულებრივი ქართველი – საქმით, შესახედაობით. ქეთი და ზურიკო მელუები ისხდნენ დარბაზში მამიკოსთან ერთად და მთელი ჩემი ცეკვის კლასიც მოვიდა შალვა მასწავლებელთან ერთად. ალბათ ეცინება ამის წამკითხველს – რამ დამანყებინა ქართული ცეკვა 60-ს მიკაკუნებულ პრაფესორს, მაგრამ ცეკვას თუ ვერ ვისწავლი... როგორ არის? „თუ პოეტი არ გამოხვალ, წერას მაინც ისწავლიო“...

მოკლედ, რაღაც კარგი აურა და სითბო აქვს ჩვენს ცეკვის კლასს და გამახარეს, იმ დღეს ჩემ გვერდით რომ იყვნენ...

უზარმაზარი ბედნიერებაა, ლონდონში ჩემი პატარა საქართველო რომ მაქვს, უსაყვარლესი მეგობრებით, რესტორნებით, ცეკვის კლასით, ეკლესიით, მაგრამ ასიმილაცია აუცილებელია და სწორედ ჩემმა ინგლისელმა მეგობრებმა შემინყვეს ხელი, რომ ინგლისი ჩემი მეორე სამშობლო გახდა, მართლა დიდ პატივად მიმაჩნია მისი მოქალაქეობა და ისევე მწყინს მისი კრიტიკა, როგორც საქართველოსი. ორივე ქვეყნის ავ-კარგს ვხედავ და ბედნიერი ვარ, რომ ჩემი შვილები ორივე ქვეყნის შვილები არიან, აზავებენ მდიდარ ტრადიციებს და ბევრად უფრო ფართო დიაპაზონი აქვთ შესაძლებლობების და ფანტაზიის, ვიდრე მე და სიმონს გვქონდა მათ ასაკში...

მეგობრებზე კი იმას ვიტყვოდი, რომ რადგან რამდენიმე ქორნილში ვიყავით მე და სიმონი, სადაც მხოლოდ 50 სტუმარი იყო, ეს იმას ნიშნავს, რომ ოჯახთან ერთად იმ ხალხმა დიდი პატივი დაგვდო და ბედნიერი დღე გაგვიზიარა. ასევე, დიდ დაბადების დღეებზე, სადაც მარტო ახლობლებს ეპატიჟებიან, არაერთხელ მოგვინია ინგლისის სხვადასხვა კუთხეში ღამისთევით წასვლა. ჩვენი მეგობრების უმრავლესობა აკადემიური საშუალო და მაღალი კლასია (სამწუხაროდ, ეს კლასობრივი დაყოფა ისეა გამჯდარი ინგლისში, ღმერთმა დაიფაროს და სოციალისტური რევოლუცია თუ არ გამეორდა, არ შეიცვლება), უმრავლესობას აქვს თავისი აგარაკი ან საყვარელი ადგილი და დიდი დაბადების დღე იქ აღინიშნება ხოლმე. ამის გამო ბევრ ისეთ ადგილას ვიყავით, რაც არატურისტულია და ძალიან ნამდვილი...

ჯანეტი თრეჟერი უნიკალური ადამიანი, ნამდვილი მეგობარი, მენტორი და კოლეგაა, რომელმაც ბევრი რამ დამანახა ინგლისზე და ინგლისელობაზე თავისი სითბოთი, უკიდევანო ხელგაშლილობით და სტუმართმოყვარეობით. ჯანეტი ალბათ ერთ-ერთი კლასიკოსია ჩემს სპეციალობაში. მედიცინაში ფიზიოლოგიის სპეციალობიდან მოვიდა და როცა კვების აშლილობების პატარა, ახალდაარსებული განყოფილება ჩაიბარა, 10 პაციენტს მკურნალობდნენ განყოფილებაში და დაახლოებით ამდენივე თანამშრომელი ჰყავდათ.

თავს არ შეგანყენთ და მოკლედ გეტყვით, რომ დღეს ეს განყოფილება სამ დიდ სამკურნალო პროგრამად გადაიქცა და თან მთელ ბრიტანეთს ემსახურება. გვაქვს განყოფილება 18 სანოლით, დღის სტაციონარი 20 პაციენტით და პოლიკლინიკა ასობით პაციენტით. თანამშრომლების რაოდენობა დაახლოებით 120-ია. მიუხედავად იმისა, რომ ლონდონში 4 ასეთი დიდი ცენტრი და მთელ გაერთიანებულ სამეფოში უამრავი კლინიკაა, დაახლოებით 8-თვიან რიგში დგანან პაციენტები ჩვენს კლინიკაში მოსახვედრად. საქართველოში ასეთი სამსახური, სამწუხაროდ, არ გვაქვს; ამაზე აღარ ვინუნუნებ და ჯანეტს დავუბრუნდები...

ჯანეტის მამა რომ როლს-როისის მთავარი ინჟინერი ყოფილა, გავიგე შემთხვევით და მასთან ურთიერთობის ბევრი წლის მერე. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ინგლისელები არასოდეს თავს არ გახვევენ გამოჩენილ წინაპრებს, არასოდეს თვალში არ გეცემათ მათი სიმდიდრე. ამას როგორღაც მშვიდად უყურებენ.

არაერთხელ ვყოფილვარ ჯანეტის ლონდონის სახლებში, დამისვენია მის ოკეანისპირა საფრანგეთის სახლში 3-4-ჯერ, ხშირად ჩავდივარ კენტში მის ფერმაში და გაოცებული ვარ, რა გაუკეთა მიგდებულ ფერმას მთელმა ოჯახმა. მაგალითად, ამ 25 წლის განმავლობაში ჩემი თვალით ვნახე, როგორი ფანტასტიური ვაშლის და ქლიავის ბალი გაშენდა არაფრიდან; როგორ გაიზარდა იმ ხეების ტყე, რომელიც ჯანეტმა და მისმა ყოფილმა მეუღლემ ტომმა საიდან არ ჩამოიტანეს (ოღონდ პატარა ნერგების სახით). საფრანგეთიდან შედარებით ადვილია და ჰოლანდიაში წავიდა ტომი სპეციალურად, რომ ხის ნერგები ჩამოეტანა. ძველი ფერმის შენობაც ისე აღადგინეს, რომ ყველა დამახასიათებელი თვისება შეუნარჩუნეს და ბოლოს ანდერძი დაწერეს, რომ ლონდონის ერთ-ერთ, ძალიან ძვირადღირებულ სახლს თავიანთი გარდაცვალების მერე ქინგს კოლეჯს დაუტოვებენ. ერთხელ გავბედე და ვკითხე, ჯანეტ, ორი შვილის და შვილიშვილების პატრონი ამას რატომ აკეთებ-მეთქი და მიპასუხა, ჩემს შვილებს ამდენ რამეს დავუტოვებ და თვითონაც ხომ უნდა გააკეთონ რამეო.

კარენ ბეისოუ – ჩემი ყოფილი ბოსი და ამჟამად მეგობარი – ასევე საინტერესო ქალია. ახლაც ეტყობა, როგორი ლამაზი იყო და ალბათ

ბევრი თაყვანისმცემელიც ჰყავდა. ფსიქოლოგია და იმ სამაგისტრო პროგრამაში, რომელშიც პირველი სალექციო კურსი მომცა, საოცარი რალაცეები გააკეთა. ააყვავა და გააფართოვა ფსიქიკური ჯანმრთელობის მაგისტრატურა, მერე თქვა, მგონი, დროა გავჩერდე და რამე სხვა ვაკეთოო. მოდი, გადაიბარე დირექტორობა, უკვე მზად ხარო – სამ წელიწადში გამომიცხადა. კინალამ გავგიჟდი, არ მინდა, დიდი მადლობა, სად მიდიხარ ეს იდეებით სავსე ახალგაზრდა ქალი-მეთქი... არაო, აქ რომ დავრჩე და მერე დაჩაჩანაკებული გავიდე პენსიაზე, იმდენი სხვა რამის მოსწრება მინდა, დროზე უნდა წავიდეო. აი, ასე, ადგა და წავიდა, ზენიტში როცა იყო, მას შემდეგ კი ჩვენი მეგობრობა უფრო გაღრმავდა და ახლა ოჯახებით ვმეგობრობთ. ერთი წლის შემდეგ კარენმა მთხოვა, მთელი ოჯახით ჩამოდით ჩვენთან ჰეიშიო. ჰეის ფესტივალები გაგონილი მქონდა, მაგრამ ნანახმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა...

კარენმა და მისმა მეუღლემ ჯონ კლერმა ადრე გადანყვიტეს პენსიაში გასვლა, გაყიდეს თავიანთი არაჩვეულებრივი სახლი ჩიზიკში და გადაბარგდნენ ჰეიში. იყიდეს ისტორიული შენობა ტინტო ჰაუზი და პატარა, სამნომრიანი სასტუმრო გააკეთეს. ჰოდა, სწორედ იქ დაგვპატიჟეს მთელი ოჯახი.

ჰეის წიგნის ფესტივალი ცნობილია; ერთი პანაწინა ქალაქია და იმდენი წიგნის მაღაზიაა, უფრო მეტად – ანტიკვარული, ვერ დავთვალე. ბევრი პატარა ჩაის სახლი, ფესტივალის დროს ქალაქის შესასვლელში იშლება კარვები, იმართება მუსიკალური სალონები, ლექციები, კომედიანტების გამოსვლები. ბილეთებზე ადრევე თუ არ იზრუნე, შეუძლებელია ისე მოხვედრა.

ჯონი მხატვარია, გიჟდება მუსიკაზე და ნოტინგ ჰილზე ყველაზე ცნობილი ჯაზური მუსიკალური მაღაზიის მებატრონე იყო (ალბათ, დღემდე წილი აქვს ამ უნიკალურ მაღაზიაში); ფსიქოანალიზის ტრენინგი ანა ფროიდის ცენტრში აქვს გავლილი და პაციენტებსაც იღებდა, მაგრამ ახლა ხატავს და როცა სასტუმროზე დიდი მოთხოვნაა ფესტივალის დროს, კარენს ეხმარება.

ჰეიში ვიზიტის მერე კარენის გადანყვიტელება კარგად გავიგე და გავიზრე: წავიდა ლონდონიდან; დაიწყო ახალი საქმე, სეზონს რომ ამთავრებენ, მერე საფრანგეთში ან საბერძნეთში მიდიან იმდენი ხნით, სანამ ჯონს ხატვა და კარენს ცურვა არ მოებზრდებათ.

კარენმა მკითხა, ახლაც გიკვირს, რატომ მომბეზრდა ქინგს კოლეჯის ბიუროკრატიაო?

რაც უფრო დაწინაურდი, უფრო მესმის, კარენ. მაშინ ექს-ცენტრულად მეჩვენა შენი ლონდონიდან გაქცევა...

პანდემიის დაწყებამდე კიდევ ერთხელ ვიყავით კარენთან და ჯონთან, ამჯერად – მე და სიმონი. ძალიან სასიამოვნო შაბათ-კვირა გავატარეთ. პანდემიის დროს ხშირად ვწერდით ერთმანეთს. ლონდონში ჩვენი ცხოვრების სტილი რადიკალურად შეიცვალა. არც კინო, არც თეატრი, არც გამოფენები. პომპეზურ შენობებში ჩამკვდარი ლონდონი ძნელი შესაგუებელი იყო. კარენი მწერდა, ჩვენ ვერ ვგრძნობთ რამის შეცვლას, ერთია, რომ შვილიშვილებთან ჩამოსვლა გვენატრება ლონდონში და თეატრში სიარულიო...

მინდა, კიდევ გიამბოთ ჩემს არაჩვეულებრივ ინგლისელ მეგობრებზე, მაგრამ ალბათ ჯობია, სხვა ამბებზე გადავიდე...

ლონდონი და დანარჩენი

ბრექსიტით დავინწყებ...

აი, იმ პატარა ინგლისურ ადგილებში, სადაც ძალიან თავაზიანი, საშუალო ასაკის ინგლისელები ცხოვრობენ, პირველ რიგში ლონდონიდან ჩასულ ადამიანს თვალში მოხვდება, რომ მოსახლეობა ერთფეროვანია და სოფლის პატარა მაღაზია ზუსტად იმ პროდუქტს ან ტანსაცმელს ყიდის, რაზეც მოთხოვნაა.

რადგან საახალწლოდ საქართველოში ვერ დავდივართ, ჩვენი პატარა ოჯახური ტრადიციაა, ყველა ერთად წავიდეთ ბუხრიან სახლში, სოფელში, ლონდონიდან არც ისე შორს და შობის დღეები ახალ ადგილას გავატაროთ. ჰოდა, ვისწავლეთ, რომ თუ რამე განსაკუთრებული მომზადებას ვაპირებთ, ლონდონშივე ვიყიდოთ და იმასაც შევეგუოთ, რომ ასეთ სოფლებში ყველამ ევროპის დატოვებას მისცა ხმა, ალბათ იმპერიის დაშლაზეც სწყდებათ გული და ჯობია, ამინდზე და ბალის თემებზე საუბრით შემოვიფარგლოთ. ისიც არაა სანყენი, რომ ლონდონელებს ცოტა ეჭვით უყურებენ. ლონდონი ხომ ძალიან ქრელი, ტრადიციების პატივისმცემელი, მაგრამ სულ ახლის ძიების ადგილია...

ძალიან მიყვარს სოფელში გასვლები და ასეთი კარგი ადგილები, მაგრამ ვგიჟდები ლონდონზე.

26 წლის განმავლობაში ყველაზე დიდი ბედნიერებაა, ამდენ სხვადასხვა ადამიანს რომ ხვდები და ამდენი ახალი რამის აღმოჩენა შეგიძლია. ლონდონმა ხმა მისცა ევროპულ ოჯახში დარჩენას...

ჩემი აქ ნახსენები მეგობრებიც: ფრანსისი, კარენი, ჯანეტი შენუხებულები და აღშფოთებულები იყვნენ ბრექსიტის შედეგებით. ერთად ვწერეთ პეტიციებიც, დემონსტრაციებზე აქაც თუ მომიწევდა სიარული, არ მეგონა, მაგრამ უშედეგოდ...

კომუნიკაცია:

ინგლისელები უაღრესად ფრთხილი და უმეტეს შემთხვევაში, ტაქტიანი ხალხია კომუნიკაციაში და კამათის/დებატების დიდი ტრადიცია აქვთ. თავიდან ბევრი უცხოელისთვის დაცინვის საგანია, რომ ინგლისელები დიდ დროს უთმობენ ამინდზე საუბარს, თუმცა დროთა განმავლობაში დავრწმუნდი, რომ ამ გზით ხშირ შემთხვევაში შესაძლებელია კომუნიკაციის ნავიგაცია და კონფლიქტის არიდება წვეულებაზე თუ უცხო ადამიანებთან. პოლიტიკაზე იშვიათად საუბრობენ და რამდენად ცინიკურადაც არ უნდა იყვნენ განწყობილი სამეფო ოჯახის ან ბრექსიტის მიმართ, სხვისგან ამ საგანზე კრიტიკას და ზედმეტ კომენტარებს წყენა მოაქვს და შეიძლება არ გამოხატონ, მაგრამ ნაწყენები დარჩნენ.

ამინდი, ბალის მოვლა, ცხოველები, ინტერესები და მოგზაურობები, საინტერესო ნიგნები...

რამდენ რამეზე შეიძლება ლაპარაკი დაუძაბავად, ხმის ჩახლემამდე კამათისა და წყენის გარეშე. პოლიტიკა არასოდეს მყვარებია და ბოლო წლებში ისე გულს მტკენს ჩემი ახლობლების დახლერა ბანაკებად და ერთმანეთის უპატივცემულობა, რომ ყოველთვის თავს ვარიდებ ამ თემაზე ლაპარაკს. იმასაც მივხვდი, რომ არასდროს არცერთი პოლიტიკოსი არ მომწონს, არც მთავრობა, არც პოლიტიკური ლიდერები. მიყვარს ქვეყნები, ხალხი და ვცდილობ, მეტი გავიგო და მოვუსმინო ჩემს საკუთარ ქვეყანაშიც, რას და რატომ ფიქრობს ადამიანი და არასოდეს არ ვცდილობ, ჩემს აზრზე მოვაქციო...

ბრიტანეთი დიდ იმპერიას მართავდა და ბევრი რამის სწავლა შეიძლება მათგან.

რეცეპტი:

გემოები, სუნები და შეგრძნებები ისევე აუცილებელი ატრიბუტებია ქვეყნის აღსაქმელად, როგორც ხალხი, შენობები და ისტორია.

ინგლისური სამზარეულო მარტივი და მოსაწყენია, იმდენად, რომ როცა უცხოელი სტუმრები გვყავს დეპარტამენტში, ჩემი ინგლისელი კოლეგა მეგობრები ყოველთვის ინდურ რესტორანში ამჯობინებენ წასვლას და მერე პაბში, რა თქმა უნდა.

ინდური ალბათ ორი მიზეზის გამო – მაინც იმპერიის ნაწილი იყო და მაინც ყველა სხვა სამზარეულოსთან შედარებით ნაცნობი...

სოფლის პაბები მიყვარს, მაგრამ ლონდონის არა; სანაპიროზე თევზი და ბარდა, მაგრამ სახლში იშვიათად მომდომებია ინგლისური კერძის მომზადება, ამიტომ მარტივი იტონის დესერტის რეცეპტით შემოვიფარგლები.

Eton Mess – ზუსტი სახელი ასეთი აქვს ტრადიციულ დესერტს, რომელიც იტონის ცნობილი კოლეჯიდან მოდის (ვინც არ იცის, იტონი ის კოლეჯია, სადაც, ფაქტობრივად, მთელი ლორდთა პალატა სწავლობდა).

მარწყვი, ბეზე და ათქვეფილი ნალები ცოტა შაქრით და ვანილით ჭიქებში ან მინის ლამაზ ჭურჭელში მოათავსეთ და გამოვა იტონის დესერტი. აი ასე მარტივად...

ტიპიური სასმელი ჯინი და ტონიკია, ცოტა ყინულით და ლიმნით. მე ლუდი დიდად არ მიყვარს, მაგრამ ვიცი, რომ ჯობია, იკითხოთ პაბში, ლოკალური ლუდი რომელია და ჩამოსასხმელი მოითხოვოთ. შეიძლება, ჩემზე უკეთ გაიგოთ მაშინ პაბის და ლოკალური ლუდის მულამი...

თევზი და ჩიპსი ინგლისელებს ნაციონალური სამზარეულოს ერთ-ერთ სიამაყედ მიაჩნიათ და პარასკევს ყველა დაწესებულების სასადილოში აკეთებენ. ჩემი შვილები და ჯანეტის მეუღლე ტომი ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ინგლისელებს აქვთ დაუფასებელი საგანძური თავიანთ რეცეპტებში – მარტივი და გემრიელი ინგრიდიენტები, მაგრამ ხომ იცით, გემოვნებაზე დავა არ შეიძლება, კაცია და გუნება...



შოტლანდია

რატომ ცალკე შოტლანდია და არა ინგლისთან ერთად? იმიტომ, რომ შოტლანდიას, მგონია, ცოტა უკეთ ვიცნობ და ისევე როგორც ქართველს არ უნდა აკადრო, რუსეთიდან ხომ არ ბრძანდებითო, ასევე შოტლანდიელს არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჰკითხოთ, ინგლისელი ხომ არ არის...

შოტლანდიელებს ჰყავდათ ბერნსი და ამაყობენ მისით. ბერნსის სალამოსაც აღნიშნავენ ყოველ 25 იანვარს. ბერნსი ის პოეტია, ვინც დაწერა „კაცი ვარ და ქუდი მხურავს, ქედს არ ვუხრი არავის; არც არავის ვემონები, არც ვბატონობ არავის“. ეს სტრიქონები კარგად გამოხატავს შოტლანდიელების თავისუფლებისმოყვარე ხასიათს. მათი ინტონაცია პირდაპირია, იმდენ გეთაყვასა და ბოდიშს არ იყენებენ, რამდენსაც ინგლისელები და რაც ერთი შეხედვით უხემ, ჯიქურ მიმართვად შეიძლება მოგეჩვენოთ, უბრალოდ კომუნიკაციის სხვაგვარი კულტურაა, მეტი არაფერი.

ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, შუალამე არ იწვის და დნება – გავყურებ წყნარ სოფელს ატლანტის ოკეანის პირას, აილას კუნძულზე ვხედავ უზარმაზარ მომღერალ სელაპებს და თავი სხვა პლანეტაზე მგონია.

რატომ? იმიტომ, რომ სელაპების კონცერტს ვუყურებ საღამოობით, ზოოპარკში და იძულებით კი არა, რაც თვითონ მოუხდებათ, იმას აკეთებენ; იმიტომ, რომ მეზობლები ისე მეგობრულად და სიხარულით გხვდებიან, თითქოს მთელი ცხოვრება გიცნობენ; იმიტომ, რომ არ ელოდები, დილით დაჭერილ ლობსტერებს რომ მოგართმევენ და კარი რომ ყველას ღია აქვს, არც ესმით, რა საჭიროა კარის ჩაკეტვა, სადმე თუ მიდიან და ჩვენც ზუსტად ასე ვიქცევით. სხვა პლანეტაზე მგონია თავი, იმიტომ, რომ ეკლესიიდან 50 მეტრში ცისარტყელა-დროშა ფრიალებს და არავინ ერთმანეთს თავ-პირს არ ამტვრევს. ...და ფოსტა მუშაობს! სოფლის ერთადერთ საფოსტო ყუთში ბარათს ჩააგდებ და მეორე დღეს ლონდონშია... აბა!!!

რამდენჯერ ვყოფილვარ ედინბურგში, აღარც მახსოვს. გლაზ-

გოში ლექსო სწავლობდა და პირველად რომ ჩავედი, გავოცდი, როგორი საინტერესო ქალაქია... მთლიანად დაიმსხვრა ჩემი წარმოდგენები ინდუსტრიული გლაზგოს შესახებ... მდიდარმა შოტლანდიელებმა ოთხი ფანტასტიური მუზეუმი აჩუქეს ქალაქს. შოტლანდიელებზე ამბობენ, ძუნწები არიანო, მაგრამ ისეთი საჩუქრები აქვთ გაკეთებული თავიანთი ქვეყნისთვის, ძუნწი ადამიანი რომ ვერ გაიმეტებს. მე ვფიქრობ, რომ პრიორიტეტები აქვთ სხვანაირი.

გლაზგოში ლექსოს სწავლის დროს და მერეც ვიმოგზაურე. ბოლო ჩასვლაზე სამედიცინო სამეფო კოლეჯში მიმინვიეს მოხსენების წასაკითხად და ადრე მომივიდა მისვლა; ვიფიქრე, ბიბლიოთეკას დავათვალიერებ-მეთქი. ლობოტომია და ტვინის ოპერაციები გლაზგოში დაუწყიათ პირველად. იმ ნახევარ საათში კიდევ უამრავი რამ ვნახე, რამაც ძალიან გამაკვირვა. ლექსო ყოველთვის ამბობს, რომ სწორი არჩევანი გააკეთა გლაზგოში წასვლით, რადგან შოტლანდიელ არქიტექტორებს უკეთ ასწავლიან კონსტრუქციებს, საინჟინრო საქმეს, ლონდონის არქიტექტურის კურსები კი უფრო დეკორატიულ-მხატვრულ-ისტორიულია... მაკინტოშის არქიტექტურული ტრადიცია იმდენად დაფასებულია მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, რომ არც ლექსოს და არც მის მეუღლე ოლის კარგი სამსახურის შოვნა ჯერჯერობით არ გაჭირვებიან.

მოკლედ, მეგონა, შოტლანდია ასე თუ ისე ნანახი მქონდა, მაგრამ თურმე შევცდი. ჩვენი ძველი მეგობარი იენ ქემბელი სულ გვეუბნებოდა, თუ შოტლანდიის ნახვა გინდათ, ჩემს კოტეჯში წადითო. დროის გამონახვა იმდენად გვიჭირს, რომ ერთი კვირით შოტლანდიაში წასვლა ვერასოდეს მოვახერხეთ. თუ შვებულება გვაქვს, მაინც საქართველოში ვატარებთ. როცა მივლინებით მივდივართ ეგზოტიკურ ქვეყანაში, იქაც ვიყენებთ შვებულების რამდენიმე დღეს და ასე, 26 წელია, თან ვაპირებდით და თან ვერ ვახერხებდით აილაში წასვლას.

2021-ში კორონამ ისე არია ადამიანების ცხოვრება, გეგმები, მოგზაურობები, რომ უცებ გადავწყვიტეთ მე და სიმონმა იენის მიპატიჟება გამოგვეყენებინა და არც გვინანია.

აილას კუნძული ატლანტიკის ოკეანეშია, ფაქტობრივად, უკიდურესი წერტილია შოტლანდიის ჩრდილო-დასავლეთში და ამერიკასაც მიადგები, თუ კარგი საზღვაო ტრანსპორტი გყავს...

აილა ცნობილია ვისკის წარმოებით – ამ პატარა კუნძულზე ვისკის 9 ცნობილი სახეელია.

აილას ვისკის განსაკუთრებული გემო აქვს, რადგან ტორფზე ხდიან და რალაც უცნაური, შებოლილი არომატი აქვს. 5 ასეთი პატარა ქარხანა მოვიარეთ, მართლაც განსაკუთრებული სანახავია. ყველა ქარხანა ოკეანის პირას დგას, ყველას აქვს სადეგუსტაციო და საგამოფენო დარბაზები. ამ ადგილებში მხოლოდ ადგილობრივი შოტლანდიელები მუშაობენ, ძალიან ამაყობენ თავიანთი უნიკალური ვისკით და მათთან კომუნიკაცია სასიამოვნოა.

იენის სოფელი ნამდვილი საოცრებაა – პატარა, შინაურული, წყნარი. ასე ახლოს ბუნებასთან მარტო ჩვენს მთაში – ხდის ხეობასა და ჭაუხში ვყოფილვარ დიდი ხნის წინ.

თუმცა ჩემს საყვარელ მეგობრებთან ბაჩა ზარდალიშვილთან და მანანა დუდუჩავასთან ერთადაც ვიყავით ჩარგალში, და უფრო დიდი ჯგუფი – რკონში...

ასეა თუ ისე, გაერთიანებულ სამეფოში ასეთი შეულახავი და ბუნებრივი ადგილი თუ იყო და ჩვენ მოგვიწევდა იქ ერთი კვირის გატარება, არ მეგონა...

ჩვენი კარის მეზობლები ქემბელები არიან, რა თქმა უნდა.

შოტლანდიური გემო ნამდვილად კარგ ვისკის უკავშირდება. ჰაგის ნამდვილი ნაციონალური საკვებია და რეცეპტის სწავლას აზრი არ აქვს, მაინც არ და ვერ გავაკეთებთ; მართალი გითხრათ, მე მგონი, შოტლანდიის გარეთ არც მოგინდებათ. ეს ცხვრის ნაწლავში მოთავსებული, წვრილად დაკეპილი გულ-ღვიძლი და კუჭია, რომელიც ქერით, შვრიით და პილპილით არის შეზავებული. კუჭმაჭის პრინციპია თითქოს, მაგრამ გემო ძალიან განსხვავდება. სადაც არ უნდა იყვნენ შოტლანდიელები ბერნსის ლამეს – 25 იანვარს, ცდილობენ, აღნიშნონ თავიანთი შოტლანდიელობა ვისკით, ჰაგით და ბერნსის პოეზიით, და დაპატიჟონ საყვარელი არაშოტლანდიელი მეგობრები.



საქართველო და ქართველები

როცა ვფიქრობ, რით განისაზღვრება ქართველობა ჩემთვის: იოლი ურთიერთობით, კარგი სიმღერით და ცეკვით, ფანტასტიური ბუნებით და გემრიელი სამზარეულოთი.

რამდენიც არ უნდა ვიარო, ეს ყველაფერი ჩემთვის ძვირფასი და საამაყოა. და კიდევ, რა თქმა უნდა – მეგობრები, მოგონებები.

როცა ჩემს არაქართველ მეგობრებს მინდა გავუზიარო ის, რაც მიყვარს, ეს არასდროს არ მოიცავს პოლიტიკას, გადაჭარბებულ სმას ან ჭამას, ბრტყელ-ბრტყელ სადღეგრძელოებს დახრჩობამდე და ჩვენი განსაკუთრებულობის ყიჟინას.

როცა საბჭოთა კავშირში ვცხოვრობდით, გულწრფელად მეგონა, რომ საქართველო ღვთისმშობლის ნილხვედრი ქვეყანაა. მერე იტალიის სამხრეთში, პულიაში მიაშვს, როგორ დაანანილა ღმერთმა მსოფლიო და სწორედ ეს ნაწილი დაიტოვა თავისთვის. კარგა ხნის მერე, როცა იგივე ამბავი არგენტინაშიც მიაშვს ჩემმა ნაცნობმა, მე თვითონ დავიწყე გამოკითხვა სხვადასხვა ქვეყანაში და თურმე ნუ იტყვით, ბევრს ჰგონია ჩვენსავით თავისი ქვეყანა განსაკუთრებული და ღმერთის რჩეული. აქედან დასკვნა: ბევრია ჩვენსავით შეყვარებული საკუთარ ქვეყანაში.

ჩემი წინაპრები, სადამდეც ოჯახური ხე წვდება, ქართველები არიან, ის კი არა, უფრო დავინროებაც შეიძლება მამას მხარე – მეგრელები: ჭანტურიები, ბოკუჩავები, ჯიქიები, კვარაცხელიები, ოჩიგავეები, ხვიტიები. ოღონდ მეგრული ენის არცოდნა დიდ ნაკლად გვეთვლება, მამას ესმოდა და ვერ საუბრობდა, მე და ჩემს დებს კი, სამწუხაროდ, არც გვესმის...

ბაბუას ისე ერიდებოდა, ზაფხულში სოფელში რომ ჩავდიოდით, ერთი იდეოლოგიური ლექსი გვასწავლა. დღემდე მახსოვს: „აბა ართო ჯიმაღლეი აბა ართო მტერს გუსოფად პიჯი ფართო“, ანუ „ხალხნო ერთად ვიყოთ და მტერი ვერ მოგვერევაო“.

მე ვფიქრობ, საჭირო და დროული სიბრძნეა დღესაც.

ბებია და ბაბუა მანავლებლები იყვნენ. ბაბუა მე-60 სკოლის დირექტორი იყო თბილისში, როგორც კი პენსიაში გავიდა, ჩაჰკიდა ბებიას ხელი (რომელსაც სულ არ უნდოდა სოფელში გადასვლა)

და ქალაქიდან გადაბარგდა. მაშინ ეს გაუგებარი საქციელი იყო და ახლა, ჩემი მეგობარი ინგლისელების ცხოვრებას რომ ვუყურებ, არავინ გაიკვირვებდა.

დედის მხარეს რაც შეეხება, წინაპართა ასეთივე სუფთა და ერთმნიშვნელოვნად იმერული გვარები – ცერცვაძეები, სამხარაძეები, ლეჟავეები, ლორთქიფანიძეები.

პატარობისას, მახსოვს, ჩავიდოდით სამეგრელოში განათლების კარში („მანცხვარ კარი“ ერქვა ადრე); უკვე დამნიფებული ალიბუხარი, ნიონაირი ატამი, საოცარი ლეღვი – ანალოგიური მარტო იტალიაში შემხვედრია, სიმინდი, გოგრა, თხილი და ულამაზესი მწვანე ეზო ოლენდრებით რაღაც სტაბილურობის და სიუხვის შეგრძნებას მაძლევდა. ბებია და ბაბუა სულ გვინერგავდნენ, რომ ჩვენ ვართ ქკვიანები, ლამაზები, კეთილები და ყველას ძალიან ვუყვარვართ. გული მწყდება, რომ მოგვიანებით, მამას ავადმყოფობის გამო გაიყიდა ჩვენი სახლი და უზარმაზარი ეზო, ბებიას და ბაბუას დიდი შრომით აყვავებული და გამშვენიერებული... სოფლის სასაფლაოზეა ორივე დაკრძალული და ძალიან მინდა, ჩავიდე ერთხელ მაინც და ჩემს შვილებს ვაჩვენო ჩვენი ბავშვობის სოფელი, რომელიც ჩემთვისაც გაუცხოებულია დღეს და ბებია-ბაბუის საფლავისა და ბავშვობის მოგონებების გარდა აღარაფერი მაკავშირებს. არც ვიცი, ახლა ვინ დაეპატრონა ბებია-ბაბუისეულ ტერიტორიას, მაგრამ ძალიან მინდა, მოვხვდე იქ და ვისიც არ უნდა იყოს ჩვენი კარ-მიდამო, ერთი ნერგი ვთხოვო, რომ სადმე გავახარო ჩვენი პატარობის და ბებია-ბაბუას მოსაგონებლად...

მეორე სოფელი, რომელიც სიმონ ბაბუამ, დედაჩემის მამამ პენსიაში გასვლის მერე ააყვავა, ზემო იმერეთშია და ვაჭევი ჰქვია. მხიარული და ღარიბი სოფელია ვაჭევი, სამეგრელოს სოფელთან შედარებით უამრავი ტყემლის ხით, ბზით და დიდი სანათესაოთი, სადაც დედაჩემი ყველასთვის იზო მამიდაა, და ბევრი მაცურებლით. მე და ჩემს და ნანას არ გვეზარებოდა არც კონცერტების, არც თოჯინების თეატრის და დიაფილმების ჩვენების მოწყობა და საღამოს წყაროსთან შეკრება და სიცილ-კისკისი, ან კვირაში ერთხელ სოფლის კინოში ინდური ფილმის ნახვა.

შინაარსი არც ერთის აღარ მახსოვს, მაგრამ სახელები არ მავიწყდება: რამი და შამი, ზიტა და გიტა, ყვავილი და ქვა, და რა თქმა უნდა – რაჯ კაპური.

ლონდონში ცხოვრებისას ბევრ ინდოელს შეეხვდი და ხშირად მასიამოვნა ბავშვობის გამოცდილებამ. ბოლივუდი ჰოლივუდზე ნაკლები ინდუსტრია არ გეკონოთ. ლონდონის დიდი ინდური პოპულაციაც ისევე სიხარულით ელოდება ახალ ინდურ ფილმებს, როგორც ჩვენ ერთ დროს ვაჭევეში, ოლონდ კინომექანიკოსს ხან ფირის შუა ნაწილი დარჩებოდა სადღაც, ხან ნათურა გადაინვებოდა და დიდი პაუზები გეკონდა, მაგრამ მაინც ყველას, დიდსა და პატარას გვახარებდა ერთად ყოფნა და რაღაც განსხვავებული ამბავი...

დედას ძალიან უყვარს ვაჭევი. როცა ძალიან მოეწონება ვინმე ახალგაზრდობილი და ვაჭევეში უნდა წაგიყვანო, ეუბნება, ეს ნიშნავს, რომ ყველაზე საყვარელი ადგილის გაზიარებას აპირებს... ისე, ხუმრობა იქით იყოს და ლექსო რამდენიმეჯერ იყო საქართველოში ინგლისელ მეგობრებთან ერთად, ყველას ვკითხე, რა მოგეწონათ-მეთქი და ყველამ ვაჭევი დაასახელა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად...

ბაბუის და ბებუის სახლს დედაჩემი დაუსრულებლად ამბავებს რაღაც დეტალებს, მაგალითად, აივნებს, ეზოს სახეს უცვლის და ყოველთვის ბევრი საქმე აქვს. ჩვენი სახლი ჩვენი ოჯახის ისტორიას ემსგავსება და ინახავს მოგონებებს.

ჩემი წვლილის შეტანაც მოვიხდომე და 35 დეკორატიული ნერგი ავიტანე ვაჭევეში პატარა ინგლისური ბაღის შესაქმნელად, ძირითადად, ვარდები და ლავანდები. „რათ გინდა მაგი და მაინც არ გეიხარებსო“, ყველა ამვლელ-ჩამვლელმა თქვა... დამაცადეთ, ძვირფასო ვაჭეველებო, მაცადეთ, რომ ვცადო. ვიცი, რომ ძნელად ამოსათხრელი მიწაა, ვიცი, რომ სიქა გამძვრება, ვიცი, რომ წყაროდან წყლის თრაქვა მოგვიწევს, მაგრამ მაინც ვნახოთ...

ვიცი, რომ სიმინდის და ლობიოს მოყვანას მიაქვს მთელი ენერგია და ვარდებისთვის არ სცალია გლეხს, მაგრამ მაინც ვცადოთ, რა იცი, რა ხდება...

ვაჭევი ჩემ თვალწინ შეიცვალა და ამიტომ გაუცხოების განცდა არასოდეს მქონია. ყოველთვის ჩვენს სახლში მივიღვართ და ბავშვობის ადგილს, სუნებს, მოგონებებს ვუბრუნდებით.

ამაზე დიდი სიხარული არაფერია, ჩვენი პატარობის სათამაშოებით ჩვენმა შვილებმა რომ ითამაშეს და შვილიშვილებიც ითამაშებენ. სათამაშოები ხომ საოცრად შეიცვალა. ერთხელ გერმანიაში, მიუნხენში, კონფერენციის მერე დრო დამრჩა და სანამ

აეროპორტში წავიდოდი, მე, ან უკვე გამოცდილი მოგზაური, პატარა ბორბლებიანი ჩანთით უახლოეს მუზეუმში შევედი თოჯინების გამოფენის დასათვალიერებლად. თვალი მომჭრა საოცარმა კონტრასტმა, რით თამაშობდნენ მე-20 საუკუნის დასაწყისში გოგონები, ანუ მაშინ – ნითელლოყება ნაწნავებიანი თოჯინებით, ხოლო 21-ე საუკუნის დასაწყისში – ბარბით. სხვათა შორის, ბარბის ზომებიც საგრძნობლად შეიცვალა მისი გამოგონებიდან დღემდე.

მე ვფიქრობ, რომ პატარობიდან ვაჩვევთ საწყალ გოგონებს, არარეალისტური ზომა და წონა გაიხადონ თვითმიზნად. ჭარბი წონა დიდი პრობლემაა მსოფლიოსთვის, მაგრამ არც ანორექსია და ბულემიაა ნაკლები პრობლემა და ალბათ ბალანსის დაცვა კარგი იქნება სათამაშოებშიც, პრესაშიც და საერთოდ...

არსად, არც ერთ ქვეყანაში არც ერთი ჩემი ნაცნობი იმდენს არ ლაპარაკობს ზომა-წონასა და ჩაცმა-დახურვაზე, როგორც საქართველოში. სამწუხაროდ, დიდი შუალედებით როცა მიწვევს ჩამოსვლა, ყველა ნაცნობი საჭიროდ თვლის, კომენტარი გააკეთოს და არ მიკვირს, როგორი ნევროტული ხდება საზოგადოება პოლიტიკაზე თუ გარეგნობაზე საუბრით. ინგლისელები ამ მხრივ ადვილად გამოდიან და ძირითადად ამინდზე საუბრობენ. მოკლედ, თუ რამე კარგის თქმა არ შეგიძლიათ ერთმანეთისთვის, სულ ნუ იტყვიან-მეთქი, მინდოდა აღმენიშნა. ქართველები უკეთესად ვუვლით ფიზიკურ დაავადებებს, ვიცით გადაყოლა და ასევე კარგად რომ მოგვაველეინა ფსიქოლოგიური კეთილდღეობისთვის, კარგი იქნებოდა.

დიდი ბედნიერებაა ჩემთვის ბედნიერი ოჯახი, არაჩვეულებრივი სანათესაო და ფანტასტიური სამეგობრო. შეგნებულად არავის არ ვახსენებ სახელებით და გვარებით. ჯერ ერთი, მართლა ბევრნი ხართ და მეორეც, იმდენი კეთილი და საიმედო ადამიანი მაჩუქა ღმერთმა ჩემ ირგვლივ, რომ არავის არ მინდა ვაწყენინო უყურადღებობით.

ჩემმა პროფესიამ ბევრ გაჭირვებულ, მარტოსულ ადამიანს შემახვედრა, ვისაც ბედმა არგუნა დანგრეული, კონფლიქტებით სავსე ოჯახი და მერე, შესაბამისად, აუწყობელი ცხოვრება. ყველაზე დიდი ბედნიერებაა თავისუფლება და საინტერესო ადამიანებთან შეხვედრები.

მოგზაურობაც, ბოლოსდაბოლოს როგორც აღმოჩნდა, ახალ ადამიანებთან შეხვედრის სურვილის გამო მიყვარს...

საქართველო ჩემთვის პირველ რიგში ადამიანებია, მერე ბუნება, გემოები, სუნები და... სიმღერა. „ჩაკრულო“ ის სიმღერაა, ძალიან რომ გამიჭირდებოდა ბევრიდან ამორჩევა და მაინც ავირჩევდი...

კომუნიკაცია:

ინგლისელებისგან განსხვავებით, საქართველოში განსჯის საყვარელი საგანია პოლიტიკა, წონა და როგორ გამოიყურება ადამიანი, ვის რამდენი ხელფასი აქვს და ვინ ვის იცნობს...

სადაც ნახვალ, იქაური ქუდი დაიხურეო და ამას წინათ ინგლისელი ავტორის საქართველოზე დაწერილმა წიგნმა დამზაფრა. ჩვენი 90-იანების ასე ზუსტად დახატული რეალობა ერთი ხარატიშვილის „ბრილკამ“ და მეორე ამ წიგნმა დამანახა.


ძალიან დიდი სურვილი მაქვს, მოვესწრო იმ დროს, როცა მომეცემა საშუალება, ვისაუბრო საყვარელ მეგობრებთან და საინტერესო ხალხთან ლიტერატურაზე, თეატრზე, ხელოვნებაზე; მრავალ ხმაში ვიმღეროთ და ერთად ვიყოთ მშვიდობიანად; ბოლოსდაბოლოს, „ხორუმი ქართული ცეკვაა“...

რეცეპტი:

ლობიო: კარგად მოხარშული ჭრელი ლობიო კვანარახით (ლონდონში ბრონეულის წვენით ვაკეთებ), დაფნის ფოთლით და ოხრახუმით (ამ ორს მოხარშვის მერე ამოიღებთ); ცალკე – ზეთზე მოშუშული ხახვი, 1 კილოგრამზე – 5 თავი, ქინძი – ხმელიც და ცოცხალიც, ქონდარი, ნიორი, წინაკა და მარილი, კარგად დანაყილი, და გასაფორმებლადაც ქინძი.

ეს გემო და სუნი მახსენებს იმ ალალ, ლალ და უდარდელ დროს, როცა სოფლის შესასვლელთან გული მიცემდა და ერთი სული მქონდა, სამწყესურში ნავყოლოდი ბავშვებს.

ლონდონში ამჟამად შვიდი ქართული რესტორანია. ჩემი ნაცნობების უმრავლესობას, ვინც უკვე იცის ხაჭაპურის, ხინკლის და ა.შ. გემო, ასე მომზადებული ლობიო და ჩვენებური ბადრიჯანი მოსწონს ყველაზე მეტად. ამიტომ მენიუ გავამარტივე, როცა ქართულ სადილს ვამზადებ...



იტალია და იტალიელები

საქართველო ჩემი სამშობლოა, ინგლისი ჩემი მეორე ქვეყანა და იტალია ის ქვეყანაა, რომელსაც ყოველთვის სიხარულით ვირჩევ სამოგზაუროდ, არ მბეზრდება და მგონია, არჩევანი რომ მქონდეს, იქ ვიცხოვრებდი კიდევ.

იტალიაში, სადაც არ უნდა ნახვიდე, სანახავი ბევრია, სამზარეულო უგემრიელესია, ამინდი – კარგი და რაც შეეხება ხალხს, მათი ენაც მშვენიერია და სილამაზის სიყვარულიც ყველაფერში იგრძნობა. მეცინება მითხე, რომ იტალიელები ზარმაცი ხალხია. არ დაიჯეროთ, ნახეთ, რანაირი გზები, მანქანები, რკინიგზა, ტანსაცმელი აქვთ, როგორ მღერიან, რა ფილმებს იღებენ, როგორი კულინარები არიან და მერე ვისაუბროთ, შესაძლებელია თუ არა ამ ხალხის კრიტიკა და იმის დაბრალება, რომ ზარმაცები არიან...

მე მგონი, იტალიაში ჯერჯერობით დაახლოებით 40-ჯერ ვარ ნამყოფი და მივხვდი, როგორი რადიკალური განსხვავებაა ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის.

ჩრდილო იტალიელებს მათ ჩრდილოელ მეზობლებს უფრო მიახლოებენ. შრომობენ ნაკლები შესვენებით, სიესტა არ აქვთ, გაცილებით უფრო პუნქტუალურები არიან, ვიდრე სამხრეთში. თვითონ იტალიელები თვლიან, რომ შედარებით ემოციურად ცივები არიან ჩრდილოეთისკენ და შედარებით მდიდრებიც.

სიცილიაში რამდენიმეჯერ მომიწია ჩასვლა და ახლა ვხვდები, რატომ გეტყვის სიცილიელი, მე სიცილიიდან ვარო, და ზოგი შეურაცხყოფადაც მიიღებს, იტალიელი ხარო, რომ ჰკითხო. სიცილიურ სამზარეულოს ეტყობა არაბული გავლენა და თვალში მოსახვედრია განსხვავებული ფლორა, ჭურჭელი, ღვინოს სხვა გემო აქვს და კულინარიაც არ ჰგავს იტალიურს. ეს ის ნიუანსებია, რაც მრავალჯერ მოგზაურობის მერე შეიმჩნევა.

ყველაზე გულდასაწყვეტია უამრავი ლამაზი შენობა სიცილიაში, პალერმოშიც კი, რომელსაც მთავრობა ვერ უვლის და ხშირად რუსი ოლიგარქების მფლობელობაში გადადის...

იტალიური სამზარეულო და რეცეპტები ამოუწურავია, მაგრამ ერთი რამ, რაც ნამდვილად ყველა მხარეში მიღებულია – პასტა

– არასოდეს გადახარშული არ არის. კარგ პასტას 5-7 წუთი სჭირდება, ცოტა მაგარი უნდა იყოს. იტალიური სამზარეულო მარტო პიცა და პასტა არ არის, მარტივია და ორგანული, მრავალფეროვანი თევზით და ბოსტნეულით...

სიცილიაში ტაორმინა ნამდვილი მარგალიტია, ულამაზესი პატარა ქალაქი. ძალიან მინდა, ისეთ დროს დავბრუნდე, როცა ტურისტული სეზონი არ იქნება.

იტალიაში დაბრუნება მინდა პულიაში. პულია სამხრეთის ერთ-ერთი ღარიბი ნაწილია, მაგრამ ულამაზესი. ბევრი ზეთისხილით, ლამაზი ზღვის სანაპიროთი და რაც მთავარია, ჩემი ვატო ანდლულაძე იქ მუშაობს ახლა და ვატოსთან ერთად იტალიაში ყოფნა ასმაგი სიამოვნებაა. ჯერ ერთი, ასეთ უძვირფასეს ბავშვობის მეგობართან რომ ხარ, ნახევარი სიტყვით გესმის ყველაფერი, თან ვატოს გემოვნებას და გამოცდილებას თვალდახუჭული ვენდობი. არაერთხელ მქონია ბედნიერება, რომის ქუჩებში ვატოს, აგოს და ქეთისთან ერთად მევლო და ეს ისეთი სიამოვნებაა, არაფერი შეედრება.

ვატო ანდლულაძე არის ჩემი ბავშვობა, ახალგაზრდობა და უსიტყვო ან სიტყვებიანი დიდი ხნის მეგობრობა და სიყვარული. სიმონს განსაკუთრებულად უყვარს ვატო, ისევე როგორც დედაჩემს, ჩემს დებს და შვილებს. სიყვარული გადამდებია... მოკლედ, როგორც კი ოდნავ შეიხსნა ფანჯარა, მე და სიმონი გაგანია პანდემიისას ჩემს დაბადების დღეზე წავედით ბარიში და ვატოს არაჩვეულებრივი მასპინძლობის წყალობით მოვხვდით ალბერობელოში, ულამაზეს ადგილებში და თვითონ ბარიში წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში წმინდა ადგილიც კი გაგვიღეს.

ახლა ვეცდები, ის ქალაქები ჩამოვთვალო, სადაც ფეხი დამიდგამს: რომი (ალბათ 5-ჯერ), მილანი (2-ჯერ), პადუა (3-ჯერ), ვენეცია (2-ჯერ), ვერონა, მოდენა, პარმა, ლეჩე, პიზა, ლუკა, აგროპოლი, ამალფის სანაპიროზე: პოსიტანო, რაველო, ამალფი; ტურინი, ფლორენცია (2-ჯერ), ბოლონია, გენუა, ბარი, ალბერობელო.

შთამბეჭდავი ადამიანები, ვისთანაც დიდი ხნის ურთიერთობა მაქვს, გაფანტული არიან იტალიის სხვადასხვა ქალაქებში. ბოლო

ხანებში ორი საინტერესო წიგნი წავიკითხე, ერთი – საქართველოზე, ერთი კი კორეაზე და ორივე რამდენიმე ქალის ისტორიით გადმოცემული ამბებია, ქვეყანაზე, კულტურაზე და ისტორიაზე რომ გიქმნის შთაბეჭდილებას. მე ნამდვილ მწერლობაზე თავს ვერ დავდებ, მაგრამ მგონი, საკმაოდ საინტერესო მეთოდია და დავიქრდი, ჩემი იტალიელი მეგობრებიდან რომელი სამი ამომერჩია, სიტყვა რომ არ გამგრძელებოდა...

პროფესორი **ფრანჩესკა ბრამბილა** ალბათ 90 წლისაა ახლა, შეიძლება ცოტა მეტისაც, საოცარი ადამიანი და წიგნის ან ფილმის ნამდვილი პერსონაჟი. რაც ლონდონში ჩამოვედი, ანუ ბოლო 26 წელია, ფრანჩესკას წელიწადში ერთხელ მინიმუმ ან ზოგჯერ 3-4-ჯერაც ვხვდები. ხმამაღალი, ყოველთვის უაღრესად მონესრიგებული, აუცილებლად წითელი პომადით, „გუჩის“ ჩანთით, „ერმესის“ თავსაფრით და „პრადას“ ფეხსაცმელებში გამოწყობილი, მჭახე სუნამოთი და უძვირფასესი სამკაულებით, ფრანჩესკა ყოველთვის შესამჩნევია 2000-კაციან ამერიკულ კონფერენციებზეც კი. იცით, კიდევ რატომაა ჩემი საყვარელი ფრანჩესკა შესამჩნევი? იმიტომ, რომ მაფიოზურად აქვს ყოველთვის პიჯაკი ან პალტო მხრებზე მოგდებული, ერთი-ორი ასევე იდეალურად გამოწყობილი იტალიელი პროფესორი კაცი უმშვენებს გვერდს და ხან რომელ გამოჩენილ პროფესორს უჩქმეტს ლოყაზე და მოიკითხავს, ხან რომელს. ძალიან ბევრ კითხვას სვამს და თავიდან მაქსიმალურად ვარიდებდი თავს, შორიდან ვაკვირდებოდი. ერთხელ ერთი ყველაზე დაუნდობელი და აგრესიული ოქსფორდელი პროფესორი საკმაოდ უტაქტოდ გამოვიდა და შეუტია გერმანელ კოლეგას. არგუმენტი სწორი იყო, მაგრამ ფორმა – საშინელი. უხერხული სიჩუმე ჩამოწვა 150-კაციან აუდიტორიაში, გერმანელი მეცნიერი გაშრა და ადგილზე გაიყინა, ემოციურად ისე იმოქმედა, ეტყობა, დრო სჭირდებოდა, აზრი რომ მოეკრიფა. ფრანჩესკა წამოდგა დარბაზში და დაიგრგვინა, ახლავე ბოდიში მოიხადეო, საჯაროდ უთხრა ოქსფორდელ პროფესორს, ჯერ ერთი, ქალს როგორ შეიძლება ასე უხეშად მოექცე და არ გასწავლეს ოქსფორდში, მეცნიერებმა კულტურულად რომ უნდა იკამათონო?

იმ დღიდან ფრანჩესკას უდიდეს პატივს ვცემ და მილანიდან მისი მონვევა რომ მივიღე, ჩამოდი, ჩვენთან გააკეთე მოხსენება, ხარჯებს ჩემი პროგრამა გადაიხდისო, არც დავფიქრებულვარ, ისე დავთანხმდი, ოღონდ ვთხოვე, თარიღი გადაენია სოფოს სკოლის არდადეგების გამო. რას ამბობ, ბავშვი წამოიყვანეო. სოფოს დღემდე ახსოვს, როგორ მოვიდა სასტუმროში შავსათვალისანი ფრანჩესკა, ფეხით მოგვატარა მილანი, გვაჩვენა სამედიცინო ინსტიტუტი, საავადმყოფო, სადაც მამამისი მთავარი ექიმი იყო, მოგვიყვა ბევრი საინტერესო რამ. მიუხედავად იმისა, რომ ფრანჩესკა მდიდარ და ძალიან პატივცემულ ოჯახში დაიბადა, ადვილი არ ყოფილა მისთვის, როგორც ქალი მეცნიერისთვის, პროფესორის თანამდებობის მიღება. არასოდეს გათხოვდა, დასთან ერთად ცხოვრობს. ძალიან სასიამოვნო იყო ფრანჩესკასთან ერთად მილანის ცენტრში სეირნობა. ქუჩაში ბევრი ცნობდა და მოწინებით ესალმებოდა. მერე ლანჩზე დაგვპატიჟა მე და სოფო და ბოლოს გვითხრა, ახლა რა დასვენების დღე გამოვა, შოპინგზე თუ არ წავედითო. სოფოს გაუხარდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ 12 წლის სოფოს სულ არ აინტერესებდა არც გუჩის, არც პრადას მაღაზიები და მალე დაეტყო კიდევ. ფრანჩესკამ მითხრა მგონი, ახლა ვტანჯავთ ბავშვს და აღარ შეგანუხებთ მაშინ, იქ წაიყვანე, სადაც უნდაო.

ერთი არაჩვეულებრივი რამ მასწავლა პროფესორმა ბრამბილამ, რაც ძალიან გამომადგა. ვიცი, ბევრი დამცინის ზურგს უკან, რამდენ კითხვას სვამსო, მაგრამ აბა, დააკვირდი, დამწყები ბავშვები რომ გამოჩნდებიან ჩვენს სპეციალობაში, მოხსენებას აკეთებენ და ან არავინ არაფერს ეკითხება, ან იმისთანას მოსთხოვენ, ვერავინ რომ ვერ უპასუხებსო. მე არ მეშინია სულელური კითხვის დასმის და ამ ახალგაზრდებისთვის სიხარულის მინიჭების, ძველგაზრდებს არასდროს ასეთ მარტივ კითხვებს არ ვაძლევო. ბრძენი ფრანჩესკა, საოცარი ქალი. არავის დაავინწყებდა მისი მონყობილი კონფერენცია რაველოში, არაჩვეულებრივი ამალფის სანაპიროზე. პომპეის ექსკურსიაც მოანყო მთელი კონფერენციისთვის. ბევრი წუნუნებდა, ძალიან ძვირი დაჯდაო, მაგრამ ამერიკის დიდ კამპუსებში ჩატარებული ბევრი კონფერენცია დაგვაინწყდა, 2002 წელს რაველოში, ფრანჩესკას გემოვნებით და ხელმძღვანელობით მონყობილი კონფერენცია კი არავის დაავინწყებდა...

ანჯელა ფავარო ჩემი თაობისაა და პადუაში ცხოვრობს. დიდ პატივს ვცემ ანჯელას. ულამაზესი, უჭკვიანესი და ამჟამად ყველაზე დასაფასებელი მკვლევარია იტალიიდან. ანჯელა, ისევე როგორც ფრანჩესკა, ფსიქიატრია. 20 წლით უფროს პროფესორს პაოლო სანტონასტასოს გაჰყვა ცოლად, როცა სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა. პაოლო პადუას ფსიქიატრიული ინსტიტუტის მთავარი ექიმი იყო და მაშინვე დატრიალდა ჭორები იტალიელ და უცხოელ კოლეგებში, ანჯელამ საინტერესო გზა აირჩია კარიერის გასაკეთებლად. რამდენჯერმე მიმინვიეს პაოლომ და ანჯელამ პადუაში, ერთხელ ფსიქოლოგიის ფაკულტეტის კურიკულუმის შესაფასებლად, ერთხელ ასპირანტის გამოსაცდელად, ერთხელ საჯარო ლექციის ჩასატარებლად და ორჯერ – კონფერენციაზე. პადუა, ფაქტობრივად, იტალიის ოქსფორდია. ულამაზესი პატარა ქალაქი, უძველესი უნივერსიტეტი და ანჯელას და პაოლოს სტუმართმოყვარე ლამაზი სახლი, სადაც 7-8 სახეობის პასტას შემოგთავაზებენ პატარა დოზებით, როცა ვახშმად გეპატიჟებიან.

ანჯელას ძალიან უყვარს სხვადასხვა ადგილებში მოგზაურობა, პაოლოს კი მხოლოდ თავის იტალიაში. ინგლისური ცუდად იცის და საოცარ ტრანსფორმაციას განიცდის, როცა ამერიკაში ვხვდებით ერთმანეთს. ჯერ ერთი, სულ მოსანევ ადგილს ეძებს, მერე საჭმელი არ მოსწონს და საშინლად იტანჯება. სულ სხვაა, როცა იტალიაში ვხვდებით. სულ ილიმება, კმაყოფილია და მეტსაც ლაპარაკობს.

საინტერესოა, რომ იტალიაში ადგილობრივ კონფერენციებზე ძირითადად კაცები დომინირებენ, როგორც მომხსენებლები, წამყვანები, მაგრამ საერთაშორისო კონფერენციებზე და შეხვედრებზე – პირიქით, ქალები.

ნადია მიხალი ის იშვიათი გამონაკლისია ვინც ულამაზეს სამხრეთ იტალიაში დაიბადა და გაიზარდა ძალიან ცნიბილი ექიმების დინასტიაში, მაგრამ ჯერ ლონდონში ჩამოვიდა და აქ დაამთავრა ტრენინგი მედიცინაში, მერე ამერიკაში გადავიდა და ეპიდემიოლოგია ისწავლა ბოსტონში მერე კი ნიუ ორკში გადავიდა სამუშაოდ. ახლა შვეიცარიაში ჟენევაში ხელმძღვანელობს ბავშვთა ფსიქიატრიის დეპარტამენტს. ნადია ჩემზე ბევრად ახალგაზრდაა მაგრამ ლონდონში ჩვენ განყოფილებაში მოხვდა ტრენინგზე და მას

შემდეგ დავეგობრდით ისე როგორც მეგობრობენ საქართველოში ოჯახებით და ქორწილში ამის გამო სიცილიაში აღმოვჩნდი...

ნადიას ბაბუას, რომელიც ასევე ექიმი იყო, მეთევზეების ულამაზეს სოფელ შილაში ძველი სახლი აქვს. ნადიამ თავის ქორწილამდე ერთი წლით ადრე დამპატიჟა და მითხრა, აუცილებლად მინდა ჩამოხვიდე, არა მგონია, შილაში სხვაგვარად მოხვდე და მე კიდევ 50 სტუმარი მყავს და მარტო ის ადამიანები, ვინც ძალიან მიყვარს და ძვირფასია ჩემთვისო. მინდა გაგიზიაროთ ის ადგილი, რომელიც რამდენიც არ უნდა ვიმოგზაურო, ყველაზე მეტად მომწონს და მიყვარსო. ვინც ნადია მიხალის იცნობს, იცის, რომ მართლა თითქმის ყველა ქვეყანაში უმოგზაურია. სადაც სამსახურის გამო ვერ მოხვდა, არდადეგების დროს წავიდა. ნამყოფია აფრიკაში, აზიის ბევრ ქვეყანაში, სადაც მე ფეხი არ დამიდგამს და ალბათ, არც ვაპირებ. სიმონს არ ეცალა და სოფო წავიყვანე დიდი ხვენწა-მუდარით ნადიას და ალეს ქორწილში.

ულამაზეს ადგილას მოვხვდით, შილა ფაქიზად შემონახული მეთევზეების ძველი სოფელია. მე, სოფო და ალე, ნადიას საქმრო ერთად წავედით ლონდონიდან. ალემ მანქანა იქირავა მეზინაში და მერე ერთი-ორი საათი მოვუნდით გზას.

პატარა ორნომრიან ოჯახურ სასტუმროში დაგვაბინავეს მე და სოფო და ალეს მეჯვარეები.

მეორე დღეს იყო ულამაზესი ქორწილი, ჯერ სოფლის პატარა ეკლესიაში, მერე სუფრა აივანზე, ზღვის სანაპიროზე, და მერე ცეკვები და დესერტი ზედ ზღვის ნაპირას. ძალიან ბედნიერი ვარ, ასეთ განსაკუთრებულ ადგილას, ასეთ განსაკუთრებულ სიტუაციაში რომ მოვხვდი. ვცეკვავდით ყველა: ნადიას არა-ჩვეულებრივი დედიკო მარა, მისი მეგობრები და თქვენ წარმოიდგინეთ, მღვდელიც, რომელმაც საეკლესიო რიტუალის მერე ტანსაცმელი გამოიცვალა და ისევე მოილხინა, როგორც დანარჩენმა სტუმრებმა. მერე ალე და მისი ოჯახის წევრები ზღვაში შევიდნენ, „არმანის“ შარვლებაკაპინებულები და ბოლო სადღეგრძელო ისე დალიეს. ამას მოყვა ცოლების უკმაყოფილება, ასე იციან, ბევრს რომ დალევნო. ისე მახსოვს, თავი თითქოს სახლში ვიგრძენი...

მეორე დღეს მარა და ყველა სტუმარი პიცერიის მაღლიერმა

მფლობელმა დაგვპატიჟა და გამოაცხო 2-მეტრიანი პიცა, ასეთი მართლა არასდროს არაფერი მინახავს. მარას ძალიან დიდ პატივს სცემენ და პიცერიის პატრონმაც ასე გამოხატა.

ხშირად მახსენდება ულამაზესი შილა, ნადიას თბილი და საყვარელი ოჯახი და დიდი იმედი მაქვს, რომ კიდევ მოვხვდები ამ ულამაზეს ადგილას. ლონდონში ჩვენ და ახალდაქორწინებულები ერთად დავბრუნდით. მარამ მე და სოფოს გამოგვატანა, რისი ნამოლებაც შეიძლებოდა ლექსოსთან და სიმონთან. გზაში მე და ნადია ვეჯიბრებოდით, იტალიის რამდენ ქალაქში ვართ ნამყოფი და გაგეცინებათ, მე მოვუგე... კიდევ კარგი, იტალია ავირჩიეთ, თორემ სხვანაირად ვერ მოვუგებდი. საქართველოში არაა ნამყოფი და აუცილებლად ჩამოვიყვან.

თვითონ ნადიამ ერთხელ კონფერენციის ორგანიზატორობა ითავა და ტაორმინა აირჩია, ულამაზესი და უმშვენიერესი ადგილი. ისევ მარას კონტაქტები გამოადგა, რადგან დიდი კონფერენციის მონყობა ასეთ პოპულარულ ადგილას არ არის ადვილი. ერთ-ერთ უძველეს სააბატოში ახლა ხუთვარსკვლავიანი სასტუმროა და სწორედ ეს სასტუმრო დაგვითმეს კონფერენციისთვის.

ჩემს ესპანელ ფერნანდოს და ნადიას მივანდობ ხოლმე სასტუმროების არჩევას, როცა დიდ კონფერენციებზე მივდივართ. სად და როგორ პოულობენ, ვერ გეტყვით, მაგრამ ორივეს ფანტასტიური გემოვნება აქვს.

ნადია ზოგჯერ სასტუმროს ნაცვლად ბინას იპოვის ხოლმე. ასე ვიყავით ბოსტონში მე და ლექსო და ნადია და ალე. საერთო სამზარეულო გვექონდა და ჩვენ-ჩვენი ოთახები. კარგად გავერთეთ და კარგად ვიარეთ. მეორედ – მადრიდში, მე და ნადია ასეთივე კარგ ადგილას დავბინავდით, არ მოგვინდა ქალაქის გარეუბანში ცხოვრება, სადაც ევროპული კონფერენცია ტარდებოდა.

რადგან სამ არაჩვეულებრივ ქალზე გიამბუთ, ახლა გემოებზე გადავიდეთ.

ჩემი საყვარელი იტალიური სტარტერია:

ფოკაჩა ან ჩიაბატა (ორივე პურია), პამიდორი ჯობია შეუურიოთ რამდენიმე სახეობის, რეჰანიით, ორეგანოთი, ნივრით, მარილით,

შავი პილპილით, ზეითუნის ზეთით და ბალზამიკის ძმრით შეაზავეთ.

ტოსტერიდან ახლად ამოღებულ პურზე დაალაგეთ ეს სალათი და არაჩვეულებრივი სტარტერი გამოვა. მე ვფიქრობ, კარგი ქართული პამიდორი, კახური ზეთი და ქართული მწვანილები მოუხდება.

ასეთივე მარტივი და საინტერესო სალათი მასწავლა ჩემმა სიცილიელმა მეგობარმა. დიდი ვარდისფერი პამიდორი დაჭრა და რიგრიგობით დაალაგა პამიდორის, მწიფე ყვითელი ატმის და მოცარელას (ან თხის ყველის) ნაჭრები, იმავე ფორმით დაჭრილი, მწვანე იტალიური ორეგანო, ზეითუნის ზეთი და ლიმონის წვენი ან ბალზამიკის ძმარი. სიცხიან სიცილიურ ამინდში სასიამოვნოა.

იტალიური მარტივი და გემრიელი კერძების სია ამოუწურავია, მაგრამ ჩემი მოგზაურობების სწრაფი გადარბენა მარტო კერძებს არ შეიცავს და აქ დავამუხრუჭებ...



ისპანეთი და ... კატალანიელი მეგობრები

მოგზაურობის სურვილი ამჟამად ჩემთვის იმით განისაზღვრება, თუ ვისთან შეხვედრა მომიწევს. ადამიანები, მათი ხასიათი, ჩვეულებები გაცილებით უფრო საინტერესოა, ვიდრე ყველაფერი დანარჩენი.

ბარსელონა ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი ქალაქია, რომანტიული, ზღვა და მთა, გაუდის არქიტექტურა, მიროს და პიკასოს უნიკალური მუზეუმები, ხმაურიანი რამბლა, მაგრამ ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ბარსელონაში ჩემი ორი უსაყვარლესი კოლეგა და მეგობარი ფერნანდო ფერნანდესი და სუსანა მურსია ცხოვრობენ. აი, უკვე 20 წელზე მეტია, ვმეგობრობთ და ეს ურთიერთობა უფრო და უფრო ლამაზი, მრავალფეროვანი და საინტერესო ხდება. ფერნანდო და სუსანა უაღრესად წარმატებული ფსიქოლოგები არიან და ერთად ხელმძღვანელობენ საუნივერსიტეტო კლინიკის თანამშრომელთა დიდ ჯგუფს. სუსანას ძირითადი ინტერესი პათოლოგიური რისკია და ბევრი რამ გააკეთა პათოლოგიური მოთამაშეების ფსიქოლოგიური დახმარებისთვის; ფერნანდო ძირითადად ბულემიაზე მუშაობს და ვირტუალური თერაპიის ექსპერიმენტულ კვლევაზე. ისევე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, ჩრდილოეთი და სამხრეთი ესპანეთშიც ძალიან განსხვავდება. ბარსელონა კატალანიაა და ჩემი ორივე მეგობარი კატალანიელია.

ფერნანდოს უნდა ვუმაღლოდე ბევრი არატურისტული ადგილის ნახვას ბარსელონაში.

პირველი, რაც უნდა გითხრა – შეხედე ფლამენკოს და მერე კატალანიურ ცეკვას, და კარგად ჩანს ჩვენი ხასიათის განსხვავებაო. მართლაც, კატალანიური ცეკვა ბევრად უფრო დისტანციური და ნაკლებად ემოციურია...

კატალანიელებს სიესტა აქვთ ზაფხულის ცხელ დღეებში, მაგრამ გავოგნდი, რამდენს მუშაობენ. ერთი, რაც ყოველთვის მიჭირს, როცა ესპანეთში მივდივარ, სამხარია ან სალამოს გასვლა, 9-ზე იწყება, თან ნელ-ნელა. ამიტომ სალამოს ძალიან გვიან მიირთმევენ და ისე მერევა ჩემი რუტინა, სულ გაბრუებული ვარ...

ფერნანდომ ასევე შემაყვარა თეთრი რიოხა, რომელიც მანამდე ყოველთვის წითელი მეგონა... რიოხა ინგლისელებს ძალიან უყვართ და ყველა სუპერმარკეტში იყიდება, მაგრამ სულ სხვა გემო ჰქონია და ისიც მიკვირს, რომ აეროპორტში ნაყიდი ღვინო ახლოსაც ვერ მიდის იმასთან, რითაც ფერნანდო მიმასპინძლდება, ან საჩუქრად ჩამოაქვს...

კიდევ ერთი დიდი მადლობა ფერნანდოს და სუსანას, ორივეს არაჩვეულებრივი გემოვნება აქვს და ორივე გამოცდილი მოგზაურია; ამიტომ ნელ-ნელა ვისწავლე, რომ როცა ერთად მივდივართ სხვა ქვეყნებში კონფერენციაზე, სასტუმროს არჩევანს ვეკითხები და არასოდეს უკმაყოფილო არ დავრჩენილვარ, რესტორანსაც როგორღაც ისე არჩევენ, რომ ნამდვილად დაგამახსოვრდება არა მარტო თავის, არამედ სხვა ქვეყნებშიც.

ამ არაჩვეულებრივ წყვილს ბავშვი არ ეყოლა, 18 წლის წინ ჩინეთში წავიდნენ და ჩამოიყვანეს ლამაზი და ძალიან ველური პატარა გოგო. დაარქვეს ბრუნა და როგორც ჩანს, ბრუნა ბედნიერ ვარსკვლავზე გაჩნდა, ასეთი მშობლები რომ ჰყავს. თავიდან ახლოს არ გვიკარებდა და არც ფერნანდოს და სუსანას გვაკარებდა. ხშირად ტიროდა და ახლა რომ ვუყურებ, ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს არაჩვეულებრივად ლამაზი, თავდაჯერებული, ჭკვიანი გოგო ის პატარა, შეშინებული და შენუხებული ბავშვია, რომელიც დიდი ხნის წინ გავიცანი.

ბარსელონა, ფრედი მერკურის და მონსერატ კაბალიეს დუეტი თუ გახსოვთ, ასეთივე კონტრასტული და საინტერესო ქალაქია...

გრენადა – მეორე საოცრება, გაოგნებული ვიყავი და ასე მეგონა, ათას ერთი ღამის გარემოში მოვხვდი. ანტონიოს უნდა ვუმაძღლოდე და კოგნიტურ ფსიქოლოგიაში ჩატარებულ ჩემს ექსპერიმენტებს.

ანტონიო ვერდებო გარსია იმეილით შემოვიდა ჩემს სივრცეში, მომწერა მოკლე მესიჯი, სიმპოზიუმს ვაწყობ ემოციურ რეგულაციაზე ფსიქიატრიულ აშლილობებში, მარტო ექსპერიმენტულ კვლევებზე მინდა აქცენტი და თუ დამეხმარები და კრაკოვში ჩამოხვალ ნეიროფსიქოლოგიის კონფერენციაზე, ძალიან


გამეხარდებაო. არასოდეს წამიკითხავს მისი შრომები და სანამ პასუხს გავცემდი, ჩემი ჩვეული კვლევა-ძიება ჩავატარე. მომეწონა ანტონიოს ნაშრომები გადანყვეტილების მიღების მექანიზმებზე, პოლონეთში მგზავრობა და კონფერენციის ხარჯები იმდენად მცირე იყო, ბევრი აღარ მიყოყმანია და დავთანხმდი.

კრაკოვში პირველად შევხვდი ანტონიოს და აქედან დაიწყო ჩვენი მეგობრობა. მალევე გრანადაში დამპატიჟა და გამანდო, ავსტრალიაში გადავდივარ სამუშაოდ და საცხოვრებლად.

გრანადა სუნთქვისმემკვრელია, მომნუსხველი... ალჰამბრა საოცრებაა... საოცარი შეზავებაა ხალხის, ფერების, არქიტექტურის... ეს არ არის ტიპიური ესპანური ქალაქი. რამდენიმე დღე ანტონიოს უნივერსიტეტში ნეიროფსიქოლოგიის კონფერენციაზე გავატარე. ასეთ პატარა კონფერენციებზე, როგორც წესი, ორისამი უცხოელი ჩამოჰყავთ, ერთი დღე ინგლისურენოვანია და ორი დღე ესპანურად ტარდება. ჩემთან ერთად ორი კემბრიჯელი ნეიროფსიქოლოგი მოიწვიეს, ნეიროეპილიტაციაზე მუშაობენ. სასიამოვნოდ გავატარეთ პირველი დღე, იდეების გაცვლა-გამოცვლით, და ესპანურენოვანი დღეები – ქალაქის თვალიერებით. მერე ჩემი სიმონი და სოფოც შემომიერთდნენ და ერთად გავგიჟდით გრანადას მშვენიერებით. ალჰამბრა ახლაც ვუყურებ ფოტოებს და სამივეს – მეც, სიმონსაც და სოფოსაც გაკვირვებული და ბედნიერი სახეები გვაქვს. ერთ-ერთ საღამოს გამოქვაბულებში ავედით, სადაც ბოშები ცხოვრობენ. საღამოს კონცერტს მართავენ, ცეკვავენ... ანტონიომ გვითხრა, რად გინდათ, ნამდვილი ტურისტული ატრაქციონიაო, მაგრამ სიმონმა დაიჩემა, რა გენაღვლებათ, ნავიდეთ, ტურისტები არა ვართო?... ადგილობრივებს ალბათ სხვა შეხედულება აქვთ, მაგრამ მართლა ძალიან შთამბეჭდავი აღმოჩნდა გრანადაში ნანახი ფლამენკო. მე ვფიქრობ, რომ მადრიდში, არატურისტულ ადგილას ნანახი ფლამენკო უფრო თავშეკავებული და დადგმული იყო, ვიდრე გამოქვაბულში ნანახი, საოცარი ბოშების მიერ შესრულებული ცეკვა მათი გავლენებით... მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ტურისტულ ადგილებშიც ბევრ საინტერესო რამეს ნახავ, კი ბატონო, გაკომერციებულია, მაგრამ ეგ არაფერი... გამოცდილება და ინტელექტი გაფილტრავს...

ტაპა

მე იტალიური სამზარეულოს დიდი მოყვარული ვარ და ესპანური კერძებიდან კარგად გაკეთებული პაეა მიყვარს, ზღვის პროდუქტებით და ბრინჯით, ზაფრანით. ოღონდ მე თვითონ არ გამიკეთებია და ვფიქრობ, რომ ადვილი გასაკეთებელი არ არის. სამაგიეროდ, ჩემს არაჩვეულებრივ დალიჩის ყასაბთან ვყიდულობ ნამდვილ ცხარე ძეხვს ჩორიზოს და ბევრ ხახვთან ერთად ვწვავ, პატარა თიხის ჭურჭელში წააგავს ჩორიზო ტაპას, ესპანეთში რომ მოგართმევენ ხოლმე...



იაპონია და ჩემი მიჩიკო

იაპონია მიჩიკოს მიწვევით ვნახე.

მიჩიკო ლონდონში გავიცანი. ჩამოვიდა ექვსი თვით სტაჟირებაზე და წელიწადნახევარი დარჩა. დიდხანს დადიოდა ჩუმად ინსტიტუტში, ეტყობა, მორცხვობდა კიდეც შეხვედრებზე და თუნდაც პატარა შეკრებებზე, კითხვა რომ დაესვა ან აზრი გამოეთქვა. მისი ინგისურის გაგება მიჭირდა და დიდი დრო არ დამითმია მასთან საუბრისთვის. რომ არა ერთი შაბათი დღე...

რალაც მქონდა დასამთავრებელი და შაბათს წავედი სამსახურში, იმ იმედით, რომ არავინ იქნებოდა და კარგად დავფოკუსდებოდი. გვერდზე ოფისის კარი ღია იყო, მიჩიკო უკირკიტებდა რალაცას. მე ჩემს საქმეს მოვრჩი და ის იყო, უნდა წამოვსულიყავი, მიჩიკომ ძალიან მორცხვად მთხოვა, რამდენიმე კითხვა მაქვს და თუ შეგიძლია, დამეხმარო. „ცოტა ხანი“ ერთი-ორ საათს გაგრძელდა და მივხვდი, რომ მიჩიკო ხუთი თვეა, ყველაფერს ესწრება, ჭიანჭველასავით მუშაობს, მაგრამ სისტემაში ვერ გაერკვია და რა კვლევის ჩატარებაც უნდოდა, ვერც კი დაიწყო, ისიც მითხრა, ქმარ-შვილი ტოკიოში დავტოვე, ძალიან მინდოდა, ამ ინსტიტუტში გამოცდილება მიმელოო. დეტალებით თავს არ შეგანყენთ, მაგრამ იმ დღიდან ყოველ პარასკევს მიჩიკოს სუპერვიზიას ვუტარებდი. მანამდეც, თუ მეცალა, ვესაუბრებოდი. კიდეც ერთი წელი დარჩა მიჩიკო ლონდონში და ორი კვლევა დაბეჭდა. იაპონიაში რომ დაბრუნდა, პროფესორის წოდებაც მიიღო და დიდი დეპარტამენტიც ჩააბარეს. ყოველ წელს ულამაზესი ღია ბარათით მილოცავს შობას და თითქმის ყველა ბარათს ვინახავ, ისეთი ხარისხის ქალაღებია დაწერილი.

ჰოდა, ერთ დღეს მომდის გრძელი წერილი მიჩიკოსგან. ძალიან გთხოვ, ჩამოდი, რამდენი ხნითაც მოახერხებ, თუ გინდა, ოჯახთან ერთად, სასტუმროს და მგზავრობის ხარჯებს ჩემი უნივერსიტეტი და ინგლის-იაპონიის საზოგადოება დაფარავსო.

ჩემი ლექსო არქიტექტორია და, სიამოვნებით წამოვალაო. ძალიან მომინდა ლექსოსთან ერთად ასეთი შემთხვევის გამოყენება და წავედით...

მიჩიკოს ნიუ-იორკში შევხვდი იაპონიაში გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე და ძალიან გახარებული იყო, კარგია, რომ ჩამოდიხარ, უკვე იმდენი ხალხი დარეგისტრირდა შენს ლექციასა და ვორქშოფზე, სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოდიან და რექტორიც მოვაო, ძალიან კარგია ჩვენი დეპარტამენტისთვისო.. მეც ძალიან დამეხმარება ჩემი საქმეების დალაგებაში შენი ლექცია-სემინარები და სოციალური პროგრამაო...

მიჩიკოს ჩავაცივდი, პირველად მოვდივარ შენს ქვეყანაში, ვიცი, დიდხანს ჩაკეტილები იყავით, ძალიან განსხვავებულები ხართ და ძალიან გთხოვ, მითხარი, აი, მაგალითად, ინგლისში ყველაზე მეტად რამ დაგშოკა და რა გაგიჭირდა, რომ დაახლოებით მივხვდე, რას ველოდო ორი კვირის მანძილზე-მეთქი. ასე ადვილად იაპონელს თავის აზრს ვერ ათქმევინებ და მერე ვეხუმრე, თუ არ მეტყვი, არ ჩამოვალ-მეთქი. მიჩიკომ ამოიოხრა, მიხვდა, რომ არ მოვეშვებოდი და მითხრა, ინგლისელები ზედმეტად ემოციური ხალხია, ძალიან ახლოს მოდიან და ფიზიკური შეხება უყვართ, რაც ძალიან მიჭირდაო... 26 წელია, ინგლისში ვცხოვრობ და ასეთი რამ არც კი გამიფიქრია, გამეცინა და ვუთხარი, ჩემო მიჩიკო, ძალიან მინდა საქართველოში სტუმრად მენვიო, მაგრამ ინგლისელების ემოციურობა და ფიზიკური შეხება თუ პრობლემა იყო, ჯობია საქართველოში არ ჩამოხვიდე-მეთქი... მიჩიკომ გემრიელად იცინა თავისებურად და მითხრა, მე კმაყოფილი ვარ, რომ ჩამოხვალ და კოგნიტურ მოქნილობას გვასწავლიო. იაპონელებს ეს ძალიან გვჭირდება და მერე ვინ იცის, იქნებ გავბედო საქართველოში ჩამოსვლაო...

იაპონიაში აეროპორტიდან დაიწყო ის განცდა, რომ სხვა პლანეტაზე მოვხვდი. არასოდეს ეს განცდა არ მაქვს არც ევროპაში, არც ამერიკაში, არც ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში, არც ჰონკონგში და არც სამხრეთ ამერიკაში...

თავაზიანი რევერანსები და უაღრესი სისუფთავე თვალის-მომჭრელად კონტრასტულია ყველაფერთან, რაც ადრე მინახავს. იაპონურ ტუალეტებზე შეგნებულად არაფერს ვიტყვი, მეშინია, ძალიან არ გამიგრძელდეს ნაამბობი და ტუალეტის თემამ არ დათრგუნოს უფრო მნიშვნელოვანი ამბები. იაპონელმა მასპინძლებმა არაჩვეულებრივი სასტუმრო დაგვახვედრეს ტოკიოს საინ-

ტერესო ნაწილში და ოთახი ამერიკული სტანდარტით შეუკვეთეს. თურმე აუცილებელია ამ ნიუანსის დაცვა. თუ იციან, რომ ასეთი ოთახი გინდა, ფასში იმდენად დიდი განსხვავება არ არის, მაგრამ დიდი განსხვავებაა ოთახის, მაგიდის და სანოლის ზომებში... მე სიმაღლით იაპონურ სტანდარტებში როგორმე ჩავჯდები, ჩემი ლექსო კი ნამდვილად შეწუხდებოდა იაპონურ სტანდარტულ ოთახში ორი კვირა...

ცოტა დავისვენეთ მე და ლექსომ და მიჩიკოც გამოჩნდა თავისი მეუღლით, დაგვხვდა ფოიეში ტრადიციულ კიმონოში გამონყობილი... დიდი ბოდიში მომიხადა, რომ მძლოლი დაგვახვედრა აეროპორტში, მე დილიდან კიმონოს ვიცვამდიო, ტრენინგი კი ერთი თვეა, დავინყე, მაგრამ დღეს ჩემი მასწავლებელიც მეხმარებოდა, რამე რომ არ შემშლოდაო, აი ასე... ერთი შეხედვით მარტივი კიმონოს და ქოშების ჩაცმა დიდი ხელოვნება ყოფილა და დღევანდელ იაპონიაში ძალიან ძვირი სიამოვნება. მიჩიკო და მისი მეუღლე დამსახურებული ექიმები არიან და შეუძლიათ ასეთი ტრადიციის შენახვა, მაგრამ ყველას არა აქვს თურმე ამის საშუალება...

პირველი, სადაც წავედით, მიჩიკოს და მისი კარდიოლოგი მეუღლის საყვარელი ნაციონალური მუზეუმი აღმოჩნდა. ლანჩზე ვერ მივხვდი, რა მივირთვით, ოღონდ ყველაფერი ისე ლამაზი იყო, არც მინდოდა შეხება... აქ კიდევ ერთი საინტერესო რამ გავიგე: მიჩიკოს დედა იკებანას დიდი ოსტატი ყოფილა, დედამთილი კი – კიმონოსი, მიჩიკო პირველი ქალია მისი ოჯახის მრავალ თაობაში, ვინც სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა და პროფესორი გახდა... კიდევ ერთხელ გამაოცა ამ პატარა და ყოჩალი ქალის მიზანდასახულობამ; ლანჩის დროს ისიც გავიგეთ, რომ თურმე იაპონელებს ძალიან პატარა შვეტულებები აქვთ და ამიტომ პენსიაში გასვლის მერე მოგზაურობენ. ახლა ვხვდები, რატომ ვხედავ ვეტერანი იაპონელების ჯგუფებს მსოფლიოს ყველა კუთხეში, დიდი ავტობუსებით და არაჩვეულებრივი ფოტოაპარატებით.

ამ საინტერესო ლანჩის მერე ბრინჯის გამოფენაზე შევედით. ჰო, ნამდვილად ბრინჯის გამოფენაზე, პროგრამაც წამოვიღე. ბრინჯის ყოველი მარცვალი გამადიდებელი შუშის მიღმა უნდა

დაგეთვალაიერებინა. მე და ლექსომ მალევე დავამთავრეთ ეს საქმე, რადგან ალბათ მარტო იაპონელებს შეუძლიათ ასეთი სიამოვნების მიღება. კიდევ კარგი, ეთნოგრაფიული ნაწილიც ჰქონდათ, რაც შედარებით უფრო გასაგები აღმოჩნდა...

მიჩიკოს და მის მეუღლეს ბრინჯის გამოფენა უკვე დათვალიერებული ჰქონდათ, ამიტომ ჩვენი ინტერესების მიხედვით ვიმოდრავეთ.

ტოკიო საოცარი ქალაქია და კიდევ კარგი, ლექსოსთან ერთად ვიყავი. ლექსოს ნავიგაციის არაჩვეულებრივი უნარი აქვს. ალბათ ბევრჯერ დავიკარგებოდი უზარმაზარ ტოკიოში ჩემი ლექსოს გარეშე. მართალია, მიჩიკო ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი დრო დაეთმო ჩვენთვის, მაგრამ იაპონელები სამსახურს არ აცდენენ და ჩემი ორდღიანი ლექცია-ვორქშოფები უკვე საკმარის დროს მოითხოვდა, ამიტომ მიჩიკოსთან ერთად ვიყავით ძალიან ტრადიციულ ადგილებში, მაგალითად, დილის 7 საათზე თევზის ბაზრის პატარა რესტორანში, სადაც განთქმულ სუშის აკეთებენ და არა მგონია, ადგილობრივების გარდა ვინმე დადიოდეს იქ. დასავლეთში და ამერიკაში სუში ძალიან სხვანაირია და არ ჰგავს ნამდვილ იაპონურს. ორი კვირის მანძილზე იაპონურმა სამზარეულომ კარგად დამანახა, რატომ არ ჰყავთ იაპონელებს ჭარბწონიანი მოსახლეობა და რატომ გადაიჭრა მსოფლიო სიმსუქნის პანდემიის პრობლემა მარტივად და ბუნებრივად. ჯერ ერთი, პატარა ულუფებია, მეორეც – თევზი, ბრინჯი და სოიოზე და მატჩას ჩაიზე მომზადებული პატარა დესერტები ნაკლებკალორიული და ნაკლებად ტკბილია.

ხილი და ყველი იშვიათად შედის რაციონში და ბოსტნეულით, ბრინჯით და თევზით კვება ეტყობა კიდევ მოსახლეობას...

იაპონიაში ქალები ჯერ კიდევ იჩაგრებიან სქესის გამო. აკადემიურ სტრუქტურაშიც კი ძალიან შესამჩნევია ეს. გამონაკლისის გარეშე, მთავარი თანამდებობა ყოველთვის კაცს უჭირავს და რევერანსიც სხვანაირი ეკუთვნის, ქალ პროფესორებს სხვანაირად ესალმებიან და ამ რიტუალების გაგება და ნიუანსების შეგრძნება თითქმის შეუძლებელია; არ მიკვირს, რომ თითქმის არ ჰყავთ ემიგრანტები, ალბათ, შეუძლებელია სრული ასიმილირება იაპონიაში, თუ უცხოელი ხარ. სტუმართმოყვარეობას რაც შეეხება,

ტურისტის გამოცდილებაზე ვერაფერს ვიტყვი, რადგან ყველგან – კიოტოშიც, ტოკიოშიც და ჩიბაშიც არაჩვეულებრივი მასპინძლები მყავდა. ორი ისტორია დამამახსოვდა, როცა მართლა დავიბენი. პირველი, როცა თარჯიმანმა მითხრა, საოცრად გიღებენ და ისე გცემენ პატივს, როგორც კაცსო, ცოტა უხერხულად ვიგრძენი თავი და დავაზუსტებინე, რას გულისხმობდა. ხომ ხედავ, ყოველთვის სუფრის თავში გსვამენ და მეორე თავში ყოველთვის ყველაზე უფროსი ზის იერარქიულად. მართალი გითხრათ, არ მიმიქცევია ამისთვის ყურადღება, მაგრამ როცა დავაკვირდი, მართლა ასე იყო...

ჰოდა, ლონდონში დაბრუნების წინა საღამოს გაცილება მომიწყვეს მიჩიკომ და მისმა თანამშრომლებმა. წამიყვანეს უცნაურ რესტორანში, სადაც ცალკე ოთახში ვიყავით, ისე რომ სხვა სტუმრებთან არ გვექონოდა შეხება. მომსახურე პერსონალს გამორჩეულად ძვირფასი კიმონოები ეცვა. ერთი კერძის შიბუ-შიბუს მისართმევად მივედით. მაგიდის ცენტრში იდგა ჯამი თუხთუხა წყლით და რალაც ბალახებით, მოგვიტანეს სხვადასხვა სახის სოკო, ბოსტნეული და ძალიან თხლად დაჭრილი ძროხის ხორცი. ეს კერძი ერთ-ერთი დელიკატესია, ძროხები სპეციალურად გამოჰყავთ, ამასაყებენ. მოკლედ, ხორცის ნაჭერი ცხელ წყალში რამდენიმეჯერ უნდა გაავლ-გამოავლო და ბოსტნეულთან ერთად მიირთვა, ამასთან, საკე და ქლიავის ღვინო მიაყოლო. დაახლოებით ერთ საათში ჩემი მასპინძლები უფრო ფართოდ ილიმებოდნენ და მეტს იცინოდნენ. მერე მკითხეს ჩემი შთაბეჭდილებები იაპონიაზე და პირველი ის ვთხოვე, რომ აეხსნათ, რატომ უჭირთ ფიზიკური კონტაქტი. დაახლოებით 15 ადამიანი ვიყავით იმ საღამოს ერთად და აღმოჩნდა, რომ დედაც კი არ შეხებია არავის მას მერე, რაც 12 წლისანი გახდნენ. ამიტომ სექსუალური პარტნიორის გარდა ფიზიკური შეხება მიუღებელია.

მე მოვუყევი ჩემი და მიჩიკოს ადრინდელი დიალოგის შესახებ. რადგან ყველა ნასვამი იყო, ავტობუსმა მოგვაკითხა და პირველი მე მიმიყვანეს სასტუმროსთან. დავემშვიდობე მასპინძლებს, მადლობა ვუთხარი და ის იყო, უნდა ჩავსულიყავი ავტობუსიდან, მთლად უფროსმა მთხოვა, გვაჩვენე რა, შენს სამშობლოში რომ იყო, როგორ დაგვემშვიდობებოდით. ჩახუტებით-მეტეჟი, არც

დავფიქრებულვარ, ისე ვუთხარი. შედეგად, ის მოხდა, რომ ყველა ჩამოვიდა ავტობუსიდან და გამწკივდა რიგი, მეც რა უნდა მექნა, სათითაოდ ჩავეხუტე მთელ განყოფილებას და სანამ კმაყოფილი, აკისკისებული იაპონელებით სავსე ავტობუსი თვალს არ მიეფარა, ვუქნევდით ხელს ერთმანეთს...

რეცეპტი ვერა, მაგრამ როცა საშუალება მეძლევა, ყოველთვის სიამოვნებით მივირთმევ ქლიავის ღვინოს, რომელიც მაშინ პირველად გავსინჯე და ძალიან მომეწონა. თან ყოველთვის რიგში გამწკრივებული, ჩასახუტებლად მომზადებული ჩემი კოლეგები მახსენდება დიდი მადლიერების გრძნობით, მე და ლექსოს არაჩვეულებრივი მოგონებები რომ გვაჩუქეს საოცარი ქვეყნის ნახვით. სიამოვნებით წავიდოდი და კიდევ ერთხელ გავოცდებოდი კაბუკის თეატრით, სადაც თითქმის ვერაფერი გავიგე და სცენას და მაყურებელს თანაბარი ინტერესით ვუყურებდი; კიოტოთი; ტყვია-მატარებლით, წამების სიზუსტით რომ დადის არანორმალური სისწრაფით; გეიშებით და, ცხადია, ტოკიოს მრავალფეროვნებით და ათასნაირი ნიუანსებით ადამიანთა ურთიერთობაში, რომელიც სრულიად უნიკალურია.

თუ კიდევ მერგო ეს ბედნიერება, აუცილებლად მეტი დროით წავალ და სხვა ადგილების ნახვასაც მოვიხდომებ.



ბრაზილია ...სილვია, ანჟელიკა და ჟაირი

სამბა, ბოსა ნოვა, ულამაზესი ბუნება, უზარმაზარი ტერიტორია, არაჩვეულებრივი ხალხი და ისეთი სასიამოვნო პორტუგალიური, ორიგინალურ პორტუგალიურს რომ ჯობია...

Aquarela do Brasil-Joao Gilberto ის სიმღერაა, რომელიც ყოველთვის გამახსენებს იმ ემოციებს და გრძნობას, რაც ბრაზილიასა და ჩემს იქაურ მეგობრებთან მაკავშირებს...

პირველად მე და სიმონი სიმონის კონფერენციაზე წავედით. კონფერენცია სილვია არკურიმ მოაწყო. სილვია სიმონთან ერთად მუშაობდა, ასაკით ჩვენზე უმცროსია, ასპირანტურას ამთავრებდა და სიმონი ეხმარებოდა. მოკლედ, ჩვენი დიდი ხნის მეგობრობა ლონდონიდან დაიწყო და როცა ბრაზილიაში დაბრუნდა, ნეირომეცნიერების კონფერენცია მოაწყო. ჩვენი ინსტიტუტიდან დაახლოებით 30 ადამიანი წავედით და ბევრი ბრაზილიელი მეგობარი ჩამოვიდა. პირველ წლებში, 1997-1998-ში, ლონდონში ახალი ჩასულები რომ ვიყავით, ბრაზილიიდან ბევრი მკვლევარი ჩამოდიოდა, რადგან ტვინის შესწავლა სკანერით ახალი დაწყებული იყო. ფსიქოზების განყოფილებაში, სადაც სიმონი მუშაობდა, ძალიან დაუმეგობრდა ბრაზილიელებს და ზაფხულობით შაბათ-კვირას ხშირად ვიკრიბებოდით. მალე გავხდით დიდი ბრაზილიელი სამეგობროს წევრები და ვისწავლეთ კაპირინიას მომზადება, ბრაზილიური ბარბიქიუ და მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთის დიდი გულშემმატკივარი არ ვარ, მატჩებსაც კი ვუყურებდით ერთად. საოცარი სანახაობა იყო ლონდონში ჟილბერტო ჟილის და კაიტანო ველოსოს კონცერტებზე ერთად სიარული. კონცერტის განმავლობაში მთელი დარბაზი ცეკვავდა და მღეროდა, ასეთი რამ ლონდონში არ მინახავს, თუმცა ბევრჯერ ვყოფილვარ ბარბიკანის დარბაზში. ჟილბერტო ჟილი მაშინ კულტურის მინისტრი იყო, თან უკვე ხანდაზმული, მაგრამ საოცარი კონცერტი გამართა. არასოდეს არ დამავინწყდება ბრაზილიის ბევრი დროშა და ჟილბერტოსთან ერთად ამღერებულ-აცეკვებული მთელი დარბაზი.

მოკლედ, სილვიამ და მისმა მშობლებმა სან-პაულუში დიდი

სიყვარულით მიგვიღეს და არაფრით სასტუმროში არ გაგვიშვეს. თქვენ ჩვენს შვილს ისე თბილად ექცეოდით ლონდონში, ძალიან გვინდა, ჩვენთან იყოთო. ძალიან თბილი ხალხია და რამდენიმე დღე ოჯახში ცხოვრება ბევრ რამეს გიჩვენებს. მაგალითად, ის უბანი და სახლიც, სადაც სილვიას მშობლები ცხოვრობენ, საგულდაგულო დაცულია. მიუხედავად სიცხისა, მანქანის მინები ყველას ანეული აქვს, რადგან ძარცვა ძალიან ჩვეული ამბავია და დიდი სიფრთხილეა საჭირო... ასეთი დიდი კონტრასტი არსად არ მინახავს მდიდრებსა და ღარიბებს შორის.

სილვიას მშობლებთან გატარებულმა რამდენიმე დღემ როგორღაც შიგნიდან დაგვანახა იტალიური ფესვების მქონე ბრაზილიური ოჯახის ცხოვრება. სილვიას დედა დიდი ჰოსპიტლის მთავარი ექთანია, მამა სპორტის სამინისტროში მუშაობდა, ოთხი ქალიშვილი ჰყავთ. ასაკის მიუხედავად სილვიას მშობლები ფანტასტიურ ფორმაში არიან, ორივე ძალიან აქტიურია ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად.

რიოში სასტუმროში დავბინავდით მე და სიმონი. რიო, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო საინტერესო და სასიამოვნო ქალაქია ცოტა ხნით ჩასული ტურისტისთვის. ამდენი ლამაზი ადამიანი ერთად არ მინახავს, რაც რიოს პლაჟზე ვნახეთ. მერე ვიყავით გუარუჯაში, სადაც სიმონს კონფერენცია ჰქონდა. ეს უფრო წყნარი და კომფორტული დასასვენებელი ადგილია... ისე მახსოვს, ლონდონში რომ დავბრუნდით, წვიმაში, მზიანი და მხიარული ბრაზილიიდან, უკეთესად მივხვდი, რატომ უჭირდათ ჩვენს ბრაზილიელ მეგობრებს 3-4 წლით ჩამოსვლა ასპირანტურაში.

მეორედ ბრაზილიაში სხვანაირად მოვხვდი, უკვე ინდივიდუალური დაპატიჟებით. ანჟელიკა კლაუდინო სან-პაულუს კვებითი აშლილობების ცენტრის დირექტორია და მთხოვა, ლექცია და ვორქშოფები ჩამეტარებინა სან-პაულუში მისი ჯგუფისთვის.

ანჟელიკა არის ადამიანი, რომელსაც საკმაოდ დიდი პიროვნული და ფინანსური ძალა და გავლენა აქვს, მაგრამ კმაყოფილდება იმით, რომ ეს ყველაფერი აქვს და არავის ამით არ ანუხებს. გამოცდილებამ დამანახა, რომ ეს იშვიათია. პიროვნული ძალა ალბათ ყველაზე მეტად იმაში გამოჩნდა, რომ ანჟელიკამ ფსიქიატრია აირჩია. მამამისი ბრაზილიაში „აიკეას“ ბიზნესის

მაგვარი, ავეჯის პირველი და ყველაზე ძლიერი კომპანიის დამაარსებელი და მფლობელია. ოთხი ქალიშვილი ჰყავს და ყველა საოჯახო ბიზნესშია ჩართული, ყველას სათანადოდ მდიდარი მეუღლე ჰყავს, ჩვენი ანჟელიკა კი ჟაირის ცოლი გახდა. ჟაირი ჩვეულებრივი, საშუალო ფენიდან წამოსული კაცია. თვითონ გახდა ფსიქიატრიის ინსტიტუტის დირექტორი და ჯანმრთელობის სამინისტროს მრჩეველი. ინგლის-ბრაზილიის ექიმთა გაცვლის სქემებიც ჟაირის დამსახურებით დაინერგა, რადგან ინგლისში ჩვენს ინსტიტუტში ორი წელი გაატარა ახალგაზრდობაში და სამშობლოში დაბრუნების მერე კარგად გამოიყენა თავისი კონტაქტები.

სიმონს დიდად არ უყვარს ჩემთან ერთად მივლინებაში წასვლა, მაგრამ ანჟელიკა და ჟაირი კოლეგების გარდა მეგობრებიც არიან და ავსტრალიაში ჩვენი ერთად ყოფნის დროს სიმონს ძალიან სთხოვეს, ჩამოდო. მოკლედ, საქმიანი ნაწილი რომ მოვამთავრეთ, თან ორივე რომ ვიყავით და შვებულების დღეებიც გვექონდა, კარგად მოვიარეთ სან-პაულუ; სიმონი ნამდვილი ექსპერტი გახდა, სანამ ჩვენ უნივერსიტეტში ლექციაზე და ვორქშოფზე ვისხედით, მოიბრინა ქალაქის ძველი ნაწილი...

ამჯერად სან-პაულუ უფრო მომეწონა და ალბათ ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ ცენტრში კარგ სასტუმროში ვცხოვრობდით, იქვე გვექონდა არაჩვეულებრივი გალერეა, რომელიც ტროპიკული წვიმის დროს მისწრებაა და, ამავე დროს, ძალიან ვისიამოვნე სანდრო კაკაბაძესთან სტუმრობით. სანდრო სულ პატარობიდან მახსოვს, მაშინ როცა ნინიკო გოგოლაძე, სოფო ბაქრაძე, ნანა კარტოზია და ჩაქუჩა ერთად ვიყავით ბაკურიანში და სანდრო – ერთი პატარა ამდენ უფროსებში. ბევრი წლის მერე თავიდან ჯერ ლონდონში დავმეგობრდით და მერე მის ქართულ-ბრაზილიურ ოჯახს სან-პაულუშიც რომ ვენვიეთ, ძალიან გაგვიხარდა ყველას. დიდი სიამოვნებაა, როცა შენი ახლო მეგობრების შვილებს ეურთიერთები, როგორც თანატოლებს და როცა გეამაყება, ასეთი კარგები, ნიჭიერები და არაჩვეულებრივები არიან...

ჩვენი შემდეგი გაჩერება ამჯერად იგუასუს ჩანჩქერები იყო. ჯერ ბრაზილიის მხრიდან დავათვალიერეთ, მერე – არგენტინის მხრიდან, სანამ ბუენოს-აირესში წავიდოდით. გასაოცარი სანა-

ხაობაა... იგუასუ საოცრებაა და ჩანჩქერები სასურველია, ორივე მხრიდან ინახოს. ერთი დღე მაინც უნდა ბრაზილიის მხარეს და მერე არგენტინისას. ბრაზილიის მხრიდან საოცარი ბოტანიკური პარკი (Park Das Aves) და ზოოპარკიც სანახავია. ზოოპარკებზე არ ვგიჟდები. არ მიყვარს გალიებში გამოკეტილი ცხოველები და ფრინველები, მაგრამ რაც იქ ვნახე ერთად, უზარმაზარი პეპლები, მარჯნისფერი ფლამინგოები, საოცარი ჩიტები და ცხოველები, თან იმხელა ტერიტორიაზე, რომ ნაკლებად შენუხებული წამოვედი. მერე ჩვენმა გიდმა და მძღოლმა იგუასუ მოგვატარა და მეორე დღეს არგენტინაში გადაგვიყვანა. ჩვენი გიდი საინტერესო ტიპი აღმოჩნდა. ბევრი ხვენწა არ დამჭირვებია, როგორც კი გაიგო, რომ ფსიქოლოგი ვარ, მთელი თავისი სევდიანი ისტორია მიაშობო. ფაველაში იზრდებოდა რომელიღაც დიდ ქალაქში. ძალიან პატარა იყო, როცა მამა მოუკლეს, ასევე სულ პატარას დედა სიმსივნით გაუხდა ავად და ბედად დედის ძმა ჩამოვიდა, ეს პატარა ბიჭი როგორც შვილი ისე გაზარდა. ბიძაჩემი რომ არა, არც ვიცი, აქამდე ვიცოცხლებდი თუ არაო. თავისი სახლიც მაჩვენა, ლოკალურ სურსათის მაღაზიაშიც შემეყვანა, სადაც თვითონ ყიდულობენ რალაცეებს. საოცრად განსხვავდება სან-პაულუს და სხვა დიდი ქალაქების სუპერმარკეტებისაგან. ძალიან პატარა არჩევანია, იქვე რაც აქვთ, ადგილობრივ ფერმერებს. რამდენიმე მანგო და პაპაია ვიყიდე და სასტუმროში რომ მოვედით საღამოს და გავსინჯეთ, მივხვდი, რომ მეტი უნდა წამომელო, სულ სხვა გემო აქვს და ზომითაც არ არის ისეთი გიგანტური, ლონდონში როგორიც იყიდება...

ჩემი გიდის სევდიანი ისტორია სამუდამოდ დამამახსოვრდა; პატარა გოგო ჰყავს, რომელზეც გიჟდება და მაჩვენა მისი და ცოლის სურათი. ძნელია ასე უნახავად ადამიანის შესახებ რამე თქვა, მაგრამ როგორც ჩანს, ცოლს ბავშვობის მძიმე ტრავმები აქვს გადატანილი და ემოციურად არასტაბილური ადამიანია. ხან თავის მოკვლის მცდელობა აქვს, ხან აგრესია ქმრის მიმართ, ხან რა და ხან რა, მაგრამ ჩემი სევდიანი გიდი იმედს არ კარგავს და თავისი პატარა შვილის გამო ცდილობს, ყველაფერი გააკეთოს. მერე ბევრი იბოდიშა, საერთოდ არ გვაქვს უფლება, ამდენი ველაპარაკოთ და ჩვენი პრობლემებით შევანუხოთ კლიენტო...

ვატყობ, რაც დრო გადის, კიდევ უფრო მეტად მიყვარს და მსიამოვნებს ჩემი ბრაზილიური ალბომების მოსმენა. თუ კიდევ მოეხვდები ბრაზილიაში, ამჯერად მინდა ბაია და მისი დედაქალაქი სალვადორი მოვინახულო.

გემოებზე არ ვიცი, რა ვთქვა. ხილიც და ბოსტნეულიც კარგად მნიფდება და ამიტომ ძალიან გემრიელია, არ ჰგავს ლონდონის სუპერმარკეტში ნაყიდ პაპაიას, ბანანს და ასე შემდეგ...

ფეჟუატა ძალიან ბრაზილიური კერძია. მარტივად რომ ვთქვა, ლობიო ღორის ხორციით, მაგრამ სხვა ბევრი რამ მოყვება ფეჟუატას და არ ჰგავს ქართულს.



არბენტინა და არაჩვეულებრივი არბენტინელები

ბუენოს-აირესი მართლაც უენოს აირესია, როგორც ერთხელ ენამოსწრებულ ტარიელ ჭანტურიას უთქვამს. ბევრი რამ არეულა და ლამაზ დიდ ქალაქად გადაქცეულა. სამხრეთ ამერიკაში ასე არც ერთი ქალაქი არ მომწონებია; ქალაქი, რომელიც არ იძინებს. ორჯერ ვიყავი, ერთხელ მარტო და ერთხელ სიმონთან ერთად, პირველად – ჩემი ყოფილი ასპირანტის მიწვევით. საშინელი ჯეტლევები მქონდა. არ დამავიწყდება, პირველივე საღამოს ჩემს სასტუმროსთან გავივლი ქუჩაში-მეთქი, ვიფიქრე და თავი ამოვყავი თეატრში, სადაც წიგნის მაღაზია აქვთ გახსნილი და 24 საათი მუშაობს. წარმოიდგინეთ, რა ბედნიერებაა ადამიანისთვის, ვისაც არ ეძინება, მისწრება. ყველაზე მეტად კი ის გამიკვირდა, რამდენ ხალხს არ სძინავს თურმე ღამე და ასე ზის თეატრის შენობაში და კითხულობს...

მეორე დღეს, გამოვედი თუ არა სასტუმროდან, სამი საათი მქონდა, სანამ მასპინძლები მომაკითხავდნენ და ევა პერონის სახლ-მუზეუმს მივადექი. რუკით სიარული და გამიზნულად აღარ მიყვარს, მითუმეტეს, თუ მასპინძელი გყავს, ჯობია, გუმანით იარო და ქალაქის პულსი იგრძნო. ევიტას მუზეუმში შესვლა მომინდა და არ ვინანე, იმიტომ, რომ პერონები ზოგს ესიმპათიურებოდა და ძალიან ბევრს – არა. ჩემს ახლო გარემოში, ანუ ექიმებსა და ფსიქოლოგებში არა მგონია, ვინმეს აზრად დაეშვა ევიტას მუზეუმის ჩვენება, უბრალოდ, არც ერთს ისეთ ავტორიტეტად არ მიაჩნია, როგორც ჩვენ, გარედან მოსულ ტურისტებს, ვისაც ლეგენდად ქცეული და ვებერის მიუზიკლში გაიდებლებული ევიტას შთაბეჭდილება უნივერსალური გვეგონია. პოლიტიკასა და მუზეუმებთან ურთიერთობა ამით დავამთავრე პირველი ჩასვლისას და დანარჩენი დრო უკვე იქაურ უკვე ნაცნობ ან ახალგააცნობილ კოლეგებთან გავატარე.

ბუენოს-აირესში არის ტანგო ტურისტებისთვის და ადგილები, სადაც არგენტინელებიც დადიან ტანგოს სანახავად. ასეთ საოცარ

ადგილას წამიყვანეს მეორე საღამოს და „ჯეტლეგიც“ დამავიწყდა და ყბა რომ ჩამომივარდა, ორი საათი ასე მონუსხულივით ვუყურებდი საოცარ ცეკვას... შოუს ბოლოს მაგიდები აიღეს და ვისაც სურვილი ჰქონდა, საცეკვაოდ დარჩა. მე აღარ მომინდა დარჩენა, ისეთი საოცრება ვნახე, ვიფიქრე, ჯობია ასე დავიმახსოვრო ეს საღამო-მეთქი და ალბათ სწორადაც მოვიქეცი.


შემდეგი დღეები ან ბროკაზე – ძველ ქალაქში, ან ისეთ უბნებში სეირნობას მოვანდომეთ, რაც ჩემმა არგენტინელმა ნაცნობებმა საჭიროდ ჩათვალეს და სახლებშიც მეპატიჟებოდნენ.

სესილი და პიტერი ბუენოს-აირესში ყველაზე ძვირადღირებული ოჯახის თერაპევტები არიან. მინუხინთან გაიარეს ამერიკაში ტრენინგი. სესილი ამერიკელი იყო, მოდელიც გახლდათ და დამატებით ასე შოულობდა დიდ ფულს. მინუხინის ჯგუფში ერთად მოხვდნენ და დიდგვაროვან და მდიდარ არგენტინელ პიტერს შეუყვარდა სესილი. სესილისთვის ძნელი იყო ამერიკიდან ბუენოს-აირესში გადასვლა, მაგრამ ბოლოს სიყვარულის ამბავი მშვიდობიანად დამთავრდა. სამი შვილი ჰყავთ, შვილიშვილები, სესილი ინგლისურენოვან პაციენტებთან მუშაობს, პიტერი – ესპანურენოვანებთან. სესილის ამერიკელობა მის არაჩვეულებრივ ოფისსაც ეტყობა და სახლსაც და როცა მითხრა ჩემი ნიუიორკელი წინაპრები პოლონელი ებრაელები იყვნენო, მაშინვე მელანის ნიუიორკული დიდი სახლი გამახსენდა. რა საოცარია: ეს ორი ქალი არც იცნობს ერთმანეთს და ამ ყველა ქვეყნიდან ჩამოტანილი ნიღბებით, კოლოფებით, ნივთებით, ჩაცმის სტილით როგორ ჰგვანან ერთმანეთს. სესილის და პიტერს რამდენიმე ადამიანი ემსახურებათ: მძღოლი, მოსამსახურე, თეთრი მაქმანებიანი წინსაფრით და თეთრი ხელთათმანებით, დამლაგებელი, რომელიც ყოველდღე მოდის და ორივეს თავისი მდივანი ჰყავს. სესილიმ იმ საღამოს თვითონ გააკეთა რიზოტოც და დესერტიც და პიტერი გაგვიმასპინძლდა არაჩვეულებრივი არგენტინული ღვინოებით.

სტუმრად სებასტიან სონეირასთანაც ვიყავი. სებასტიანი ფსიქიატრია. დედ-მამა ექიმები ჰყავს, მამა საავადმყოფოს მფლობელია. სებასტიანის მეუღლეც ექიმია და ფეხმძიმედ იყო ჩემი პირველი ჩასვლისას. სებასტიანი ცენტრიდან მოშორებით ცხოვრობს, ძალიან მწვანე, ბევრპარკებიან უბანში.

მეორედ რომ ჩავედი ბუენოს-აირესში, სიმონიც წამომყვა. როგორც კი დრო გამოუჩნდებოდა სებასტიანს, ჩვენთან უნდოდა ყოფნა და გვათვალისწინებდა თავის საყვარელ ადგილებს: ოპერას, რომელიც ძალიან შთამბეჭდავი და ეკლექტურია, კაფეებს და რესტორნებს მდინარის სანაპიროზე... ჯონ მალკოვიჩი აღარ შეგვხვედრია (მანამდე შემთხვევით გადავეყარეთ ბაზარში), მაგრამ ბევრი საინტერესო რამ ვნახეთ.

მეორე ვიზიტისას გული დამწყდა, როგორღაც უარესობისკენ შეიცვალა ქალაქი, უფრო მეტი უსახლკარო იყო ქუჩაში და სიღარიბის და სიდუხჭირის ატმოსფერო იგრძნობოდა.



ჩილე და ჩემი ჩილელი სტუდენტები

ჩემს ახალგაზრდობაში ხშირად მესმოდა სიმღერა „სალვადორე ალიენდე, კომუნისტებს როგორ ენდე“ და ძალიან ვხალისობდით, დანარჩენი სიტყვები კი აღარ მახსოვს... კიდევ მახსოვს, რომ პუტჩი და ჩილეს პოლიტიკური გადატრიალება დიდი ენთუზიაზმით განიხილებოდა პრესაში, ტელევიზიაში, სპექტაკლებიც იდგმებოდა; როგორც ჩანს, საბჭოთა ცენზურას მოსწონდა თემატიკა, ყოველ შემთხვევაში, იმ ხანებში.

ჩემი გაცნობა და შეხება ჩილესთან ჩემი პირველი ასპირანტი კაროლინა ლოპესით დაიწყო. მორცხვი და ძალიან სასიამოვნო სტუდენტი გამაცნო ჯანეტმა და მთხოვა, სუპერვიზიაში და დისერტაციის ხელმძღვანელობაში დავხმარებოდი. ჯანეტი ფსიქიატრია, არაჩვეულებრივი ექიმი, ცნობისმოყვარე და მრავალფეროვანი გემოვნების მკვლევარი, მაგრამ ფსიქიატრის და ფსიქოლოგის ტრენინგი განსხვავდება და მაინც საჭიროა, შენივე პროფესიის ხელმძღვანელთან ურთიერთობა, როცა დისერტაციის დაცვას ფსიქოლოგიის სფეროში აპირებ.

ჯანეტმა მითხრა, არ ვიცი, რა გამოვა, ჩილედან ჩამოიტანა ასპირანტურისთვის დაფინანსება, არც ისე კარგი ინგლისური აქვს და ალბათ ბევრი მუშაობა მოგვინევს ჩვენო... ისე კარგად განვენწყვე შეხვედრისთანავე, ჯანეტს ადვილად დავთანხმდი.


კაროლინა საოცრად შრომისმოყვარე გამოდგა და საბედნიეროდ, წერა უფრო ეხერხება ინგლისურად, ვიდრე საუბარი. რადგან უკვე ჰქონდა პაციენტებთან მუშაობის გამოცდილება, მალევე აულო ალლო ექსპერიმენტულ მუშაობას, პაციენტებთან თუნდაც მისთვის უცხო ენაზე ურთიერთობას. შინაგანი სითბო ძალიან დაეხმარა ადამიანებთან საერთო ენის გამოძებნაში და პროგრესი მალე დაეტყო. მაშინ ბრექსიტის ხსენებაც არ იყო და ჩვენს ინსტიტუტში ბევრი ევროპელი ჩამოდიოდა. ისე დაემთხვა, რომ განყოფილებაში რამდენიმე ასპირანტი გვყავდა და, ფაქტობრივად, არც ერთი ინგლისელი არ იყო. მარიონი ახალი ზელანდიიდან, კაროლინა ჩილედან, ანა როზა ესპანეთიდან, ემა იტალიიდან, ფაბრისი საფრანგეთიდან, მოკლედ, არაფერი სჯობდა სალამოობით

პაბში სიარულს და სხვადასხვა ამბების მოსმენას ყველანაირ ტრადიციებზე... პერიოდულად ჯანეტის დიდ სახლში შეკრებებსაც ვანყობდით და ყველას თავისი ნაციონალური კერძი მოჰქონდა. საბედნიეროდ, კაროლინა ლონდონში ასპირანტურის მერეც დარჩა და ძალიან მომეკედლა. იმ პერიოდში მაგისტრატურაში კიდევ ერთი ჩილეელი სტუდენტი მყავდა, ტატი და გავაცანი. ჩილელებს ერთად ყოფნა ძალიან უყვართ, განსაკუთრებით თავიანთი ქვეყნის გარეთ და განსაკუთრებით – ინგლისში, რადგან უჭირთ ამინდთან, ხალხთან და აქაურ კერძებთან შეგუება.

მოკლედ, დამეგობრდნენ ტატი და კაროლინა და დაახლოებით ერთდროულად მოუწიათ სანტიაგოში დაბრუნება. ტატი ექიმია, კაროლინა ფსიქოლოგი და კერძო სამსახური ერთად ააწყვეს დაბრუნებისთანავე. მალევე მომივიდა მოწვევა, ჩამოდი ლექციით და ვორქშოფით და ჩვენ გავუკეთებთ ორგანიზებასო. პირველად ამოვყავი თავი სანტიაგოში ამ დაპატიჟებით და გაოცებული დავრჩი, როგორი დალაგებული, საინტერესო და კარგი ქვეყანაა ჩილე. უცნაურად კი დაინყო თავგადასავალი. დამხვდნენ კაროლინა და ფილიპე აეროპორტში, წამიყვანეს და დამაბინავეს არაჩვეულებრივი მაღალსართულიანი სასტუმროს პენტჰაუზის ოროთახიან აპარტამენტში, არაჩვეულებრივი ხედით; მერე ცოტა დამასვენეს და ქალაქი შემომატარეს, წამიყვანეს პერუულ რესტორანში. უცნაურია, ჩილელებს ძალიან უყვართ პერუს და არგენტინული სამზარეულო. მოკლედ, ისე დავიღალე, ვთხოვე, გამოძინება მინდა, უკვე ვერაფერს ვერ აღვიქვამ-მეთქი. დამეძინა და მალვიძებს სერიოზული ქანაობა. მე-16 სართულზე მიწისძვრა, მერნმუნეთ, ძლიერ იგრძნობა. ძილ-ღვიძილში მივხვდი, რომ მიწისძვრაა, თან სერიოზული, ჩილეში ეს არ არის იშვიათობა. ძილ-ბურანში ვფიქრობ, რომ ავდგე, სად უნდა წავიდე, ამ სიმაღლიდან, ამ უცხო ქალაქში, ჯობია, ისევ გავაგრძელო ძილი, ვითომ ჰამაკში ვარ-მეთქი. ალბათ, ასე დაღლილი რომ არ ვყოფილიყავი და ადგომის ენერგია მქონოდა, ასე ადვილად ვერ გადავიტანდი. დილას, უკვე ყავა რომ დავლიე და ჩემი ლეპტოპი გავხსენი, მხვდება იმეილი კაროლინასგან: „ქეთი, სერიოზული მიწისძვრაა, ალბათ 7-8 მაგნიტუდის სიძლიერის; ჩვენ კი მიჩვეულები ვართ, მაგრამ 6-ის მერე მაინც ვიძაბებით. ყველას

გვლვიძავს და ძალიან გთხოვ, თუ გვლვიძავს, დამირეკე და ჩვენს ერთსართულიან სახლში გადმოგიყვანთ, ერთად მანც ვიქნებით. თუ ისე დალლილი ხარ, რომ გძინავს, ხომ მთლად უკეთესი. არ მინდა, ტელეფონის ზარით გაგაღვიძო და შეგაშინო.“ ბრძენი ადამიანი! მთელი ჩემი იქ ყოფნის დროს ჰამაკივით აქანავებდა მე-16 სართულს მინისძვრის შემდგომი რყევები, მაგრამ უფრო სუსტად. სამჯერ მაქვს გამოცდილი ეს არასასიამოვნო უმწეობის შეგრძნება. პირველად თბილისში 90-იანებში, მეოთხე სართულზე, ქურდიანის ქუჩაზე, ლექსო სულ პატარა მყავდა. მეორედ ჩილეში და მესამედ – იაპონიაში, ტოკიოში, მე და ლექსო ასევე მაღალ სართულზე, აღარ მახსოვს, მეოცეზე თუ ოცდამეორეზე ყანყალმა გაგვალვიდა, იმდენად სერიოზული იყო, ტრანსპორტი ერთი საათით შეაჩერეს. სანამ ქუჩაში გამოვედით, ტოკიო ისევე ჩვეული რიტმით და საათივით აწყობილი დაგვხვდა, ვითომ არაფერი მომხდარაო.

კაროლინამ და ფილიპემ ვენახებში და ღვინის დეგუსტაციაზე წამიყვანეს ლექციების მერე. საოცრად მოვლილი ვენახებია, უგემრიელესი ღვინო... ტატიმ ოკეანის პირას თავის აგარაკზე წამიყვანა ერთი დღით, წამდვილ ზღაპარში. როცა ადამიანს თავისი ქვეყნის და საყვარელი ადგილის კონტექსტში ხედავ, როგორღაც ეს გამოცდილება საოცრად გაახლოებს ამ ადამიანთანაც და მის კულტურასთანაც. ულამაზესი ქვეყანაა ჩილე და ალბათ სამხრეთ ამერიკაში ყველაზე აწყობილი, მოწესრიგებული და მოვლილი.



ჩაბლილი კონფერენცია და ფანტასტიური არდადეგები მექსიკაში

2009 წელს ამერიკელებს ჩვენი აკადემიის შეხვედრა კანკუნში ჰქონდათ დაგეგმილი. როგორც ვიცით, კანკუნი მექსიკაში მონყობილი ამერიკული კურორტია, ანუ იქ ისეთი სასტუმროებია, ამერიკელებს რომ უყვართ. როცა საერთაშორისო შეხვედრა იგეგმება, სადაც ამერიკა დომინირებს, არ უყვართ ეგზოტიკური გადახვევები...

ჩემი ინგლისელი კოლეგები კი პირიქით, ეგზოტიკური და ქვეყნის ნამდვილი მხარის ნახვით უფრო არიან დაინტერესებული, ვიდრე კომფორტით, რომელსაც ამერიკელი კლინიცისტი მკვლევრები აუცილებელად თვლიან. ჰოდა, რადგან ასეთ შორ და ძვირ კონფერენციაზე მივდიოდით ულრიკე, ჯანეტი, იენი და მე, გადავუხვეით.

ულრიკეს ერთ-ერთმა ასპირანტმა ვერანიამ, რომელიც მექსიკელია, გვიჩიო, ცოტა ადრე გადაფრინდით, აუცილებლად წადით ტულუმში და პირამიდებს ნახავთ, ისეთი სასტუმრო აირჩიეთ, სადაც მე დავრჩებოდი და არდადეგებს გავატარებდიო. ვერანიამ გვითხრა, კანკუნი ამერიკელებმა თავისთვის მოიწყვეს ამერიკულად და თუ მექსიკის ნახვა გინდათ, კანკუნში ვერაფრით ვერ დაამულამებთ, რა არის მექსიკაო...

და კიდევ კარგი, ვერანიას დავუჯერეთ. ჩავფრინდით თუ არა კანკუნში, ფრანსისიც შემოგვიერთდა. მოვახტით მანქანას და ჩავედით ტულუმში. ლურჯი ოკეანე, პალმები, სილიანი სანაპირო, სინყნარე, სიმშვიდე და ჩვენი სასტუმრო; შიგადაშიგ – ჰამაკები – თუ სტუდენტის ხარ, შემოგალამდა და ბევრი ფული არ გაქვს; ნაფნაფის ქოხი, სილაზე დადგმული, თუ მიანცდამინც ჰამაკი არ გინდა; მერე ოთახი შხაპით, ოღონდ შტეფსელების გარეშე. ყველაზე კომფორტულ ოთახად ის ითვლება, რომელსაც შტეფსელი აქვს...

ინტერნეტი – ალაგ-ალაგ მშვიდობაში; ჩავედით თუ არა, გავგიჟდით, ისე მოგვენონა, დილით ხილით მოვაჭრე მოდიოდა, ყავა და ხილის საუზმე, შუადღეზე გუაკამოლი (მნიფე ავოკადო

წინაკით, ლიმნის წვენი) და ლობიო, ადგილობრივი მზარეულის მომზადებული, თევზი, როცა მეთევზე მოიტანდა და სალამოს – პინგ-პონგი და კოქტილები, ყველაზე პოპულარული მოხიტო და, რა თქმა უნდა, ფანტასტიური ამინდი!!!! მოკლედ, ამქვეყნიურ სამოთხეში მოვხვდით და გვიხაროდა, სამი დღე გამოგვივიდოდა დასვენება და მერე კანკუნი თავისი დიდი კონფერენციით, პოლიტიკით, მოხსენებებით, ბიზნეს-შეხვედრებით. როგორც წესი, აკადემიის შეხვედრები დილის 8-ზე იწყება და სალამოს 8-მდე გიჟური გრაფიკა. სალამოს სოციალური ცხოვრებაც ისეა დაგეგმილი, რომ მაქსიმალურად საქმეში იყო და კავშირები და თანამშრომლობები გააჩაღო. რადგან მთელი მსოფლიოს წამყვანი ლაბორატორიები და კლინიკები ჩამოდიან, ორგანიზატორებს უნდათ, რომ პროგრამა მაქსიმალურად გამოიყენოს ხალხმა. ასეთი კონფერენციის მოლოდინში ტულუმის სამოთხეში მოხვედრამ ყველა მოგვადუნა, კარგ ხასიათზე დაგვაყენა და ჩვენი რეალობიდან ძალიან განსხვავებულ სამყაროში გადაგვტყორცნა.

ერთი კი გვიკვირდა – პირამიდების სანახავად რომ ვიყავით, რიგში არ ვმდგარვართ, გამოქვაბულებშიც წავედით და ვიცურავთ კიდეც. მოკლედ, ვლაგდებით სალამოს და ვაპირებთ კანკუნში გამგზავრებას და უცებ ჯანეტი გამოგვეცხადა ვახშამზე (შტეფსელი მარტო მას ჰქონდა და ტელეფონი დატენა), კონფერენცია ჩაიშალაო, „ლორის გრიპის“ პანდემიაა გამოცხადებული და კანკუნში შეგიძლიათ აღარ ჩამოხვიდეთო, ასეთი მესიჯი მიიღო.

მეორე ზარი ჯანეტის ქმრისგან შემოვიდა, სად ხართ, ხალხო, ამისთანა გადაკარგულში, მეც, სიმონიც და ულრიკეს ქმარი დევიდიც გაგიჟებულები და შეშინებულები ვართ, ნადით აეროპორტში და გამოყევით რამესო... შევძარით ქვეყანა, არცერთი ტელეფონს არ იღებთ და იმეილს არ პასუხობთ, ამისთანა ადგილას სად ხართო?

დავფიქრდით, ავწონეთ, დავწონეთ და ოთხი პროფესორის საუკეთესო გადაწყვეტილება მივიღეთ. ვაფრინეთ იმეილიც, რომელიც დაახლოებით ასეთი შინაარსის იყო:

„ჩვენო უსაყვარლესო ქმრებო და შვილებო, ძალიან გთხოვთ,

ჩვენზე არ იდარდოთ. აეროპორტში ისეთი ამბავი იქნება, ჩვენ ბილეთებს არავინ გადაგვიცვლის და რამე არ ავიკიდოთ ქაოსში, ჯობია, აქ დავრჩეთ და როცა ბილეთი გვაქვს, მამინ წამოვიდეთ“...

ყველა პარკი და ტურისტული ადგილი დაიკეტა ჩვენს იქ ყოფნაში. ჩვენი პანიკაში ჩაცვენილი კოლეგები, ვინც კანკუნში ჩაფრინდა, უკან გაიქცნენ და მერე გავიგეთ, რა ქაოსი ყოფილა აეროპორტში. ავსტრალიელი კოლეგები ამხელა გზის მერე უკან გაბრუნდნენ და 3-კვირიან კარანტინში აღმოჩნდნენ...

ჩვენ? ჩვენ ძალიან გაგვიმართლა. ჩვენი კლინიკის და ინსტიტუტის რექტორატმა უცებ მოტვინა, რომ სამივე კონსულტანტი, ორი – ფსიქიატრიაში და მე – ფსიქოლოგიაში, კარანტინში რომ გავემწესებინეთ, ფაქტობრივად, კლინიკაც და აკადემიური ჯგუფიც უნდა გაეჩრებინათ და როცა ჩამოვედით, გვითხრეს, სიმპტომები თუ არ გაქვთ, გამობრძანდით სამსახურშიო. ჩვენც, კარგად ნასიამოვნებ-დასვენებულები, გავედით სამუშაოდ.

ჩვენს წესიერ შვილებს კი, როგორც კი სკოლებში თქვეს, დედები მექსიკიდან დაგვიბრუნდნენო, სკოლებმა გამოუცხადეს, სახლში იმეცადინეთ რამდენიმე დღეო...

ასე დარჩა ყველა ძალიან კმაყოფილი. მე კიდევ, როცა სასიამოვნო რალაცეები მახსენდება, ვხედავ ლურჯ ცას, მწვანე ოკეანეს, გახურებულ სილას, პალმებს და მადლიერების გრძნობა მავსებს, რომ ამ ფანტასტიურ ადგილას მოვხვდი. ტულუმის გარდა არაფერი მინახავს, მაგრამ მახსენდება კოცონი საღამოობით, მე და დაშა ნიკოლსი დანჯღრეულ გიტარაზე ვუკრავდით და ვმღეროდით (დაშა ინგლისელია, რუსი არ გეგონოთ. მამა ჰყავდა კომუნისტებზე შეყვარებული და შვილებს დაშა და მამა დაარქვა); ბობ პალმარი თავის სასაცილო მოთხრობებს გვიკითხავდა; ფრანსისი ჩიტებს ფოტოებს უღებდა და საღამოს გვათვალიერებინებდა; ჯანეტი ლეპტოპებს გვიტენიდა და ალტაცებული იყო, ამისთანა შვებულება არასოდეს მქონიაო; ულრიკე პინგ-პონგში უმოწყალოდ ამარცხებდა ხან იენ ქემბელს და ხან დაშას ქმარს რასელს, რომელიც ბავშვთა ფსიქიატრიის ცოცხალ კლასიკოსად ითვლება. მიყვარს ფოტო, რომელიც აკადემიამ გამოაქვეყნა წლის ბოლოს:

ჩვენ, ტულუმში მყოფი პატარა ჯგუფი ჩვენ-ჩვენი მოხიბვლებით

და ბედნიერი სახეებით, და დანარჩენი სევდიანი ამბები სხვადასხვა ქვეყნის კოლეგებისგან. ჩვენს ფოტოს სასაცილო ტექსტი ეწერა: პლენარული მომხსენებელი პროფესორი ქანტურია, აკადემიის ყოფილი საპატიო პრეზიდენტი ულრიკე შმიტი და დამსახურებული პროფესორი ჯანეტ თრეყერი ტულუმის სანაპიროზე გამჭრიახ კოლეგებთან ერთად, ვინც მათ მიზაძა და გაეკიდა ტულუმში, პანიკის მაგივრად. მოცლის პროფესურა სამაგალითოა(☺))

რა ვიცოდით მაშინ, რომ მოდიოდა კოვიდი, რომელიც თავდაყირა დააყენებდა ჩვენს ცხოვრებას და რეალურ კონფერენციებს ვირტუალურით შეცვლიდა?



ავსტრია – ანდრეასი

ანდრეას კარვაუცი პირველი ადამიანი იყო, ვინც ლონდონის ფსიქიატრიის ინსტიტუტში გამიკვალა გზა. დღემდე განსაკუთრებული და ძალიან ფაქიზი მეგობრობა გვაქვს.

26 წლის წინ, პირველად რომ შევედი მოცლის/ლონდონის ფსიქიატრიის ინსტიტუტში, ყველაფერი უცხო იყო. პირველი თვალში მოსახვედრი განსხვავება – უალრესად დაკავებული ხალხი, მარტო ლანჩის დროს რომ ესაუბრებიან ერთმანეთს და მიზანმიმართულად ხედებიან სწორედ იმას, ვისთანაც სალაპარაკო აქვთ. უცნობილესი და უგამოჩენილესი ფსიქოლოგი, ექსტროვერსიისა და ინტროვერსიის სპეციალისტი ჰანს აიზენკი პირველი არაფსიქიატრი იყო, ვინც ამ ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა და ინსტიტუტის კაფეტერია შეგნებულად ისე მოაწყობინა, რომ განყოფილებათა შორის თანამშრომლობისთვის შეეწყოს ხელი... ეს მართლაც ასეა, მაგრამ პირველ დღეებში მაინც ძნელია ასიმილირება.

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ჩემს განყოფილებაში მაშინ ორი არაინგლისელი ვიყავით: ანდრეასი, რომელიც ბავშვთა ფსიქიატრია, საკანდიდატო დისერტაციას ამთავრებდა და სტაჟირების ბოლო თვე ჰქონდა დარჩენილი და მე, მაშინ რომ მეგონა, ნ თვის დაფინანსებით ერთი კვლევა უნდა ჩამეტარებინა და თურმე დარჩენილი პროფესიული ცხოვრების დიდი ნაწილის აქ გატარება მომიწევდა. ისე კარგად მახსოვს, ანდრეასმა მითხრა, მოდი, ჩემსავით რომ არ იწვალო, სანამ წავალ, რაც ვიცი, რომ გამოგადგება, გეტყვიო. პირველ რიგში ბიბლიოთეკაში წამიყვანა და მანახა, სად უნდა მეპოვა ჟურნალები, მერე არქივები მაჩვენა, მკითხა ჩემი ინტერესების სფერო და მაპოვნინა ყველა საჭირო სექცია. მაძღობა ჩემს ანდრეასს, მარტო მე კი არა, უნებურად იმდენ ახალჩამოსულს დაეხმარა, რადგან სიკეთე გადამდებია და ასობით სტუმარს ასეთივე ტური ჩავუტარე ამდენი წლის განმავლობაში...

რა თქმა უნდა, სიმონი ძალიან დამეხმარა. სიმონმა მიიღო

გრანტი და საერთოდ ამის გამო მოვხვდით ლონდონში, მაგრამ რადგან სხვადასხვა განყოფილებაში ვმუშაობდით და ძალიან დაკავებული იყო, მაინც ყოველდღიურ წვრილმანებს ანდრეასს ვეკითხებოდი.

სიმონმა არქივებში უზნაძის და ლურias წიგნებიც მაჩვენა. ლურია არაერთხელ იყო გატანილი ბიბლიოთეკიდან. უზნაძე არცერთხელ... საინტერესოა, რომ ამ პატარა დეტალში ზუსტად აისახება ის, რაც ფსიქოლოგიაში ხდება: ლურია თითქმის ყველამ იცის (კიდევ ერთხელ დიდი მადლობა უსაყვარლეს გაიოზ შარაშიძეს, მოსკოვში ლურias ლაბორატორიაში რომ გაგვიშვა მანანა დუდუჩავა, თამუნა ჭარელიშვილი და მე, ბევრჯერ გამომადგა ეს ნ-თვიანი სტაჟირება), უზნაძე არავინ არ იცის; ერთადერთი ადამიანი, ვინც გამაოცა არა მარტო უზნაძის, არამედ სხვა ბევრი საინტერესო რამის ცოდნით, იყო ჯეფრი გრეი. ბრწყინვალე ექსპერიმენტული ფსიქოლოგი, არაჩვეულებრივად განსწავლული, სრულყოფილად ფლობდა რუსულს და ასეც ამბობდნენ, რომ MIF აგენტი იყო, არაერთხელ ჩავიდა საბჭოთა კავშირში, შეხვდა რუს და ქართველ ფსიქოლოგებს. მე მოვესწარი მისი დირექტორობის ბოლო წლებს. ერთხელ შევხვდი ლანჩუე და დეტალურად გამომკითხა ჩემი ტრენინგის შესახებ. ყველაზე მეტად იმით დაინტერესდა, რომ ბლუმა ვულფოვნა ზეიგარნიკი გვასწავლიდა... ბევრი რამ მახსენდება ამასთან მიმართებაში, მაგრამ ისევ ანდრეასს დავუბრუნდები.

როცა ახალ სიტუაციაში და ქვეყანაში ხვდები, სოციალური ურთიერთობის დაუნერეღ წესებს ბევრი შეცდომის დაშვებით სწავლობ, მაგრამ თუ გაგიმართლა და ანდრეასის მსგავსი ადამიანი შეგხვდა, ნაკლებ შეცდომას დაუშვებ 😊 კიდევ ერთხელ დიდი მადლობა, ჩემო მეგობარო. სანამ ინგლისში გადმოვცხოვრდებოდი, სიმონის გრანტების და თანამშრომლობის წყალობით ექვსი თვე ჰაიდელბერგში გავატარეთ. გერმანიაში სტუმრად 7 საათზე თუ გელიან, ეს იმას ნიშნავს, რომ 7-ზე უნდა მიხვიდე. კარგად მახსოვს, ჩვენი განყოფილების უფროსმა ჯანეტმა დაგვპატიჟა სამსახურის მერე 7-ისთვის და ანდრეასმა მითხრა, გერმანულად არ მოხვიდე, 15 წუთით მაინც უნდა დააგვიანოო. ისიც მითხრა, ბოთლი ღვინო მიაქვთ აქ და ყვავილებით თავი არ

შეიწუხო. ეს მართლა მნიშვნელოვანი ნიუანსია. ინგლისში არ არის ეს ტრადიცია, შორეულ ნაცნობთან ან ახლად გაცნობილთან არ დადიან ყვავილებით. ბოთლი კარგი სასმელით ყველაზე კარგი ვარიანტია და არც უაიაფესი და არც უძვირესი, საშუალო ფასის და რალაცით გამორჩეული ჯობია, ღვინის სპეციალიზებულ მაღაზიაში შერჩეული...

ერთი დიდი სინანული დამრჩა: ანდრეასმა რასტრაპოვიჩის კონცერტზე დამპატიჟა, ჩემი მეუღლე შეუძლოდა და თუ შეგიძლია, წამოდიო, ვერ წავედი და იმ წელს გარდაიცვალა რასტრაპოვიჩი... ანდრეასი კი თავისი ლონდონური მივლინების დროს კლასიკური მუსიკის 65 კონცერტს დაესწრო, დისერტაცია დაამთავრა, ღრმად მორწმუნეა და კათოლიკურ ეკლესიაში რამდენიმე ადამიანს დაუმეგობრდა. ამჟამად ბავშვთა ფსიქიატრიის დიდი განყოფილების ხელმძღვანელი და პროფესორია. ძალიან მიხარია მასთან ვენაში ჩასვლა და მის არაჩვეულებრივ მეუღლე ბეატასა და ქალიშვილ რაფაელასთან შეხვედრა.


ვენაში სამჯერ ვესტუმრე ანდრეასს, პირველად – 2000 წელს, მაშინ ჩემი უსაყვარლესი გია არსენიშვილი იყო საქართველოს ელჩი და გიასთან და ლენიკოსთან შევიარე შეხვედრის მერე. გიამ ორი ბოთლი არაჩვეულებრივი კახური ღვინო მაჩუქა და მივართვი ანდრეასს.

ანდრეასმა მითხრა, წაკითხული მქონდა ქართული ღვინის შესახებ და არასოდეს გამისინჯავს, მოდი, ავსტრიულ ვენახ-რესტორანში წავიდეთო. მაშინ გავეცანი პირველად ამ არაჩვეულებრივ კონცეფციას... ძალიან მიხარია, საქართველოშიც რომ დაინერგა ეს ტრადიცია...

მეორედ ანდრეასმა ვენაში პროფესორ ჟერარდ რასელთან ერთად დამპატიჟა. ჩემი სოფო წავიყვანე. ჟერარდ რასელი უკვე პენსიაში იყო გასული, მაგრამ ჩვენს სპეციალობაში მამაა და განსაკუთრებული ისტორიული ფიგურა. რასელი ჩვენი ინსტიტუტის დირექტორიც იყო, ბულიმიის შემთხვევების პირველი აღწერა და დაავადებების ნუსხაში შეტანა მისი დამსახურებაა. ყველა დიდი მოკრძალებით, თითის წვერებზე დადის მის გარშემო. ჩემი სოფო პატარა იყო მაშინ და ძალიან დამეგობრდნენ სოფო და პროფესორი რასელი. მე ძალიან გთხოვთო, თქვა ბაბუ რასელმა,

სოფოს გვერდით დამსვათ ვახშამზეც და საუზმეზეცო. მოკლედ, ჩემი სოფო პროფესორ რასელს და ფრანჩესკა ბრამბილას პირადად და ძალიან კარგად იცნობს. ჩემი კოლეგები იცინიან, სოფო ძალიან საჭირო ადამიანია, ჩვენს საქმიანობაში ისეთი გიგანტების პროტეჟე არისო, მაგრამ სოფოს ფსიქიატრია და ფსიქოლოგია ნაკლებად აინტერესებს, ისე, „სვეცკად“ საუბარი კლასიკოსებთან და სალონური ნაცნობობა ურჩევნია...

ჰმმ... რადგან ქვეყნებთან ერთად შეგრძნებებზეც ვლაპარაკობ, ვენასთან დაკავშირებით კლიმატი და თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი ძალიან მიყვარს. არ დამავინყდება, პირველად რომ ვიყავი, ისეთი ცხელი ზაფხულის დღეები იყო, მუზეუმის გარეთ ვისხედით, ფეხები – აუზში, ხელში – ყინულებიანი ყავა და დაკა-დაკა, სად შევიტანოთ შემდეგი გრანტი... გემოებს რაც შეეხება, რა თქმა უნდა, შნიცელი. ყველაზე გემრიელ შნიცელს ანდრეასი აკეთებს სახლში. მარტო ამას ვაკეთებო, მითხრა და ამიტომ ვარ ასეთი გადასარევი ამ საქმეშიო.



ავსტრალია, ადვილად რომ ვერ ნახვალ, მაგრამ თუ ნახვალ, ისიამოვნებ!

თბილი გაზაფხულის დღე იდგა, სიღნეიდან თვით-მფრინავმა ადელაიდაში რომ ჩამიყვანა.

ტრეისი აეროპორტში დამხვდა, მშვიდად დაინყო ჩემი ერთ-თვიანი შემოქმედებითი მივლინება და ავსტრალიასთან და ავსტრალიელებთან ახლო ურთიერთობა.

ტრეისიმ პატარა კოტეჯთან მიმიყვანა ადელაიდის ცენტრში. თვითონ დამიქირავა ეს კოტეჯი ერთი თვით და შემომყვა, რათა დარწმუნებულიყო, რომ კარგად დამაბინავა. მისაღები ოთახი, საძინებელი, სამზარეულო და აბაზანა გამწკრივებული იყო და ბაღში გადიოდა. ბაღი – სავსე ბევრი მცენარით, ჰამაკით, მაგიდით და სკამებით; ინტერნეტი, ქუჩის ბოლოს სუპერმარკეტი და იაპონური არაჩვეულებრივი პატარა რესტორანი, რომლის ძალიან ხშირი სტუმარი გავხდი.

ტრეისიმ მანქანიდან კალათა გადმოიღო და მითხრა, სანამ ქალაქში გაერკვევი, ყველაფერი ჩაგილაგე, რაც, ჩემი აზრით, ხვალ დილით დაგჭირდებაო. „ხვალ დილით“ კი არა, მთელი კვირა მოვუნდი ტრეისის სანოვავის ათვისებას: ჩაი, ყავა, რძე, შაქარი, მარწყვი, კივი და წითელი ღვინო, ჯეტლეგს ყველაზე კარგად ეს შეველისო. ტრეისი ვეიდს ჯეტლეგის ამბები დაეჯერება, იმიტომ, რომ ავსტრალიაში ბევრ ადგილას იყო სამუშაოდ, ამერიკაში დაიცვა დისერტაცია, ინგლისში მივლინებებით ხშირად ჩამოდის და მსოფლიოს ყველა ცნობილ ცენტრთან თანამშრომლობს. ტრეისი ადელაიდის ინსტიტუტის პრორექტორი და ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელია. ლონდონში როცა ჩამოდის, მინიმუმ ერთ თვეს იღებს სამსახურიდან, რამდენიმე სტატიას წერს, საინტერესო კოლეგებს და მეგობრებს ხვდება, ყოველ საღამოს თეატრში ან სტუმრად დადის და მერე უბრუნდება თავის დატვირთულ ცხოვრებას.

ლონდონში ერთ-ერთი მივლინების დროს მითხრა, დროა, შენც ერთი თვით გამოერთო გიჟურ რეჟიმს და ერთი თვე ის აკეთო, რაც გინდაო. გამეცინა, არ გამოვა-მეთქი, მაგრამ მერე

რომ დავფიქრდი და სიმონსაც ველაპარაკე, მოვიფიქრეთ, რომ წავსულიყავით ერთად სიდნეიში 10 დღით, მერე მე წავიდოდი ადელაიდაში, სიმონი ლონდონში დაბრუნდებოდა და შობაზე მთელი ოჯახი ლონდონში შევიკრიბებოდით, რადგან ისე გამოვიდა, რომ იმ წელს ლექსო ბელგიაში სწავლობდა მაგისტრატურაში, სოფო კი ჰოლანდიაში...

საინტერესო დეკემბერი გამოგვივიდა ყველას, მაგრამ ისევ ადელაიდას დავუბრუნდები.

კარგი რამეა ერთთვისანი მივლინება, როცა ფიქრის დრო გაქვს, არავინ არ გაჩქარებს და ცოტა ხნით თავს უფლებას აძლევ, არც გრანტები შეაფასო, არც სტუდენტების გამოცდები ჩაიბარო, არც სუპერვიზიები ატარო მკვლევარების და კლინიცისტებისთვის, არც მოსაწყენ საბჭოებზე და ინტერვიუებზე იჯდე. სხვათა შორის, ისიც დიდი შელავათია, როცა არც „დღეს რა მოვამზადო სადილად?“ კითხვა განუხებს.

ამის გარდა, ავსტრალიური ცხოვრების ტემპი და ხარისხი უნიკალური გამოცდილება აღმოჩნდა. დღის ხანგრძლივობა გაცილებით მეტია, ვიდრე ლონდონში და 5 საათის მერე ოფისში ყოფნით არავინ არ იკლავს თავს. 5 საათის მერე რამდენიმე საათი ისე კარგად შეიძლება გაატარო ოკეანის სანაპიროზე, რომ გეჩვენება, ყოველდღიური სამსახური და დასვენება კარგადაა დაბალანსებული.

ყველაზე დიდი შთაბეჭდილება და სიყვარული მაინც ჯაკორანდას იასამნისფერმა ყვავილებმა და დელფინებმა დამიტოვეს. ჯაკორანდა ულამაზესი ხეა, სამწუხაროდ, მარტო სამხრეთ ამერიკაში და ავსტრალიაში იზრდება. საოცარი სანახავია იასამნისფერი ხეები ყველგან. და მერე, ყვავილი რომ ცვივა, იასამნისფერი თოვლით მოფენილი ქუჩები („მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის“... ოღონდ ავსტრალიაში ეს „იისფერი თოვლი“ გაზავებულია კამკაშა მზით, ლურჯი ცით და ოკეანიდან მობერილი სიოთი).


დელფინებთან ცურვაც საოცარი რამაა. პირველად ავსტრალიაში 2004 წელს ვიყავი, ოქროს სანაპიროზე. ეს ადგილი ჩრდილოეთ ავსტრალიის საგანძურია, დასასვენებელი ადგილი კილომეტრებზე გაჭიმული სილიანი სანაპიროთი და მარჯნიანი

ნაპირით. პირველად მაშინ ვისწავლე ყვინთვა და თევზებთან ცურვა ჟანგბადის ბალონით. მაშინ უამრავი სხვადასხვა ფერის და ფორმის თევზი ვნახე, მაგრამ დელფინებთან ურთიერთობა არ მქონია. ადელაიდიდან ეს უფრო ადვილი აღმოჩნდა... დილით ადრე ოკეანოლოგები პატარა ექსკურსიებით გადიან და ზუსტად იციან, სად შეიძლება დელფინებთან თამაში.

დილას ადრე გავედით ოკეანეში. სამი ინსტრუქტორი და დელფინების ნახვას მონყურებული 12-იოდე ადამიანი. ინსტრუქტორებმა აგვიხსნეს ყველა წესი, მოგვცეს „ლასტები“, რეზინის საცურაო ტანსაცმელი, რადგან ოკეანე საკმაოდ ცივია. დაახლოებით ერთ საათში გამოჩნდნენ დელფინები. ჯერ ერთი-ორმა დაიწყო ჩვენი ნავის ირგვლივ ცურვა, მერე ამას მთელი გუნდი მოჰყვა. ნამდვილი საოცრებაა ასე ახლოს მათთან ყოფნა, მათ სივრცეში. ალბათ განვრთნილი დელფინების დელფინარიუმებში ნახვა აღარ მესიამოვნება, ეს ისეთი შთაბეჭდილება იყო.

სევდიანად გამახსენდება სიდნეიში გატარებული დღეები. რამდენიმე დღე იანას მიწვევით გავატარეთ ვიქტორ სანეევის ოჯახში. იანა, სანდრო და ვიქტორი არაჩვეულებრივი მასპინძლები არიან არა მარტო ჩვენთვის, ბევრი ჩვენი საერთო ახლობელი იყო მათთან და ახლაც შემომრჩა ფოტოები, როგორ ავარჯიშებს სიმონს ლეგენდარული ოლიმპიური ჩემპიონი თავის „გარაჟში“ მონყობილ სავარჯიშო ოთახში.

იანა, ვიქტორი და ჩვენ მათ საყვარელ სანაპიროებზე ოკეანის გასწვრივ სასეირნოდ... არ მეგონა, რომ ველარასოდეს შევხვდებოდით. ძალიან ლამაზი დღეები გავატარეთ სიდნეიში.



ახალი ზელანდია, ლამაზი და ბარიყული

ახალ ზელანდიაში ერთხელ მომახვედრა ჩემმა მოგზაურობებმა და საბედნიეროდ, უკვე კარგად ვიცნობდი ორ არაჩვეულებრივ ფსიქოლოგ თერაპევტს ჯინი მაკინტოშს და ჯენი ჯორდანს.

ახალი ზელანდიიდან ავსტრალიის და ახალი ზელანდიის ფსიქიატრ-ფსიქოლოგიის ასოციაციიდან მოწვევა რომ მივიღე პლენარული მოხსენების ჩასატარებლად, გულზე შემომეყარა. მოგზაურობა ძალიან მიყვარს, მაგრამ ისე დამტანჯა ჩემმა პირველმა გადაფრენამ ავსტრალიაში, რომ დავიფიცე, მხოლოდ ბიზნესკლასით თუ წავალ, თორემ 24 საათი ეკონომიური კლასით ვერაფრით ვერ ვიმგზავრებ-მეთქი... მოგეხსენებათ, მეცნიერებს ასეთი ფუფუნება არა აქვთ და არც ასეთი დაფინანსება; ამიტომ მივწერე კონფერენციის ორგანიზატორებს, დიდი მადლობა და დიდი ბოდიში, მაგრამ ვერაფრით ვერ წამოვალ ამხელა გზაზე, ისე გავწვალდი ორი წლის წინ დიდ ბარიერულ რიფზე მოგზაურობისას-მეთქი. კარგია, როცა ადამიანს პირდაპირ ეუბნები მიზეზს. მალევე მიპასუხეს, არანაირი პრობლემა არ არის, სასტუმროს და გზის ხარჯებს, ცხადია, ჩვენ ვიღებდით და მაშინ, თუ წინააღმდეგი არ იქნები, ბიზნესკლასს აგიღებთ, ოღონდ ჰონორარს ვერ გადაგიხდითო. ამ წინადადებას სიხარულით დავთანხმდი, რადგან ახალი ზელანდია საინტერესო ქვეყანაა არა მარტო ბუნებით და ხალხით, არამედ უმნიშვნელოვანესი ეპიდემიოლოგიური კვლევებით. ბარემ ეპიდემიოლოგიურ კვლევაზე გეტყვით, რას ვგულისხმობ. გენეტიკისა და ფსიქოლოგიის ერთად კვლევა ერთ-ერთი უძლიერესი მეთოდია, მაგრამ ძალიან ძნელი განსახორციელებელი. ტყუპების შესწავლა ძალიან მნიშვნელოვანია, როცა გარემოს და ბიოლოგიური ფაქტორების გავლენა გინდა ნახო.

მაგალითად, რით გვანან ან განსხვავდებიან მონოზიგოტური, ანუ ერთი კვერცხუჯრედიდან ჩამოყალიბებული ტყუპები? „დანიდური კვლევა“ ახალი ზელანდიიდან ერთ-ერთი უნიკალური კვლევაა ეპიდემიოლოგიაში, რადგან ამ მხარეში მოსახლეობა

სტაბილურია, გენეტიკურად შედარებით სუფთა და თუმცა, ცხადია, მე-20 და 21-ე საუკუნეში ადამიანები სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობენ, მაგრამ როცა ამ ეპიდემიოლოგიური მასალის შეგროვება დაიწყო, ბევრი მკვლევარი დაინტერესდა და ბევრი ფული ჩაიდო, რომ ტყუპი და-ძმები ყოველ ხუთ წელიწადში ეკვლიათ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტესტებით.

ახალი ზელანდია გეოგრაფიულად ყველაზე ახლოს ავსტრალიასთანაა, მაგრამ მეზობელი ინგლისურენოვანი ქვეყნისგან საოცრად განსხვავდება ბუნებით, ხალხით, დამოკიდებულებებით...

პირველი, რაც თვალში საცემია, ავსტრალიაში აბორიგენები, რომლებიც ბუნებრივი და უძველესი მოსახლეობაა, საოცრად შევიწროებული, გარიყული და დეგრადაციამდე მისული პოპულაციაა. ალკოჰოლისადმი ძალიან სუსტი ტოლერანტობა აქვთ აბორიგენებს და იმის გამო, რომ არც სამსახური აქვთ, არც განათლება და არც ფული, ადვილად ლოთდებიან. სიდნეიში, ადელაიდაში, ბრისბონში გამაოგნა პარკებში გასაცოდავებული პატარა ჯგუფების ნახვამ...

ახალი ზელანდიის ნატურალური მოსახლეობა მაორები არიან. ავსტრალიელი აბორიგენებისაგან განსხვავებით მაორები ამაყი ხალხია. ჩვენი კონფერენცია, სადაც მიწვეული ვიყავი, მაორის ტრადიციული ცეკვა-სიმღერით გაიხსნა. კონფერენციის პრეზიდენტმა მითხრა, არ გაგიკვირდეს, რიტუალური ცეკვის მერე ცხვირს ცხვირზე მოგადებენ პატივისცემის ნიშნადო. კარგია, რომ გამაფრთხილა, ხუთასკაციანი აუდიტორიის წინაშე შუბიანი, ნაციონალურ ფუჩეჩებში გამონყობილი ბელადის ცხვირის მოდებას შედარებით განონასწორებული შევხვდი...

ძალიან დიდი სიამოვნება მივიღე ველინგტონის თვალყურებით, მერე ვიაკის კუნძულებზე წავედი კატერით, მთელი დღე ვისეირნე არაჩვეულებრივ ფერმებში, სადაც ძირითადად ვენახები აქვთ და პატარა რესტორნები. მზიანი თბილი ამინდი იყო და არაჩვეულებრივად სტუმართმოყვარე, უშუალო ხალხი, მარტივი და პოზიტიური კომუნიკაციით. კატერს შოტლანდიური აქცენტის მქონე შუა ხნის კაცი მართავდა; ცოტა მგზავრები იყვნენ, ვკითხე, გლაზგოდან ხომ არ ხარ-მეთქი და შემაქო, როგორ ზუსტად მიხვდით. 40 წლის წინ შემთხვევით მოვხვდი აქ და გადმოვსახლდი, ისე მომეწონა კლიმატი

და ხალხიო. როცა გაიგო, რომ ფსიქოლოგი ვიყავი, მითხრა, ადრე ინტროვერტი ვიყავი და ახლა ექტრავერტი ვარ, სულ ამინდის, მეზობლების და ჩემი ზელანდიელი ცოლის ბრალიაო.

ჯინი მაკინტოშმა ქრისტინერჩში დამპატიჟა თავისთან და, რა თქმა უნდა, სიამოვნებით მივიღე მისი დაპატიჟება. ერთად ნავედით კონფერენციის მერე ქრისტინერჩში. ჯინი საოცრად დასამახსოვრებელი, უნიკალური ადამიანია. მარტო მაღალი კი არა, როგორღაც დიდი და ძალიან კეთილი, ჭკვიანი, თბილი, ფერადი ყველა გაგებით. მისი მეუღლე დანიელი ჯანმრთელობის სისტემის ადგილობრივი მმართველია. ჯინისგან განსხვავებით, შეუმჩნეველი ფიზიკურადაც და საკმაოდ წყნარი, თუ განსაკუთრებული ინტერესი და მონდომება არ გამოიჩინეთ მასთან სასაუბროდ, არც თავს შეინუხებს და არც თქვენ შეგანუხებთ. უზომოდ ერუდირებული, მოსიყვარულე მამა და ჯინის მრავალმხრივი ტალანტის დამფასებელი.

არ შემიძლია, არ ვთქვა, როგორ მომეწონა ორტუსი და ვილემი – ჯინის 7-8 წლის ბიჭები.

დღემდე შენახული მაქვს მათ მიერ გაკეთებული ბამბის მძივი და ქვები, დიდი სიამაყით რომ მომართვეს. ქვების შეგროვება მეც ყოველთვის მიყვარდა... ჩემი მოკრძალებული კოლექცია ჯინის ქვის ბალს ვერაფრით შეედრება.

ჯენი ჯორდანი სულ სხვა ტიპია, წყნარი, ჭკვიანი, ენციკლოპედიური ცოდნით. ჯენიმაც მიმიწვია თავისთან. ჯენი და ჯეფი ტყეში ცხოვრობენ, ჰყავთ ერთი ქალიშვილი და ტრიუფელების ფერმა, ძალლი, რომელიც განვრთნილია, მიაგნოს ამ ძვირფას სოკოებს და მერე თხრიან და ჯეფი რესტორნებში აბარებს. მე მეგონა, ტრიუფელები მარტო იტალიაში იყო და ვიცი, რომ ღორები აგნებენ.

ასეა თუ ისე, ტრიუფელი ძალიან მიყვარს და ჯეფი ყოველ დილას გვიკეთებდა შემწვარ კვერცხს ტრიუფელით, მერე სალათს, ტრიუფელი გაუკეთა შემწვარი ხორცის სოუსებს.

ჯენი იცინოდა, ეს რა გვიქენი, რატომ დაგვლუპე, ისე უხარია, რომ აფასებ მის შრომას, აღარ იცის, რა ქნას და მეშინია, ჩაიშინოს არ ჩაგვიყაროსო... ამდენი ტრიუფელი არც მინახავს ერთად და არც დამიგემოვნებია, თუმცა მიშლენის ბევრ რესტორანში ვყოფილვარ და არაერთ გადაპრანჭულ ვახშამს და მიღებას დავსწრებივარ.

ულამაზესია ახალი ზელანდია, წყნარი, მშვიდი და დალაგებული ქვეყანა. დაახლოებით ერთ წელიწადში დიდი უბედურება დაატყდა ზელანდიას საშინელი მიწისძვრის სახით. ის იყო, სამსახურიდან მოვედი ჩემს ლონდონურ ბინაში და ახალი ამბები ჩავრთე, საკუთარი თვალით ვნახე, როგორ იქცა ნანგრევებად ქრისტიანთა უნივერსიტეტი, ცენტრალური ქუჩის ისტორიული ნაგებობები, წინა წელს მე და ჯინი დღეში რამდენიმეჯერ რომ დავდიოდით. მობილური ტელეფონის ხმამ მომწყვიტა ამბებს. ჯინი რეკავდა და ასეთი რამ მითხრა, ვზივარ ნახევრად დანგრეულ სახლში ბავშვებთან ერთად, დანიელი ალბათ სამსახურშია, არც სინათლეა, არც წყალი, ვეცი ტელეფონს და შენ დაგირეკე, ხომ არ იცი, რა ხდება ჩვენ თავსო.

საშინელი მომენტი იყო. ჩემი არაჩვეულებრივი მეგობარი და მისი ოჯახი, მომწყვდეული ამ ძნელ სიტუაციაში, ვერაფრით შველი ერთი რამის გარდა, რომ ხაზზე ხარ, ბევრი კილომეტრის დაშორებით და უყვები, რას გადმოსცემენ. მერე, როცა ყველაფერი დაწყნარდა, ჯინი მიაბობდა, შენთან ლაპარაკი რაღაც ძალას და იმედს მაძლევდა, რომ ყველაფერი არ დანგრეულა, რომ რაღაც საშველი ჩანსო.

ჯინი ის ადამიანია, რომელთანაც, რამდენი ხნის მერეც არ უნდა შევხვდე, მნიშვნელობა არ აქვს, ისეთივე ცოცხალი, უშუალო ურთიერთობა აღდგება. იმედს არ ვკარგავ, რომ ასეთი შეხვედრები კიდევ შედგება. არც ერთს არ გვიყვარს ჩვენი ძვირფასი ურთიერთობის ინტერნეტით დაბინძურება და ყოველ შობას ვიღებ გრძელ, ხელით დანერილ წერილს და დაბეჭდილ ფოტოებს, მერე ვურეკავ და კიდევ ერთხელ ვებოდიშები, ასე მოწესრიგებულად რომ ვერ ვპასუხობ, მაგრამ მე ტელეფონით, ჯინი კი წინა საუკუნეში მიღებული მეთოდით ვაგრძელებთ ჩვენს მეგობრობას დიდი მანძილის და სხვადასხვა ცხოვრებისეული ტემპის მიუხედავად.



ამერიკის შეერთებული შტატები

ნიუ-იორკი: ჩემი განსაკუთრებული მელანი

ჩემი მელანი კაცმანი საოცარი ადამიანია, მარტო ძალიან ამერიკელი კი არა, ძალიან ნიუიორკელი. მელანი მესამე თაობაა, მინსკიდან გადმოსახლებული ებრაელი ბებია ჰყავდა და სულ ამბობს, არც არასდროს ვყოფილვარ იმ მხარეს, არც ენა ვიცი, მაგრამ გენებში რომ მაქვს რალაც აღმოსავლეთ ევროპული, ნამდვილად ვგრძნობო. მელანი ფსიქოლოგია, ფსიქოანალიტიკოსი, ფემინისტი და ამჟამად დიდ კომპანიებს უტარებს ტრენინგებს. მისი ბოლო გატაცებაა, რომ ქალი ლიდერები მთელ მსოფლიოში დაამეგობროს და გააძლიეროს...

ისეთია ჩემი მელანი, ნამდვილად იზამს...

მე და მელანი ლონდონში შევხვდით; კვირაში ორჯერ მოდიოდა ინსტიტუტში და მარტო აუცილებელ შეხვედრებს ესწრებოდა. მოცლი/ფსიქიატრიის ინსტიტუტი სამხრეთ ლონდონშია და მელანი ჩრდილოეთ ლონდონში, ჰამსტედში ცხოვრობდა. ჰამსტედი მდიდარი ებრაელების უბანია ტრადიციულად და ფროიდის მუზეუმი, ანა ფროიდის ცენტრი, ტავისტოკის კლინიკა, მოკლედ, მთელი ფსიქოანალიზური ელიტა, ისევე როგორც ბიზნესმენები, ძირითადად იქ ცხოვრობენ.

ახალ დანყებული მქონდა ჩემი კულტურათაშორისი კვლევა ანორექსია-ბულემიაზე და ერთ საინტერესო სტატიას ნავაწყდი ბიბლიოთეკაში. ამერიკელი და ჩინელი ავტორები წერდნენ, როგორ განსხვავდება ავადმყოფობის აღწერა და ავადმყოფის მიერ სიმპტომების გადმოცემა ერთი და იმავე დაავადებისას ჩინეთში და ამერიკაში. უფრო გასაგები რომ იყოს, მაგალითად, ამერიკელი პაციენტები, როცა საკუთარ ანორექსიაზე საუბრობენ, რაციონალურ და ინტელექტუალურ მხარეზე საუბრობენ (მინდა რამეში მაინც მქონდეს კონტროლი, ამიტომ კვებას ვაკონტროლებ, არ მინდა ემოციების მოზღვაება, მეჩვენება, რომ ზედმეტი წონა მაქვს და ასე შემდეგ); ჩინელი პაციენტი ამავე დიაგნოზით ამბობს, რომ საკვები ფიზიკურ დისკომფორტს იწვევს, არ მოსწონს შებერილობა, დამძიმების განცდა და ასე შემდეგ... განყოფილების

ერთ-ერთ შეკრებაზე მოვეყვი, ძალიან მომეწონა ეს კვლევა და მინდა, ანალოგიური საქართველოში ჩავატარო, თუ დაფინანსებას ვიშოვი-მეთქი.

მელანიც ესწრებოდა ამ შეხვედრას, მოვიდა და მითხრა, ეტყობა, არ იცი, რომ ეს ჩემი სტატიაა და სინგ ლისტან ერთად დავწერეო. იმ დღიდან დაიწყო ჩვენი დიდი ხნის ჯერ თანამშრომლობა და მერე – მეგობრობა.

მელანიმ მითხრა, იცი რა, მოდი, სახლში მენვიე მთელი შენი ოჯახით, ერთი კვირადღე ერთად გავატაროთ და ვნახოთ მერე, როგორ წავა იდეის განვითარებაო!!! ჩემი ბრძენი მელანი; დიდი ხნის მერე მეც ვისწავლე, რომ არასოდეს არ უნდა ითანამშრომლო ისეთ ადამიანთან, ვისაც არც აფასებ, არც მოგწონს და მარტო იმიტომ, რომ იერარქიულად ძლიერია და შეიძლება წინსვლა დაგიჩქაროს, თავის შენუხება არ ღირს. ცხოვრება ძალიან მოკლეა იმისთვის, რომ ნეგატიური ენერგია შემოიკრიბოთ ირგვლივ და ენერგოვამპირებს დაათრგუნინოთ იდეები ან ენთუზიაზმი.

ჰოდა, წავედით მელანისთან სიმონი, ლექსო, სოფო და მე ერთ კვირადღეს. მელანის მეუღლე რასელი უოლ-სტრიტის ერთ-ერთი მეტად დაფასებული ბიზნესიურისტია და ბევრ საერთაშორისო კომპანიაში მუშაობდა. რასელი პოლონელი ებრაელების შთამომავალია. მელანი და რასელი პრინსტონის უნივერსიტეტში შეხვდნენ ერთმანეთს, მალევე დაქორწინდნენ და ორი შვილი ჰყავთ: ლექსოზე ოდნავ უფროსი ვაჟი ვინდამი და ლექსოსხელა გოგონა ჰარპერი. სოფო მაშინ ერთი წლის იყო და დანარჩენი ბავშვები – 6-7 წლისანი. ლამაზი დღე გავატარეთ ჰამსტედში მელანისთან. უამრავ სახლში ვყოფილვარ ლონდონში სტუმრად და დღემდე გაოცებული ვარ, როგორ „გადმოიტანეს“ ამერიკა მელმა და რასელმა ლონდონში. ფანტასტიური დიდი სახლი და ეზო ჰქონდათ ნაქირავები და ყველა საყვარელი ნივთი ჩამოიტანეს (მექსიკური ნიღბები, ჩინური სკივრები, დიდი ტილოები). მელანიმ მითხრა, აბა, ორი წლით გადმოვდიოდი ლონდონში და ისე მინდოდა, გარემო მომეწყო, რომ ნოსტალგია არ მქონოდაო...

იმ დღეს ბევრი რამ გავიგეთ ერთმანეთზე, ჩვენი ოჯახების ისტორიაზე, და მელანიმ მითხრა, იმ კვლევას ალბათ არ დაგიფინანსებენ, მაგრამ მოდი, მაინც ჩავატაროთო. ზაფხულში

თბილისში მოვდიოდი, ამიტომ წინასწარ მივწერე ჩემს საყვარელ კოლეგებს, დამხმარებოდნენ. თამრიკო გაგოშიძე და რუსიკო მექმარიაშვილი ძალიან დამეხმარნენ, მელანიმ, რითაც შეძლო, ხელი შემინყო და საქართველოში ჩატარებული პირველი კვლევები 2001 წელს დაიბეჭდა ინგლისურენოვან საპატიო ჟურნალებში. იმედი მაქვს, ეს სიმბოლური ნიშანია და ამ საუკუნეში კიდევ ბევრი საინტერესო კვლევა ჩატარდება და დაიბეჭდება; რამდენიმე წლის წინ ია შეყრილაძემ, ჩემმა უნიჭიერესმა ასპირანტმა დაიცვა დისერტაცია ამავე თემატიკაზე და მისი ორი ნაშრომი დავბეჭდეთ. კვებითი აშლილობების მსოფლიო ენციკლოპედიაში რამდენიმე თავი შევიტანე და ერთ-ერთი მე და იამ სწორედ კულტურათაშორის კვლევაზე დავწერეთ საქართველოს მაგალითზე. ასე რომ, ამ საუკუნის დასაწყისში რალაცეები დაიწყო და იმედია, გაგრძელდება.

ჩემს მელანის კი დიდი მადლობა, კარგი ბიძგი რომ მომცა და პირველი კვლევის დაფინანსებასა და იმ სტატიის გაინგლისურებაში დამეხმარა. არ დამავინწყდება, პირველად ნიუ-იორკში ყველაფერი უნდოდა ეჩვენებინა, აღარ იცოდა, რა ექნა და რასელი, თვითონ, მე და სიმონი ვერ თაიმზ-სქუერზე წაგვიყვანა არაჩვეულებრივ იაპონურ რესტორანში და მერე, ყველაზე კარგი ხედი სადაც არის, იქიდან მინდა კოქტილებით ხელში გადმოვხედოთ ნიუ-იორკსო. რასელმა არაერთხელ უთხრა, არ დაგვიჯავშნია და ხო იცი, ისე ვერ შევალთო. მომყევით მაინცო, გადანყვიტა მელანიმ და ცათამჯენის ბარში რომ ავედით, მაშინვე მენეჯერი მოითხოვა. რალაც უთხრა მელანიმ ამ მენეჯერს, ატყდა ფაციფუცი და ბევრი რომ არ გავაგრძელო, დაგვიდგეს მაგიდა აივანზე, არაჩვეულებრივი ხედით, და ყველა თავს გვევლება. რასელი, მე და სიმონი ვერ ვხვდებით, რაშია საქმე. ბოლოს რასელმა ჰკითხა, რა უთხარი ასეთი, ამ შაბათ საღამოს შეუძლებელი რომ შეძლესო? არაფერი, მართალი ვუთხარიო, თქვა მელანიმ. გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერები მყავს სტუმრად და არ შემარცხვინო, ძალიან გთხოვ, როგორმე მინდა ამერიკა მოვანონო, თორე რალაც მგონი არ მოსწონთ ჩვენი ქვეყანაო. ძალიან ბევრი ვიცინეთ, მელანი, რალა დროს საბჭოთა კავშირია-მეთქი. აბა ახლა საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიით რომ შემეწუხებინა ეს კარგი კაცი,

შენ გგონია, ადგილს მოგვეცემდაო? ისე, მაშინ მართლა დიდად არ გადავირიე ამერიკაზე და ყოველთვის მიხარია, რომ ლონდონში დავსახლდით, მაგრამ მელანის და სხვა ახლო კოლეგების წყალობით ამერიკაც დავამულამე და, რა თქმა უნდა, ნიუ-იორკი კიდევ სხვა რამეა.

მას მერე ბევრჯერ ვიყავი ნიუ-იორკში, სხვათა შორის, მელანის მანჰეტენის ოთხსართულიანი სახლიდანაც სულ არ არის ცუდი ხედი, მაგრამ ჩემი ბოლო ვიზიტისას გემრიელად მახსენდება მე და კუკა ბოჭორიშვილი, ერთმანეთს მონატრებულები, როგორ დავდიოდით კუკას ნიუ-იორკში და რომ ჩამოვსხდებოდით, ისე გვიხაროდა ერთმანეთის ნახვა, გვავინყდებოდა, სად ვიყავით. კუკამ მაშინ საოცარ ჯაზ-კლუბში წამიყვანა...

კალიფორნია-სტენფორდი: ჯიმ ლოკი

ჯიმი მარტო კოლეგა კი არა, რალაც თვალსაზრისით, გურუც გახდა. ბევრი თვალსაზრისით...

ვინც ჩემს სპეციალობაში მუშაობს, ჯიმ ლოკი ყველამ იცის. ამერიკაში ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ფიგურაა ბავშვთა ფსიქიატრიაში და, საბედნიეროდ, ბევრ კვლევას ატარებს. ოჯახური თერაპია მისი განსაკუთრებული ინტერესია და მისი პარტნიორიც ბავშვთა ფსიქიატრია, ოღონდ კერძო პრაქტიკა აქვს და ნაკლები შეხება აკადემიურ ფსიქიატრიასთან.

ჯიმი ჰარვარდის უნივერსიტეტის ერთ-ერთი იმედისმომცემი რეზიდენტი იყო ფსიქიატრიაში, სტენფორდში წავიდა სამუშაოდ და დარჩა კიდევ. ჩემი კვლევით 2007 წელს დაინტერესდა. ტიპიური ჯიმი, მაშინვე კი არ გამეცნო, დიდხანს იფიქრა, წაიკითხა კოგნიტურ ტრენინგზე, რაც შეძლო და თანამშრომლობა მოინდომა. 2009 წელს უკვე კოლეგებს თხოვა, გამაცანითო და დანარჩენი ისტორიაა, ჯიმი და მე არა მარტო საინტერესო კვლევების თანამონაწილეები გავხდით, არამედ მეგობრებიც...

ბევრი რამ მასწავლა ჯიმ ლოკთან თანამშრომლობამ და მეგობრობამ.

ინგლისში კოგნიტური ტრენინგის იდეა ბევრჯერ შევიტანე დაფინანსებაზე და ბევრჯერ მივიღე უარი. იდეა საკმაოდ მარტივია

და მჯეროდა, რომ საინტერესო სიახლე იქნებოდა მკურნალობაში. მარტივად რომ განვმარტო, ანორექსია ერთ-ერთი იშვიათი ფსიქიკური დაავადებაა, როცა ავადმყოფს არ უნდა მისგან თავის დაღწევა, არ თვლის, რომ მკურნალობა სჭირდება. მე არ მინახავს შიზოფრენიით, შფოთვით ან დეპრესიით შეპყრობილი ადამიანი, ვისაც არ უნდა განკურნება.

ანორექსიულ ავადმყოფებს კი, ზოგადად, საკვებით ვმკურნალობთ, ფსიქოლოგიური მეთოდებიც, რასაც საერთოდ ვიყენებთ, არ არის შედეგიანი და ჩემი აზრით, კოგნიტური სამუშაოს ჩატარება, სანამ სხვა თერაპიებზე გადავალთ, უკეთეს შედეგს გამოიღებს, რადგან ავადმყოფის ყურადღების გადატანა ხდება ინტელექტუალურ მხარეზე და თერაპიული ურთიერთობა ყალიბდება ნეიტრალური შინაარსის გამოყენებით. მოკლედ, ამაზე ბევრი ვწერე სამეცნიერო ლიტერატურაში, წიგნიც დავბეჭდე, კვლევის სერიები ჩავატარე და პირველად დავწერე კვების აშლილობებში, მაგრამ დიდი დაფინანსება ვერ მივიღე.

ჯიშმა მითხრა, მოდი, მე მოვითხოვ დაფინანსებას ამერიკაში, შენ იქნები ჩვენი კონსულტანტი, ტრენერი ამ თერაპიაში და ჩამოხვალ წელიწადში ერთხელ ან ორჯერ სტენფორდშიო.

რა თქმა უნდა, დავთანხმდი და პირველი დიდი გაცემა იმან გამოიწვია, როცა ვნახე, როგორ დაწერა ჯიშმა მოთხოვნა დაფინანსებაზე. თავდაჯერებული, დალაგებული, უმარტივესად ახსნილი. როცა გრანტზე ვმუშაობდით, ჩემი შენიშვნები და აზრები მიბრუნდებოდა გადასახედად, სულ სხვა ფორმით და ეს სტენფორდის და ჰარვარდის სტილია. ამიტომაც აღარ მიკვირს, დაფინანსებას ერთი და იგივე ხალხი რომ იღებს.

ეს ნიჭი და ხელობაა, ისე მიაწოდო სიახლე არასპეციალისტთა საბჭოს, რომ უარი ვერ გითხრან.

სტენფორდი დანაჩენ, ჩემი თვალთ ნანახ ამერიკასთან შედარებით თითქოს სხვა პლანეტაა. ოთხჯერ თუ ხუთჯერ მომინია წასვლა და ყოველთვის კარგი, მასტიმულირებელი გავლენა ჰქონდა ამ ვიზიტებს. თავიდან სან-ფრანცისკოში რამდენიმე დღეს ვატარებდი, ერთხელ სან-დიეგოშიც წავედი მეორე გიგანტთან ვოლტერ კეისთან UCLA-ში, მაგრამ ბოლო ჩასვლებზე პირდაპირ სტენფორდში მივქროდი და ყველა დღეს იქ ვიყენებდი, რადგან

როცა უკვე ბევრ ადამიანს იცნობ და კამპუსიც ნაცნობი და მშობლიური ხდება, სხვაგან წასვლა არ გინდა.

ერთი დიდი შოკი სტენფორდის კამპუსში ის იყო, რომ მანქანების გასაჩერებელ მოედანზე საკმაოდ დიდი სივრცეა გამოყოფილი, სადაც მარტო ნობელის პრემიის ლაურეატები აყენებენ მანქანებს. თან, არ იფიქროთ, რომ ერთი-ორი მანქანის ადგილია.

მეორე დიდი შოკი – წიგნის მაღაზიის ფსიქოლოგიის სექციის დიდი თარო. სტენფორდის პროფესორების წიგნებია და ჩემი უსაყვარლესი ბევრი ავტორის წიგნი დევს, მაგალითად, ეკმანი, ემოციების უდიდესი მკვლევარი ჩარლზ დარვინის შემდეგ. მაგალითად, ირვინ იელომი, დიდი თერაპევტი და ჯგუფური თერაპიის კლასიკოსი. ჯიმმა მითხრა, აუცილებლად გადაეყრები შენს საყვარელ ავტორებს კამპუსშიო. ეკმანი სტენფორდში არა, მაგრამ პორტუგალიაში გავიცანი კონფერენციაზე, საკმაოდ დაბერებული. მისი ნაშრომები უფრო მომწონს, ვიდრე პირადი კონტაქტი. ხდება ხოლმე ასე...

ჯიმს დიდი განყოფილება აქვს. ბავშვთა ფსიქიატრია, ცხადია, კვებითი აშლილობებით არ შემოიფარგლება და ბევრ საინტერესო მკვლევარს შევხვდი აუტიზმის მიმართულებით, რაც ჩემი მეორე დიდი ინტერესია.

მიუხედავად იმისა, რომ ჯიმი ბევრს მოგზაურობს და ბევრთან თანამშრომლობს, საკმაოდ დახურული, კომპლექსური ხასიათი აქვს და არასოდეს არ დადის ბანკეტზე, საკონფერენციო სოციალურ შეკრებებზე. ამის გამო, რაც მასთან დავინწყე ურთიერთობა, თუ სტენფორდის გარეთ ვხვდებით კონფერენციაზე, აუცილებლად ან ლანჩი ან ვახშამი მარტო ჩვენ ორისთვის უნდა დაგეგმოს და დააჯავშინოს მდივანს. ის თვლის, რომ ხალხმრავალ ადგილებში ურთიერთობის ხარისხი იკარგება და დროის კარგვაა, ამ ყაყანში არც ბიზნესი გამოდის და არც ადამიანთან ურთიერთობაო. კაცია და გუნება... მე მგონია, რომ ასეთ დიდ შეხვედრებზეც შეიძლება რაღაც საინტერესო დინცოს.

ჯიმმა სახლში რომ დამპატიჟა, მეც და მისი თანამშრომლებიც მივხვდით, რომ ეს განსაკუთრებული ნდობის და თავისებური სიტბოს გამოვლინება იყო.

ულამაზესი დიდი სახლი აქვს ჯიმს სტენფორდის კამპუსში. საინტერესო პრინციპით მუშაობს სახლის მფლობელობა. სანამ

ჯიმი და მისი პარტნიორი ბრაიენი იცოცხლებენ, სახლი მათ ეკუთვნით. ბავშვებზე მფლობელობა აღარ გადადის და ბავშვებმა აუცილებლად უნდა გაყიდონ, ოღონდ სტენფორდის პროფესორმა უნდა შეიძინოს, სხვას გარედან არ აქვს უფლება. ასეთ სახლებზე დიდი მოთხოვნაა, ჯიმიც ელოდა რამდენიმე წელი, რომ ასეთი სახლი შეეძინა. ულამაზესი დიდი ხეები და ბალი, ბევრი სინათლით, დიდფანჯრებიანი სახლი. მოკლედ, ძალიან სასიამოვნო გარემო აქვს შექმნილი.

ბრაიენმა და ჯიმმა ორი ბავშვი იშვილეს და გაზარდეს, სოია და ელენა. ორივეს აფროკარიბიული გენები აქვს და ალბათ ორივესთვის საუკეთესო შანსი იყო, ამ გარემოში გაზრდილიყვნენ.

მას შემდეგ, რაც თანამშრომლობა დავიწყეთ, ჯიმი ლონდონში ისე არ ჩამოსულა, რომ არ შევხვედროდით. ადვილია მისი სტუმრობა, რადგან ზუსტად იცის, რა უნდა. როგორც წესი, უკვე იცის, რომელი გამოფენა უნდა ნახოს, რა სპექტაკლზე წავიდეს, ამიტომ მისი სიიდან რაც მომწონს, იქ გადავიკვეთებით ხოლმე.

2010 წელს ბოსტონში გვექონდა კონფერენცია, დიდი სიამოვნება მივიღე ჯიმთან ერთად ჰარვარდის უნივერსიტეტის დათვალიერებით. მაინც სულ სხვაა, როცა ისეთ ადამიანთან ერთად დადიხარ, ვისთვისაც ეს ყველაფერი ძალიან მშობლიურია. ორჯერ მქონდა მსგავსი განცდა. ერთხელ, როცა ოქსფორდში მოვხვდი რობინ მორისთან ერთად. რობინ მორისი ინგლისის ერთ-ერთი დიდი ვარსკვლავია ნეიროფსიქოლოგიაში, ბევრი ვითანამშრომლეთ და არაჩვეულებრივი ადამიანი და მეცნიერია. ოქსფორდში ბევრჯერ ვიყავი ნამყოფი ტურისტულად და საქმიანად, მაგრამ რობინთან ერთად რამდენიმე საათის გასეირნებამ სულ სხვანაირი ოქსფორდი დამანახა. ჯერ ერთი. ოქსფორდ დამთავრებულებს ყველა კოლეჯში თავისუფლად შეუძლიათ შესვლა, სადაც ტურისტისთვის შესვლა არ შეიძლება, მერე გუნდის რეპეტიციაზე შევედით და ვიმღერეთ (ფანტასტიური განცდაა გუნდთან ერთად სიმღერა და მითუმეტეს, ულამაზეს ეკლესიაში); მერე ლუის კეროლის საყვარელი ადგილები მომატარა და ის სკამიც მაჩვენა, სადაც „ელისი საოცრებათა ქვეყანაში“ იწერებოდა.

კემბრიჯში ასეთივე უნიკალური და პერსონალური ექსკურსია ჩამიტარა კოგნიტური ფსიქოლოგიის ვარსკვლავმა ტიმ დალ-

გლიშმა. ტიმთან ერთად ავტობიოგრაფიული მეხსიერების პროექტზე ვმუშაობდი დაახლოებით სამი წელი და სულ ვეუბნებოდი, როცა პირისპირ შეხვედრა გვჭირდება, ნუ შენუხდები სამხრეთ-აღმოსავლეთ ლონდონში სტუმრობით, მე მიჩვენებია სუფთა ჰაერზე ჩამოსვლა-მეთქი. ტიმს არასოდეს არ ენატრებოდა ლონდონი და იმდენად ბედნიერი იყო ამ შემოთავაზებით, ყოველთვის რამე საინტერესოს შეარჩევდა შეხვედრის მერე, სანამ ლონდონში გამომაცილებდა. ჰოდა, ერთხელ ძველ, ძალიან ლამაზ, ტრადიციულ და ხალხმრავალ პაბში წამიყვანა. თვითონ სუპი მოითხოვა, მე რალაც სხვა ავიღე, აღარ მახსოვს და მერე შევამჩნიე, რომ ყველა სუპს მიირთმევდა. ტიმმა მითხრა, ასეთი ლეგენდაა, ეს სუპი მე-16 საუკუნეში რომ შემოდგეს ცეცხლზე, მას მერე იხარშება, არასდროს არ გადმოუდგამთ ცეცხლიდან და ამიტებენ ყოველდღე ახალ ულუფასო... კიდევ კარგი, სუპი არ მიყვარდა მაშინ. უცნაური ტრადიციების მონაწილე შეიძლება გახდეს ასეთი ვიზიტების დროს.

ისევ ამერიკა და ჯიმი: ბოსტონიდან ნიუ-იორკში გვინევდა წასვლა ამერიკელ მშობელთა ასოციაციის მინვევით. ვალტკეი, ჯანეთ თრეჟერი, ჯიმ ლოკი და მე დაგვპატიჟეს. ჯანეტმა მითხოვა, მოდი, მატარებლით წავიდეთ, მერე ლონდონამდე გრძელი ფრენაც გვეყოფაო. ჯიმი კინალამ გაგიჟდა, რომ ვუთხარი, მატარებლით მოვდივართ-მეთქი. ორივემ ბევრი იცინა, ამერიკელი პროფესორები მატარებლით არ დადიან, სადა აქვთ ამდენი დროო. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მე და ჩემი ჯანეტი წავედით ბოსტონის ცენტრიდან ნიუ-იორკის ცენტრამდე მატარებლით, მივედით სასტუმროში, დავბინავდით და ბარში ჩამოვსხედით მსუბუქი ვანშით და სასმელით. ის იყო, ვამთავრებდით, რომ ჯიმი და ვალტერიც გამოჩნდნენ, ბევრი ვიცინეთ და ამის შემდეგ ყოველთვის ვცდილობ, მატარებელი გამოვიყენო, თუ შესაძლებელია. უფრო ეკოლოგიურია, ნაკლებ სტრესული ყველა თვალსაზრისით. მატარებელს ბევრი პლუსი აქვს, სანამ ჩვენი ამერიკელი პროფესორები ბოსტონის აეროპორტში მივიდნენ, კონტროლი გაიარეს და მერე ნიუ-იორკის აეროპორტიდან ცენტრში მოვიდნენ, ჩვენ მივასწართ.

სამაგიეროდ, მეორე დღეს ჯიშმა ჯერ არქტიკის გამოფენაზე წამიყვანა ბუნების ისტორიის მუზეუმში, მერე კი ბრუკლინის ხიდთან ულამაზეს და უგემრიელეს რესტორანში დამპატიჟა. ჯანეტს არც ერთი მოხსენება არ გაუცდენია და სალამოს რომ მოვუყევი, სად და სად ვიყავი, მითხრა, ნამდვილი გურუ გახდა ეს ჯიში და „სვეტსკი“ ამერიკელი პროფესორის ცხოვრების სტილს გაჩვენესო.

ისე, მელანიმ მასწავლა სასტუმროში ყოველთვის ხედიანი ოთახის მოთხოვნა და ჯიშმა – მოსაწყენი სამეცნიერო მოხსენებების გამოტოვება და სასიამოვნო შთაბეჭდილებების მიღება ...

უსამართლობა იქნება, ჩემი ამერიკელი მეგობარი კოლეგების შესახებ როცა ვწერ, ვალტერ კეიზე ორიოდე სიტყვა არ ვთქვა. როცა ლონდონში დავინყე მუშაობა, სულ მესმოდა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი გიგანტი ჩვენს სპეციალობაში ვალტერ კეია, რადგან დიდი გენეტიკური ბანკი შექმნა, პირველმა დაიწყო ჩვენს საქმეში ტვინის მაგნიტური რეზონანსით შესწავლა, ყველაზე დიდი გრანტები და ლაბორატორიები პიტსბურგში მას ჰქონდა... ბევრი რომ არ გავაგრძელო, ამსტერდამში ჩამოვიდა ერთ-ერთ შეხვედრაზე, სადაც განწყობის ექსპერიმენტების შესახებ მქონდა მოხსენება და ლონდონში ჩატარებულ ჩემს პირველ ცდებზე ვყვებოდი. ვალტერს ისეთი ჯეტლევგი ჰქონდა, ყვინთავდა წინა მოხსენებაზე. შევატყვე, რომ ჩემს მოხსენებაზე გამოცოცხლდა, გამოფხიზლდა და ბევრი კითხვა დამისვა. კითხვა მომხსენებლისთვის საჩუქარია და მე ვფიქრობ, ის დღე ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემი ინგლისელების გუნდისთვის. ჯანეტმა აღნიშნა, პირველი შემთხვევაა, ასე გულითადად რომ აინტერესებს, ჩვენ რას ვაკეთებთო. ვალტერმა მაშინვე მითხრა, თუ პიტსბურგში მოხვდები, აუცილებლად გამაგებინე და მესტუმრე ჩემს განყოფილებაში, ნიუ-იორკთანაც ძალიან ახლოა და ფსიქიატრიის ძალიან კარგი დეპარტამენტი გვაქვსო...

მალევე გაჩნდა ასეთი შესაძლებლობა. სიმონი მიიწვიეს პიტსბურგში. მისი მეგობარი და კოლეგა მერი ფილიპსი პიტსბურგში გადავიდა და სიმონსაც სთხოვდა, წამოდი, ყველანაირ პირობებს შეგიქმნითო. ჩამოდი, ნახე და იქნებ მოგეწონოსო. მეც წავყევი და, ყოველი შემთხვევისთვის, ვალტერსაც მივწერე. ვალტერის მდივან-

მა სასწრაფოდ დაგეგმა ჩემი მოხსენებაც და ასე ვენვლე პიტსბურგის პროგრამას. ვალტერმა ძალიან მოინდომა სიმონის გაცნობა და ლანჩზე დაგვპატიჟა. როცა გაიგო, რომ სიმონს სამუშაოდ ეპატიჟებოდნენ, ჩამოდით და ქეთისაც მშვენიერ პოზიციას შევთავაზებ ჩემს განყოფილებაში. ფსიქიატრიის მართლა შთამბეჭდავი დეპარტამენტი აქვთ პიტსბურგში, მაგრამ ძალიან არაშთამბეჭდავად მომეჩვენა თვითონ ქალაქი. საერთოდ ძნელია, ლონდონის მერე რომელიმე ქალაქის მოწონება; თან, რაც მთავარია, მე და სიმონს არ მოგვწონდა ახალი გადაბარგების და თავიდან მორგების პერსპექტივა. ჩვენ, ორივეს, ისეთი სპეციალობა გვაქვს, რომელსაც პრაქტიკული საქმიანობისთვის ლიცენზია სჭირდება. მკვლევარად ყველგან შეიძლება მუშაობა, პრაქტიკოს ექიმად ან ფსიქოლოგად მუშაობას ცალკე ლიცენზია სჭირდება... ეს ყველაფერი უკვე ერთხელ გაკეთებული და გავლილი გვქონდა ლონდონში და აღარ მოგვინდა ამ სერიოზული ცვლილების შეტანა ჩვენს ისედაც დასტრესილ რეჟიმში.

რაც შეეხება ვალტერს, მისმა ინტერესმა და პოზიტიურმა დამოკიდებულებამ გზა გამიხსნა. მან არაერთხელ შემანია კარგი სიტყვა და კარგი რეცენზია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია აკადემიურ საქმიანობაში. უკვე რამდენიმე წელია, სან-დიეგოში გადავიდა; წარმოშობით კალიფორნიელია და პენსიაშიც კალიფორნიაში მინდა გავიდეო; ხშირად ვეხუმრები, კიდევ კარგი, პიტსბურგში არ ამოვყავი თავი და დაპატიჟება არ მივიღე-მეთქი. ყოველთვის ერთი და იმავეს მპასუხობს, არ დაგტოვებდი, რა თქმა უნდა, სან-დიეგოში დაგპატიჟებდი, როგორც კი პროგრამას ავანყობდიო. მაგრამ ეს ყველაფერი გაცილებით უფრო რთულია და მე ბედნიერი ვარ იმით, რაც გვაქვს. ლონდონში თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ ქალაქში და ისე ვბერდები, მანქანის მძღოლობა არ მინევს და არც მინდა. ყოველთვის ფეხით მიყვარდა სიარული და დღემდე ისეთ ადგილას მინდა ცხოვრება, სადაც ფეხით სიარული შეიძლება. ამერიკაში კი, როგორც ვიცით, ეს დიდი იშვიათობა და გამონაკლისია.

ბევრი რამ მასწავლეს და ძალიან გამანებოვრეს ჩემმა ამერიკელმა კოლეგებმა, ყოველთვის დიდი სიხარული და სიამოვნებაა მათთან შეხვედრა, მაგრამ ევროპა სახლია და მასთან ახლოს ყოფნა ჯობია გეოგრაფიულადაც და ფსიქოლოგიურადაც...



სკანდინავია

დანია – გრუ

ჰუგი – „Hygge“ – დანიური სიტყვაა და ნიშნავს კომფორტს და ბალანსს, როცა თავს კარგად გრძნობ. საოცარია, რომ დანიელები, რომლებიც არც ისე მზიან და თბილ ქვეყანაში ცხოვრობენ და ლანდშაფტიც თითქოს მოსაწყენი, ერთფეროვანი და ბრტყელი აქვთ, მაინც ყველაზე ბედნიერი ერია. ბოლო რამდენიმე წელია, დანიური ჰუგის დიდი პოპულარიზაცია მოხდა და ინგლისში ბევრმა იცის, რას ნიშნავს ჰუგი – კარგად ცხოვრების დანიური გზა...

სანამ დანიას ვენვეოდი, ბესტსელერი ვიყიდე ზუსტად ამ სახელწოდებით და აღმოვაჩინე, რა მარტივი გზებით ცდილობენ დანიელები ჰუგის მიღწევას: სინათლით/განათებით, ერთად ყოფნით, სახლში კომფორტის შექმნით, იაფი და მარტივი კერძებით და სასიამოვნო უალკოჰოლო სასმელით...

პირველი კეთილდღეობის, კარგად ყოფნის კვლევის ინსტიტუტიც დანიელებმა შექმნეს და ბევრი საინტერესო რამ აღმოაჩინეს. მაგალითად, დანიაში ყველაზე მეტი სანთელი ინთება იმ მყუდრო ბალანსის შესაქმნელად, რასაც ჰუგი ჰქვია.

ჰუგის მკვლევარებს აინტერესებთ, რატომ არის ზოგი ადამიანი უფრო ბედნიერი...

დანიელების გამოკითხვების შედეგებით ჩანს, რომ ისინი პირველობენ სხვა ხალხთან შედარებით იმით, რომ კმაყოფილები არიან თავიანთი ცხოვრების ხარისხით, ასევე აღმოჩნდა, რომ ნაკლებად გრძნობენ მარტოობას და გარიყულობას. აქვთ საშუალება, იცხოვრონ კომუნებში/ჯგუფებში. ხშირად ასეთი ფორმით ცხოვრებას ირჩევენ მარტოხელა ან ძალიან ახალგაზრდა მშობლები, ერთმანეთს ხელი რომ შეუწყონ. პოზიტიურობა, ყოველდღიურ მარტივ რაღაცებში სიამოვნების მიღება, როგორც ჩანს, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე იშვიათი და დიდი მოვლენები, მაგალითად, ლატარიის მოგება.

დანიაში რამდენიმეჯერ სტუმრობამ კარგად დამანახა, რომ მართლაც საოცრად მარტივად ცხოვრობენ, დიდ დროს ატარებენ

ბუნებაში, თამაშობენ ბავშვებთან, უყვართ ხელით რალაცეების კეთება. სამსახურის და თავისუფალი დროის ბალანსი...

ჩემი დანიელი მეგობარი და მასპინძელი გრუ ოთხი შვილის დედაა. ბევრი წლის წინ გამეცნო კონფერენციაზე და მთხოვა, დისერტაცია მაქვს დასამთავრებელი და თუ შეიძლება, ჩემი უნივერსიტეტის დაფინანსებით ჩამოვალ სამი თვით და იქნებ შენ ლაბორატორიაში მიმიღო და დამამთავრებინო დისერტაციას. მაშინვე დავთანხმდი, წარმოვიდგინე, რა ძნელია ოთხი შვილის გაზრდა, მუშაობა და დისერტაცია ერთად.

მთელი ოჯახით ჩამოვიდა ლონდონში ზაფხულის არდადეგებზე. მისი მეუღლე პატრიკი ფილოსოფოსია და ერთმანეთს ძალიან ეხმარებიან. გრუს მამა ალბორგის უნივერსიტეტის რექტორი იყო. გრუ შევდეტში წავიდა უნივერსიტეტში, სადაც პატრიკი გაიცნო და დაოჯახდა, როცა მამა პენსიაში გავიდა, გრუ დაბრუნდა ალბორგში და საუნივერსიტეტო კლინიკაში ფსიქოლოგად მუშაობა დაიწყო. ლონდონში მართლაც დაამთავრა დისერტაცია. პატრიკი და ბავშვები ყველა საბავშვო გამოფენას, ზოოპარკს და პარკებს ითვისებდნენ და გრუ ხან ბიბლიოთეკაში იჯდა ჩვენს ინსტიტუტში, ხან ჩემს ჯგუფურ სუპერვიზიებზე და როცა მისთვის ვიცლიდი, შეკითხვების გრძელი სიით შეიარაღებული მოდიოდა.

პირველად ორჰუსში ჩასვლა მთხოვა. საზაფხულო სკოლა მოაწყო და ლექციით დამპატიჟა, მე შევთავაზე, მოდი, ჩემი ლექციის მერე ვორქშოფი ერთად ჩავატაროთ და შენთვისაც კარგი იქნება, მარტო ორგანიზატორობას, ჯობია, გამოხვიდე კიდევ-მეთქი. ისე კარგად ჩაიარა, მეორე წელსაც დამპატიჟეს, ამჯერად, ორჰუსში და ალბორგში. არხუსში სკანდინავიელი ფსიქოთერაპევტების ორდლიანი შეხვედრა ჰქონდათ და ძალიან ვისიამოვნე. ბოლო ხანებში ასეთი შეხვედრები უფრო მომწონს, ვიდრე უზარმაზარი კონფერენციები. უზარმაზარი კონფერენციები სამეცნიერო ბაზრობას ჰგავს, რაც აუცილებელია კავშირებისთვის, მაგრამ როცა ასეთ, შედარებით პატარა შეხვედრებზე დავდივარ მიწვეულ სტუმრად, უკეთ ვხედავ კოლეგების ერთმანეთთან დამოკიდებულებას, უფრო მეტი დრო მაქვს, კლინიკები ვნახო და მათგანაც ვისწავლო რალაცეები და, რაც მთავარია, სოციალური

ურთიერთობა ასეთ პატარა შეხვედრებზე უფრო ადვილია. დიდ კონფერენციებზე როგორღაც ხალხის მასას და მარტო ცნობილ ან შენთვის საინტერესო მკვლევარებს ხედავ, ასეთ პატარა შეხვედრებზე კი პიროვნებებს, ინდივიდუალურ ხასიათებს, და როგორც წესი, ხვდები სახლებში. სახლში მოხვედრა ადამიანთან ერთი დიდი ნაბიჯია კულტურასთან მიახლოებაში და ერთ საღამოს იმდენ რამეს დააკვირდები, რაც შეიძლება, ვერც წიგნში, ვერც მუზეუმებსა და ქუჩებში ხეტიალით, ვერც ისტორიის და არქიტექტურის კარგი ცოდნით ვერ ნახო.

ამ სკანდინავიური შეხვედრის შემდეგ არაერთხელ მომიწია კოპენჰაგენში, ოსლოში, სტოკჰოლმში ჩასვლა, ხან ოპონენტად, ხან მიწვეულ მომხსენებლად და ყოველთვის ძალიან დიდი სიხარულია მათთან თანამშრომლობა და არა მარტო თანამშრომლობა, ბალანსი და სიმარტივეში აღმოჩენილი ბედნიერება... თავისუფლება, სიმშვიდე, მარტივი, ლამაზი და დალაგებული ქვეყნები – ასეთია სამივე: ნორვეგია, შვედეთი და დანია.

ცოტას ეჯიბრებიან ერთმანეთს, სამივე ენა იციან, ინგლისური არასოდეს არ არის პრობლემა, თარჯიმანი არ სჭირდებათ და ეს დიდი კომფორტია, როცა ლექციას ან ვორქშოფს ატარებ. სამხრეთ ამერიკაში, იაპონიასა და სამხრეთ ევროპაში ყოველთვის თარჯიმანთან ერთად მიწვევს მუშაობა და თუ გაგიმართლა, ხომ კარგი, თუ არადა ჩათვალეთ, რომ აუდიტორიას 70% ესმის, თუმცა იტალიელები ხშირად მეუბნებიან, ჩვენ ინგლისელების და ამერიკელების ინგლისური გვიჭირს, თორემ შენი ინგლისური მშვენივრად გვესმისო. სულ ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ მახსენდება, ეტყობა, ზურიკელასავით ვლაპარაკობ და ისე ვხმარობ ხელებს და მიმიკას, იტალიელებს ამისთანა კარგი ინგლისურით ვერც შოტლანდიელები, ირლანდიელები, ტეხასელები და მრავალნი და მრავალნი ვერ აგებინებენ თავიანთი აქცენტებით, ფსიქოლოგიას კი არა, მარტივ ამბებსაც კი.

რაც უფრო ახლოს ვეცნობი სკანდინავიას, მით უფრო საინტერესოდ მეჩვენება ჩვენი კავკასიური სამეზობლო. უნდა გამოვტყდე, რომ ლამის მსოფლიო მოვიარე და არც სომხეთში და არც აზერბაიჯანში ნამყოფი არ ვარ. არც მათი ენები მესმის... გადაკვეთაც არ მქონია მაინცდამაინც ჩვენს კავკასიელ

მეზობლებთან. ჩემი ლონდონელი ქართული „ტანცკლასის“ თანაკლასელი წარმოშობით სომეხი, შვეიცარიაში გაზრდილი და ამჟამად ლონდონში მცხოვრები ლილიტი ძალიან მიყვარს და ლილიკოს ვეძახი. კარგო გოგოა, ჭკვიანი და ისე ცეკვავს ქართულს, ყველას გვჯობია. მართალია, ჩვენი შალვა მასწავლებელი თვლის, რომ ჩვენ უფრო ბუნებრივად გამოგვიდის, რადგან სისხლში გვაქვს, მაინც მგონია, რომ ჩემი გაჭირვების და ლილიკოს ცეკვის შემხედვარეს მაინც ლილიკოს შესრულებით უფრო მოგეწონებათ, მაგალითად, დავლური ან აჭარული...

ისე თუ მოიცლით, მაინც სუხიშვილებს უყუროთ, ჯობია... ერთხელ ლილიკოს ვთხოვე, მოდი, სომხური ცეკვა გვაჩვენე და შენი ხათრით ვიცეკვოთ-მეთქი. ისეთი შეკრული ხელჩაკიდებული ცეკვა გვასწავლა, გავოგნდი, როგორ ჩანს ცეკვაში ეროვნული ხასიათი და მაშინვე ისეთი კონტრასტი დავიჭირე, რაღაც ერთად და მარტივად დგომასა და ცეკვაში. სომხებს, მოგეხსენებათ, ჩვენგან განსხვავებით უფრო ძლიერი სათვისტომოები აქვთ და უფრო მეტად უმართავენ ხელს ერთმანეთს. ცხადია, გამონაკლისი ყველგან არსებობს, მაგრამ არ გვანყენდა, ამ საკითხში ცოტა მიგვებადა მეზობლებისთვის...



დანარჩენი ევროპა?

ამდენი მოგზაურობის შემდეგ ევროპა თითქოს სახლია. მე-19-20 საუკუნის დასაწყისში ევროპამ, განსაკუთრებით გერმანია-საფრანგეთმა, თავისი კვალი დატოვა საქართველოში და რაც ბოლშევიკებს და კომუნისტურ წყობას გადაურჩა, არქიტექტურის, ავეჯის და დიზაინის, ტანსაცმლის, ოპერის, თეატრის და ჩვენი არაჩვეულებრივი, საფრანგეთში ნასწავლი მხატვრების წყალობით მესხიერებაში, არაცნობიერში დაილექა. ამიტომ ევროპაში მაინც უფრო დაცულად და როგორღაც სახლში ვგრძნობთ თავს.

სამწუხაროდ, არც საქართველო და არც ინგლისი არ არის ევროკავშირის წევრი. ბრექსიტის გამო ძალიან გულდანწყვეტილი ვარ. ისე დავგეგმეთ რეფერენდუმის დროს ჩვენი საოჯახო არდადეგები, რომ ინგლისში დავბრუნებულიყავით და ევროკავშირში დარჩენისთვის მიგვეცა ხმა. ასეც მოვიქეციით, სამი სურგულაძის და ერთი ჭანტურიას ხმები ხომ შეიძლება გადამწყვეტი ყოფილიყო, თურმე სად ხარ?! ნეტა ჩემს ბევრ აქაურ მეგობარსაც ასე ეფიქრა. ზოგს დაეხარა წასვლა, ზოგს არდადეგების შეწყვეტა არ მოუნდა და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ფაქტია, რომ დიდხანს ინგლისური იუმორი მეგონა ეს ევროპისგან გამოყოფა...

ბევრჯერ გავიმეორებ დიდ მადლობას არაჩვეულებრივი მეცნიერის და მოღვაწის მისამართით. ზაზა კოკაიამ ევროპული აკადემიის წევრად დამასახელა და ძალიან მიხარია, რომ ამირჩიეს. ევროპული კოლაბორაციებიც ახლა უფრო მნიშვნელოვნად მიმაჩნია. უკვე მეექვსე წელია, ერთ-ერთი ევროპული სამეცნიერო ჟურნალის თანარედაქტორი ვარ და მინდოდა გადადგომა, მაგრამ ბრექსიტის მერე ჩემი გადაწყვეტილება შევცვალე, ისედაც ბევრი რამ ფუჭდება სამეცნიერო თანამშრომლობაში და ჯერჯერობით დარჩენა ვამჯობინე. ამ კოვიდის და ბრექსიტის გადაძვივდა, ბოლო ხანებში უფრო მეტად ალბათ ევროპულ მოგზაურობებს გავაგრძელებ.



გერმანია:

გერმანიასთან ბედმა ბევრი ძაფით დამაკავშირა.

პირველი შთაბეჭდილება აღმოსავლეთ გერმანიაში იენის უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამით მივიღე. კარგი ტრადიცია ჰქონდა ფსიქოლოგიის ფაკულტეტს 1980-90-იანებში. ირჩევდნენ 8 სტუდენტს და მიყვებოდა 2 ხელმძღვანელი, ჩადიოდნენ იენის უნივერსიტეტში ერთი თვით და მერე გერმანელები ჩამოდიოდნენ ერთი თვით.

დიმიტრი უზნაძე, ჩვენი ქართული ფსიქოლოგიის სკოლის დამფუძნებელი, მე-19 საუკუნის ბოლოს ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის შემქმნელ პროფესორ ვილჰელმ ვუნდტის ლაიფციგის ლაბორატორიაში იყო სტუდენტობისას და ამის გამო ჩვენს ფსიქოლოგიურ განათლებასა და ძირითად თეორიაზე გერმანულ ფსიქოლოგიას დიდი გავლენა ჰქონდა. ლონდონში მუშაობამ მე და სიმონს ისიც დაგვანახა, რომ ფსიქიატრიაზეც ასევე გერმანული სკოლის გავლენა უფრო გვექონდა, ვიდრე ანგლოსაქსონურისა.

იენა

იენაში გატარებული ერთი თვე ტკბილად მახსენდება. მაიკო გედევანიშვილი, ლამარა ნიკურაძე, ნანა ქუტიძე, ქეთინო თავართქილაძე, მე, მარინა ხმიადაშვილი, ვაჟა კვერნაძე და ბადრი ჯაფარიძე ვესტუმრეთ გერმანელებს, ბატონი რეზო ქვარცხავა და უცხოეთის განყოფილების თანამშრომელი ზურაბ ჟვანია (არა ექსპრემიერი) წამოგვყვნიენ. ბევრი რამ გვაჩვენეს გერმანელმა კოლეგებმა.

„კარლ ცაისის“ სათვალეების დიდ წარმოებას ჰქონდა ვიდეოტრენინგის ლაბორატორია და ძალიან დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე ვიდეოტრენინგის ეფექტმა. ისე კარგად მახსოვს, ჯგუფური დავალებები მოგვცეს, ჩაგვწერეს, მერე გვაჩვენეს ჩვენი შესრულების სტრატეგიები და რეკომენდაციებიც მოგვცეს. დღემდე ვიყენებ ვიდეოტრენინგს ჩემს საქმიანობაში სტუდენტებთან. ზოგადად, თუ საკუთარი თავის ატანას ახერხებ

ეკრანზე, ბევრი რამის შესწორება შეგიძლია. ეს ის ინსტრუმენტია, სადაც ბევრ შეცდომას დაუშვებ და ყოველთვის მთავარი იქნება არა თვითონ შეცდომა, არამედ რა ისწავლე ამ შეცდომიდან.

სად არ წაგვიყვანეს ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა იენის გარდა. დრეზდენში, ვაიმარში, ყველა ქალაქს ვერც ვიხსენებ. ბოლოს ბერლინში გავემგზავრეთ. სამწუხაროდ, ბატონ რეზოს ძმა გარდაეცვალა და როცა თბილისში დარეკეს, უცხოეთის განყოფილებამ მკაცრად მოსთხოვა, მარტო არ ჩამოხვიდე, თუ მთელი ჯგუფი წამოგყვება, მაშინ ჩამოდიო.

ერთი წუთიც არ გვიფიქრია, რა თქმა უნდა, წამოგყვით ბატონ რეზოს, რომელიც მოსკოვიდან სასწრაფოდ გადაფრინდა თბილისში. ჩვენი თავგადასავლები ცალკე ისტორიაა. ეს 9 ადამიანი ძლივს დავბინავდით მოსკოვში, არც ფული გვქონდა, არც ბილეთები იყო, რომ მაშინვე გადმოვფრენილიყავით თბილისში. როგორი უტვინო სისტემა იყო, რამდენიმე დღე გვაყურყუტეს მოსკოვის ზაფხულის სიცხეში და მერე მატარებლით გამოვემგზავრეთ თბილისში. დღემდე ვერ ამიხსნია, რისი ეშინოდათ, რას ვიზამდით ეს ხუთოსანი ფსიქოლოგი სტუდენტები? დავათვალიერებდით ბერლინსაც და წყნარად დავბრუნდებოდით სახლში, არც ბატონი რეზო იღარდებდა, ასე რომ აირია მთელი გეგმები...

როგორც ვთქვი, გერმანელები გვეწვივნენ მერე საქართველოში. გვყავდა ყაზბეგში, ზღვაზე, თბილისშიც ბევრი ვატარეთ და გვეგონა, რომ სამუდამო მეგობრობა დავაკავშირებდა, მაგრამ რკინის კედლის დანგრევამ გერმანიაში ჩვენს იენელ მეგობრებს დიდი ცვლილებები მოუტანა. როგორც ვხვდები, თითქმის ყველამ დაკარგა სამსახური და შეწყდა მიწერ-მონერა, შეწყდა გაცვლითი პროგრამა და ვერცერთთან ვერ მოხერხდა ურთიერთობის შენარჩუნება. ჩვენთან ეს ტალღა მოგვიანებით მოვიდა. სამწუხაროდ, იმ რვა ადამიანიდან ჩვენი ვაჟა აღარ არის, არც ნანა ქუტიძე. ბადრი ბიზნესის და პოლიტიკის გზას დაადგა. ლამარას ცხოვრება სოხუმის და აფხაზეთის დაკარგვამ რადიკალურად შეცვალა. ფსიქოლოგიას მაიკო გედევანიშვილი, ქეთინო თავართქილაძე და მე წამდვილად შემოვრჩით და სხვადასხვა ფორმით

ვაგრძელებთ ჩვენს სპეციალობაში მუშაობას. ამასწინათ ფოტო-
ების ძებნა დავინწყე და სამწუხაროდ, ვერცერთი ფოტო ვერ ვნახე
ამ მოგზაურობებიდან.

ჰაიდელბერგი

მეორე დიდი გადაკვეთა ჰაიდელბერგთან მოხდა. მამაჩემი მძიმედ
გაგვიხდა ავად და ბატონი ნოდარ ბერიკაშვილის, არაჩვეულებრივი
თორნიკე ქადეიშვილის და ბატონი დიტერ პუპეს მეშვეობით დედა
და მამა ორჯერ იყვნენ ჰაიდელბერგის კლინიკაში პროფესორ
ჰუნშტაინთან, რომელმაც მამას სიცოცხლე გაუხანგრძლივა და
საშუალება და დრო მოგვცა, სამი წელი ლეიკემიასთან ჭიდაობაში
გაგვეტარებინა მთელ ოჯახს და ჩემი მშობლების არაჩვეულებრივ
სამეგობროს. ბევრი კარგი რამ მახსოვს კეთილი, ერთგული ადა-
მიანებისგან, ვინც გვერდით გვედგა და არც შევეცდები ჩამოვ-
თვალო, იმდენი მადლობა გვაქვს სათქმელი...

რამდენიმე წლის მერე, როცა ლექსო პატარა გვყავდა, სიმონმა
გერმანული გრანტი მიიღო და ორი ზამთარი გადაგვატანინა
ჰაიდელბერგში. არაჩვეულებრივი პატარა ქალაქია. გესტჰაუზი,
რომელიც უნივერსიტეტის სტუმრებისთვის აქვთ, ძალიან კომ-
ფორტულია და საინტერესო ხალხთან შეხვედრა შეიძლება.
ისე კარგად მახსოვს, ლექსო დაუმეგობრდა პატარა იაპონელ
ბიჭს ნენს, ორივეს ლეგოს აწყობა მოსწონდა და ისე კარგად
ერთობოდნენ ერთად, მერე ძალაუნებურად მშობლებიც დავ-
მეგობრდით და მაშინ პირველად ვნახე ჩაის ცერემონია;
ქალთა კლუბშიც დავინწყე სიარული, სადაც უნივერსიტეტის
თანამშრომლები ან პროფესორების მეუღლეები შაბათობით
ლანჩს აწყობდნენ. აქ გავიცანი გიზელა გადემანი და მერე
ნათია ჩავიდა მასთან მთელი წლით ენის გასაუმჯობესებლად და
ძალიან დამეგობრდა მთელ ოჯახთან; მეორედ ჰაიდელბერგში
ყოფნისას მიშა კაკაბაძე და მისი არაჩვეულებრივი ოჯახი
გავიცანით. ისინიც მგონი სამი თვით იყვნენ ჩამოსულები და
ძალიან დავმეგობრდით.

ძალიან მინდოდა მამას ექიმის პროფესორი ჰუნშტაინის ნახვა.
მამა უკვე აღარ იყო, მაგრამ მინდოდა, მადლობა მეთქვა. მივწერე
და ვიფიქრე, თუ მიპასუხებს და მიმიღებს, ხომ კარგი, თუ

არადა, მაინც ვცდი-მეთქი. მისმა მდივანმა დამირეკა და მითხრა, აუცილებლად მიგიღებს, ოღონდ ახლა ამერიკაში მიდის ერთი კვირით და როცა დაბრუნდება, ჩაგწერო.

მივედიტ მე, ლექსო და სიმონი. ლექსო პატარა იყო, 5 წლის. მამას სურათი ნაწილად მაინც საჩვენებლად, რომ გავახსენო-მეთქი. გაეცინა, მამა კარგად მახსოვს და სურათი დამიტოვეო.

ლექსოს ამერიკული საჩუქრები გადასცა, აქ ასეთები არ გვაქვსო. ისე კარგად მახსოვს, მითხრა, ადრე ამ ავადმყოფობით რამდენიმე კვირას ვაცოცხლებდით ავადმყოფს და მამას შემთხვევაში სამი წელი დიდი მიღწევა იყოო. გული მწყდება, დღეს არჩენენ ლეიკემიას.

უცნაურია და ჩემი პირველი ევროპული კონფერენციაც, საინდანაც საინტერესო და წარმატებული დასავლური პროფესიული ცხოვრება დამენყო, გერმანიაში შედგა.

ახლაც მიუნხენის აეროპორტში ვზივარ, ცარიელ უზარმაზარ მეორე ტერმინალში, დაკეტილ მაღაზიებს შორის, მოჩვენებებივით მოსიარულე, ნიღბიან, კანტიკუნტად მიმობნეულ მგზავრებში და თავი სიურრეალისტური ფილმის მონაწილე მგონია...

ახლა ვფიქრობ, რომელ ერთ გერმანელ მეგობარზე მოგიყვებ და ალბათ გამიჭირდება შერჩევა, რადგან გერჰარდმა და რუტმა, გიზელამ, ჰანსმა, მანფრედ ფიხტერმა, ნიკიმ, ჰუბერტუსმა და, რაც მთავარია, ულრიკემ დიდი გავლენა იქონიეს ჩემი და ჩემი ოჯახის ცხოვრებაზე.

არასოდეს არ ელაპარაკოთ თქვენს საყვარელ გერმანელ ადამიანებს ომზე. ჩემი და ჩემზე უფროსი თაობის გერმანელებს ჯერ კიდევ სირცხვილი და სინანული აწუხებთ...

შავი იუმორის ნიმუში მახსენდება. პარტისტორიის ლექტორი უყვება სტუდენტებს, როგორი კარგია საბჭოთა კავშირი, როგორ გააცამტვერა მეორე მსოფლიო ომში გერმანია, იქეთ კიდევ – პირველი მსოფლიო ომი როგორ წააგო... ერთმა სტუდენტმა იკითხა, კი მარა, ამისთანა ორჯერ გაცამტვერებული ქვეყანა ჩვენზე კარგად როგორაა, ჩვენ ხომ ნამდვილად გავიმარჯვეთო???? სრული პასუხი არ ვიცი, მაგრამ ზარმაცვი გერმანელი ჯერ არ მინახავს, არც ისეთი, ნაგავს რომ ქუჩაში ყრიდეს და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა არ ჰქონდეს... მაგარი ხალხია

... ჰაიდელბერგიც ტკბილად მახსენდება და საყვარელი ქალაქია, მაგრამ ერთხელაც არ მომნდომებია სამუდამოდ იქ დარჩენა...
მეტს არაფერს აღარ ვიტყვი...

ბევრი რამ ვერ გაიმბეთ ჩემს უცნაურ მოგზაურობებზე და საინტერესო ადამიანებზე, ვისთან ურთიერთობამაც გამაბედნიერა ან რაღაც ისეთი მასწავლა, რასაც სხვანაირად ვერ ვისწავლიდი.

უამრავ ადამიანს შევხვდი ჩემი მოგზაურობებითა და თავგადასავლებით სავსე ცხოვრებაში. დიდი პატივი მერგო, მეცხოვრა სხვადასხვა ქვეყანაში ცოტა ხნით მაინც, სხვადასხვა ოჯახებში, სახლებში იმ ადამიანებთან, ვისაც სულ სხვადასხვა პრიორიტეტები, ცხოვრების სტილი, კულტურული ტრადიციები და შემოსავალი აქვთ. დიდი ბედნიერებაა ასეთი უნიკალური გამოცდილების მიღება პირადად და არა წიგნში ამოკითხვა.

„ყველა დიდი მოგზაურობა პატარა ნაბიჯით იწყება“. იმედია, რომ კიდევ მომიწევს ნაბიჯების გადადგმა და ვინ იცის, ოცი წლის შემდეგ, როცა უკვე ნამდვილად პენსიაში ვიქნები, უფრო ნაკლები სისწრაფით და მეტი დაფიქრებით მოვუყრი თავს მოგზაურობის მოგონებებს...

დანარჩენი ამბები მერე, სხვა დროს იყოს...



ქეთი ჭანტურია დაიბადა თბილისში, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფსიქოლოგიის სპეციალობით. 1997 წლიდან ლონდონში ცხოვრობს. შყავს მუუღლე სიმონ სურგულაძე და ორი შვილი – ლექსო და სოფო. ქეთი ლონდონის უინგს კოლეჯის კლინიკური ფსიქოლოგიის პროფესორია და

მოცლის კლინიკის კონსულტანტი ფსიქოლოგი.

ინგლისურად დაბეჭდილი აქვს 3 წიგნი და 280 ნაშრომი. ეს პატარა წიგნი ოჯახის, ახლობლების და მეგობრებისთვის დანერა თავისი მოგზაურობების მცირე ნაწილის გასაზიარებლად.

ISBN 978-9941-8-3091-4

